ლელო

№299 (12 369) 22 დეკემბერი შაბათი 2007 გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი წელი და ნახევარიც, თუ...

შოთამ, შესაძლოა, ლევანტეს უჩივლოს

ინტერვიუ 2

ახალკაცი

ყველა პირობაა ძლიერი და მოგილური ნაკრების შესაქმნელად და მეზერა, ტოპმიოლერი ამას შეძლებს...

ტოპმოლერი

დღეს საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს. ასე რომ, განვლილი პერიოდი უძმად არ დაგვიკარგავს. ნაკრებში არაერთი ახალი ფეხბურთელი გამოვცადეთ და გუნდში კონკურენციაც გავზარდეთ...

პრესკონფერენცია 3

მინგეჩ ასისტენტად რჩება, სეგრეტიც ხელშეუხებელია, პაინეი და ცანკერი ვნახოთო...

ფოტო: www.gff.ge



ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წილისყრა

დიდი ინგლისურ-იტალიური დაპირისპირებები, ზედაც რომა რეალთან

UEFA CHAMPIONS LEAGUE

როგორ მოგწონთ?

ლივერპული vs ინტერი

არსენალი vs მილანი

წილისყრა სრულად და გამოხმაურება 6

უეფას თასი. 1/16 ფინალის წილისყრა 7

LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

მილანური დერბი და სუპერკლასიკო საშობაოდ

ხვალ: ინტერი vs მილანი
ბარსა vs რეალი

არის თუ არა მანჩინი პროვოკატორი? 8



რიიკაარდს რონალდინიო ყელში ამოუვიდა: მორიგი სკანდალი ბარსელონელთა ვარჯიშის დროს 9



11

პირველი ეტაპი:

სარაგბო აკადემიები თბილისსა და ქუთაისში

ინტერვიუ გიორგი ჭუმგურიძესთან

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

თხუთმეტი-ოცი წუთი მალე შემეძლება

ვინც ეძებს და ერთ ადგილას არ ჩერდება...

რასა იქმს 34 წლის შოთა არველაძე? რაც ვალენსიურ "ლევანტეში" გადავიდა, თამაში არ ღირსებია - მარჯვენა მუხლზე ორი ოპერაცია გაიკეთა. შოთას გუშინ შევეხმიანეთ ვალენსიაში და აქეთურ-იქითურზე ვესაუბრეთ, პირველ რიგში კი ჯანმრთელობაზე ვკითხეთ...

შოთა არველაძე

- უკეთ ვარ, ერთი კვირის წინ გუნდთან ერთად დავიწყე ვარჯიში, მაგრამ ახლა ნელის ტკივილმა შემაწუხა. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ დიდი პაუზის შემდეგ კუნთები დატვირთვებს შეჩვეული არ იყო. ახლა ერთკვირიანი შვებულება მაქვს და ყველანაირად ვეცდები მწყობრში ჩადგომას.

- ინდივიდუალური პროგრამით უნდა ივარჯიშო ეს ერთი კვირა?

- ჩემი ექიმი, დათო დათუნაშვილი ჩამოვიდა აქ, რათა ნელი მომირჩინოს და უკვე მერამდენედ ნაოპერაციები მუხლის აღდგენაში დამეხმაროს.

- „ლევანტეს" მწვრთნელი დე ბიაზი რას გეუბნება, რა გათვლებს აკეთებს შენზე?

- ალბათ იცით, რომ „ლევანტეში" ფინანსური პრობლემებია, ფეხბურთელებს ექვსი თვის ხელფასი არ აგვილია და ჯერ „ლევანტეში" სულ ამ პრობლემებზეა ლაპარაკი.

- როგორ აპირებს „ლევანტე" პრობლემის გადაჭრას?

- ზუსტად არ ვიცი. ყური მოვკარი, რომ კრედიტის აღებას აპირებენ.

- „ლევანტეს" ყიდვას თურქი აგენტი ბაირამ თუთუმლუ აპირებდა, ვინც შენი ლევანტური ტრანსფერი გაჩარხა. თუთუმლუს მიერ „ლევანტეს" ყიდვის თაობაზე არაფერი ისმის?

- არა, მას შემდეგ, რაც მან „ლევანტეს" შეძენის სურვილი გამოთქვა, ახალი არაფერია.

- საქართველო, თურქეთი, ჰოლანდია, შოტლანდია - სადაც კი გითამაშია, ყველგან მოწინავე გუნდებში. როცა „ლევანტეში" გადადიოდი, მზად იყავი იმისთვის, რომ გუნდი თავის ქვეყნის ჩემპიონატში მაჩანჩალა იქნებოდა?

- ზოგადად, საკუთარ პრინციპებს არ უნდა უღალატო, მაგრამ პრიმერა დივიზიონში თამაში დიდი გამოწვევა იყო, ეს ჩემი კარიერის ბოლო პერიოდია და იყო იმის ალბათობა, რომ ასეთი გამოწვევა საერთოდ არ ყოფილიყო. რაც უნდა მოხდეს, ერთი სეზონი ხომ მაინც მექნება გატარებული პრიმერა დივიზიონში.

- და როდის უნდა ველოდოთ შენს დებიუტს პრემერა დივიზიონში?

- ბოლო 15-20 წუთის თამაში მალე შემეძლება. იმდენი დრო გამიცდა, რომ ფიზიკური კონდიციები ჯერ არ მაქვს აღდგენილი.

- „ლევანტე" ბოლო ადგილზეა და თუ ფინანსური პრობლემები მოაგვარა, გუნდი გაძლიერებას არ აპირებს?

- არ ვიცი, ფინანსური პრობლემა იმდენად მწვავეა, რომ ამაზე ალბათ ჯერ ვერ იფიქრებს კლუბი.

- თუ ფინანსური კრიზისი გაგრძელდება, ფიფაში უნდა იჩივლო კუთვნილი თანხის ასაღებად?

- ალბათ, ასე მოხდება.

- ეროვნულ ნაკრებში ბოლო მატჩში ითამაშე შოტლანდიასთან და მერე საერთაშორისო ნაკრებო კარიერაზე უარი თქვი. ხომ არ მოგენატრა ნაკრებში თამაში იმდენად, რომ აქ დაბრუნებაზე იფიქრებ?

- ხანდახან მართლაც ძალიან მომენატრება ხოლმე ნაკრებში თამაში. რაც შეეხება ნაკრებში დაბრუნებას, თუ ოპტიმალურ ფორმაში შევალ, მერე მივიღებ იმ გადაწყვეტილებას, რაც სწორი იქნება. როგორც არ უნდა იყოს, ნაკრებში გამოსამშვიდობებელი მატჩის თამაში ისევ მსურს.

- ახლა საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელთა საკითხი უნდა გადაწყდეს. წინა ინტერვიუში გვითხარი, უმჯობესი იქნება, თუ ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებს ქართველი მწვრთნელები უხელმძღვანელებენო. ისევ ამ პოზიციაზე თუ ხარ, რა არგუმენტებით გაამყარებდი ამას?

- კლაუს ტოპმიოლერთან მუშაობით ახალგარდა ქართველი მწვრთნელები გამოცდილებას მიიღებენ. ასაკობრივ ნაკრებებში ისეთი ქართველი მწვრთნელები უნდა დაინიშნონ, რომელთაც დიდი პრეტენზია აქვს კარგ მწვრთნელობაზე, რომლებიც სულ რაღაცას ეძებენ და ერთ ადგილას არ ჩერდებიან.

დავით თავართქილაძე

ლოკომოტივი ბირთვს აყალიბებს

კიკნაძე: დღეს ბევრი რამ გადაწყდება

თბილისის „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ საგურამოს საწვრთნელი ბაზის ძირითადი ნაწილის მშენებლობა დაასრულა და როგორც ადრე აცხადებდნენ, ფინანსების დიდი ნაწილს ახლა კლუბის გაძლიერებას მოახმარენ.

დაფინანსების საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, მაგრამ კლუბის გაძლიერება უკვე დაწყებულია. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, დარჩება **გიორგი კიკნაძე** კლუბში თუ არა.

გიორგი კიკნაძე

კიკნაძეს გუშინ დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ: *„მინდა ბრძოლისუნარიანი კლუბი ჩამოვაყალიბოთ, სერიოზულად გავძლიერდეთ და ამბიციური ფეხბურთელები დავიმატოთ. ხვალ გაიმართება „ლოკომოტივის" კრება, რომელზეც იქნება დამოკიდებული, გავაგრძელებთ თუ არა თანამშრომლობას. მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა ყველას გვსურს, მთავარია, ფინანსებმა ხელი შეგვიწყოს. ასე რომ, ხვალ ბევრი რამ გადაწყდება, ჩემი დარჩენა, კლუბის მომავალი და ასე შემდეგ",* - ამბობს კიკნაძე.

სადღეისოდ, „ლოკომოტივიდან" უკვე თერთმეტი ფეხბურთელი წავიდა. ზოგიერთი ხელმძღვანელობამ გაუშვა, ზოგს კი წინასწარ ჰქონდა ასეთი განზრახვა.

გუნდს მხოლოდ ორი ახალწვეული ჰყავს: „მესხეთიდან" თავდამსხმელი **ალექსანდრე კაიდარაშვილი** დაიმატეს, რომელთანაც დღეს ორწელიწადნახევრიან კონტრაქტს გააფორმებენ. მეორე სიახლე კი ბოლნისის „სიონის" მარცხენა ნახევარმცველის, **გიორგი ქუცურუას** დამატებაა. კაიდარაშვილის დარად, დღეს ისიც ორწელიწადნახევრიან კონტრაქტს გააფორმებს.

კლუბში ცდილობენ მოიზიდონ ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც მომავლის ბირთვს შეადგენენ. როგორც გვითხრეს, მიუხედავად უმძიმესი მდგომარეობისა (გუნდმა საშემოდგომო ეტაპი ბოლოდან მესამე ადგილით დაასრულა) და მეორე წრის რთული კალენდრისა, „ლოკომოტივში" გადარჩენის საფრთხეზე არც ფიქრობენ და რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავება სურთ, თუმცა ვიმეორებთ, ეს ყოველივე დაფინანსებაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე გადაწყდება, უცხოეთში მოემზადება გუნდი თუ საქართველოში.

მერაბ მამულაშვილი

გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

გაზეთი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები. პრესკონფერენცია

ტოპმიოლერთან კონტრაქტი გადაწყდა

მინგე ტექნიკური დირექტორი იქნება

ფოტო: www.gff.ge

გუშინ გამთენიისას ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი და მისი თანაშემწე რალფ მინგე თბილისში ჩამოფრინდნენ. საღამოს 5 საათზე ორივენი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან და პრესტატაშე სანდრო ცნობილაძესთან ერთად, მასმედიის წინაშე წარსდგნენ. პრესკონფერენცია გერმანელ მწვრთნელებთან კონტრაქტის გაგრძელებასა და სხვა საინტერესო საკითხებს შეეხო.

ნოდარ ახალკაცი: ამ ბოლო კვირებში ეს თემა აქტუალური იყო. ფედერაციის ხელმძღვანელობისა და თავად კლაუს ტოპმიოლერისგანაც არაერთხელ გაჟღერებულა, რომ თანამშრომლობას ვაგრძელებთ. ჩვენი სურვილია და ამაზე შეთანხმებაც მიღწეულია, რომ კლაუსმა ჩვენს გუნდს 2008-09 წლებშიც უხელმძღვანელოს. უფრო მეტიც, გვინდა მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზოს ჩვენმა ნაკრებმა და ასეთ შემთხვევაში გერმანელ მწვრთნელებთან თანამშრომლობას 2010 წლის ზაფხულშივ გავაგრძელებთ. რაც შეეხება რალფ მინგეს, ვინდა მას ტექნიკური საკითხების მოგვარება შევთავაზოთ. ეს გლობალური საკითხია და ეროვნულის გარდა, ასაკობრივ ნაკრებებსაც მოიცავს. სწორედ ეს და სხვა საკითხებია ტექნიკური დირექორის კომპეტენცია.

ახალკაცის ამ სიტყვას უკვე კითხვა-პასუხები მოჰყვა:

- რა კრიტერიუმებით შეფასდა როვნულ გუნდში კლაუს ტოპმიოლერის მუშაობა და რის საფუძველზე შესთავაზეთ მას ახალი კონტრაქტი?

ნ. ა. – ამ საკითხზე მსჯელობისას, მხოლოდ შედეგით თუ შემოვიფარგლებით, ეს არასწორი იქნება. ამ საკითხს გლობალურად უნდა მივუდგეთ. მხოლოდ იმის დაფიქსირება, თუ რომელი ადგილი დავიკავეთ ჯგუფში, არას გვარგებს. თავად განსაჯეთ, თუ ვინ იყო ჩვენი ჯგუფის მეტოქეები, მსოფლიო ჩემპიონატის ორივე ფინალისტი, ასევე უკრაინა და შოტლანდია, რომლებიც ფიფას რეიტინგში მონინავე ათეულში არიან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კლაუს ტოპმიოლერმა დაშლილი გუნდი აღადგინა და ძლიერი ნაკრების მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. ის გზა, რომელიც ორი წლის წინ დავიწყეთ, სწორად უნდა გავაგრძელოთ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორი წლის წინანდელთან შედარებით, კლაუს ტოპმიოლერს ახლა გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვს ნაკრების ფეხბურთელებზე. ეს ინფორმაცია კი მხოლოდ სტატისტიკური კი არაა, არამედ საკუთარი თვალით ვარჯიშებსა და სანაკრებო თამაშებზე ნანახი. ამას ემატება ვიდეოსისტემა, რომელიც ეროვნულ სტადიონზე დავამონტაჟეთ. ეროვნულ ნაკრებში არაერთი ახალი ფეხბურთელი წარმოჩნდა, კონკურენცია გაიზარდა. ერთი სიტყვით, ყველა პირობაა ძლიერი და მობილური ნაკრების შესაქმნელად და მჯერა, ტოპმიოლერი ამას შეძლებს.

- კონტრაქტს ხელი უკვე მოაწერეთ?

ნ. ა. – ჩვენს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია. მალე იურისტები ამ შეთანხმებას იურიდიულ სახეს მისცემენ და ქაღალდზე გადაიტანენ. როგორც კი ეს პროცედურა მორჩება, მერე უკვე კონტრაქტს მოეწერება ხელი. თუმცა უკვე დღესვე შეიძლება ითქვას, რომ კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგე ეროვნულ ნაკრებში მომდევნო ციკლშიც იმუშავებენ.

ჩვენი უახლოესი გეგმები კი ასეთია: 15 იანვარს სოფიაში შევიკრიბებით ჩვენი ჯგუფის სათამაშო კალენდრის შესათანხმებლად. თუ იმავე დღეს ვერ შევთანხმდებით, რეზერვში კიდევ ერთი დღე გვაქვს. 16 იანვარს ფიფას მიერ მოცემული ვადა იწურება და თუ შეთანხმება არ შედგა, მერე უკვე ბრმა წილისყრით შეგვიდგენენ სათამაშო კალენდარს.

6 თებერვალს ამხანაგურ მატჩში შინ ლატვიას ვუმასპინძლებთ, 26 მარტის მეტოქე კი ჯერჯერობით, გასარკვევია. გვინდა, მაისში ნაკრები 7-8 დღის განმავლობაში ევროპაში მოემზადოს და ევრო 2008-ის ფინალური ეტაპის რომელიმე მონაწილესთან და იქ მყოფ სხვა ნაკრებთან გავმართოთ ამხანაგური მატჩები. ამ საკითხზე ვმუშაობთ და შედეგებიც მალე იქნება. მოგეხსენებათ, უელსთან უკვე მივაღწიეთ შეთანხმებას და ამ გუნდს 20 აგვისტოს სტუმრად, ამხანაგურად გავეჯიბრებით. ამას გარდა, 19 ნოემბერს რუმინეთს ასევე გასვლაზე ვეთამაშებით.

- ახალი კონტრაქტით თუ იქნება განსაზღვრული, წელინადში რამდენ დღეს დაჰყოფს საქართველოში კლაუს ტოპმიოლერი?

ნ. ა. – დიახ, ჩვენ ესეც გავითვალისწინებთ. კლაუს ტოპმიოლერი საქართველოში მაქსიმალურად ბევრ დღეს გატარებს. ეს ჩვენი შეთანხმების პაკეტის ერთი ნაწილია.

- ჰერ კლაუს, რას იტყოდით ახალ კონტრაქტსა და ჯგუფის მეტოქეებზე?

კლაუს ტოპმიოლერი – მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მე და საერთოდ ჩვენ, ეს გადაწყვეტილება დღეს არ მიგვიღია. ეს გადაწყვეტილება დიდი ხნის წინ მივიღეთ და ეს საჯაროდაც არაერთხელ დავაფიქსირეთ.

ერთიც მინდა აღვნიშნო - განვლილ პერიოდს თუ გავიხსენებთ, ეროვნული ნაკრების სრულად შეკრების საშუალება პირველად შარშან მაისში, გერმანულ-ავსტრიულ შეკრებაზე მოვახერხეთ. მაშინდელთან შედარებით, დღეს საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს. ასე რომ, განვლილი პერიოდი უქმად არ დაგვიკაგავს. ნაკრებში არაერთი ახალი ფეხბურთელი გამოვცადეთ და გუნდში კონკურენცია გავზარდეთ.

რაც შეეხება მეტოქეებს: მსოფლიო ჩემპიონი იტალია ჯგუფის უდავო ფავორიტია. საკმაოდ ძლიერი გუნდებია ბულგარეთი და ირლანდია. ამ ნაკრებებს არაერთხელ უასპარეზიათ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე. ჩერნოგორია ბოლო კალათაშია, მაგრამ ეს მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ ეს ახლად შექმნილი ქვეყანა და ფედერაციაა. ჩერნოგორიას მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს, თუნდაც "რომაში" მოასპარეზე ვუჩინინჩი ავიღოთ. ჩერნოგორია ძლიერი გუნდია, მისი ადგილი მეექვსე კალათაში ნამდვილად არაა და ეს ნაკრები არაერთ გუნდს შესთავაზებს სიურპრიზს. კვიპროსის ნაკრები გუნდის განვითარების კარგი მაგალითია და მასაც შეუძლია სიურპრიზის ავტორობა. ერთი სიტყვით, იტალია ფავორიტია, სხვა დანარჩენი გუნდებს კი მეორე ადგილზე გასვლის შანსი აქვთ.

- „კაიზერსლაუტერნს" საბოლოოდ გამოეთხოვეთ?

კ. ტ. – დიახ, "კაიზერსლაუტერნი" უკვე დავტოვე, ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა და არ შევცვლი. მართალი გითხრათ, მინდოდა ამ კლუბს უანგაროდ დავხმარებოდი, რჩევებით მონაწილეობა მიმეღო ტრანსფერების განხორციელებაში და გუნდისთვის წარმატებები მომეტანა, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ მომეცა და ამიტომაც წამოვედი. მიკვირს, როცა გაზეთებში ადრეც და დღესაც იწერება, ვითომდა ჩემი საქმიანობა მიზანმიმართული იყო იქითკენ, რომ "კაიზერსლაუტერნის" მთავარი მწვრთნელობა მსურდა. კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს ბოლო სხდომაზე, როცა გუნდის თავკაც კიეტილ რეკდალის დარჩენა-არდარჩენის საკითხი განიხილებოდა, სწორედ მე დავუჭირე მხარი მის დატოვებას.

- "კაიზერსლაუტერნდან" თქვენი წამოსვლის შემდეგ ზოგი ეჭვქვეშ აყენებს ამ გუნდში ლევან ცქიტიშვილისა და ზურაბ მენთეშაშვილის ტრანსფერის საკითხს. ამაზე რას იტყოდით?

კ. ტ. - ამ ფეხბურთელებმა კლუბისგან ოფიციალური შეთავაზება უკვე მიიღეს. მართალი გითხრათ, ამ საკითხში მე არ ჩავერევი. ვფიქრობ, ახლა ყველაფერი თავად ამ ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. თუ თანახმანი იქნებიან, გადავლენ გერმანულ კლუბში, თუ არა და გარიგება არ შედგება.

- ბევრი ითქვა და დაიწერა ხიზანიშვილის ლიტვასთან უთამაშებლობაზე. ამაზე რას იტყოდით?

კ. ტ. – მართალი გითხრათ, ჩემთვის მოულოდნელი და გასაკვირი იყო ის, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით მოვისმინე. ზურაბ ხიზანიშვილის აღშფოთების შესახებ პრესიდან და ფედერაციის ხელმძღვანელებისგან შევიტყვე.

თავად ხიზანიშვილმაც განაცხადა, რომ ყატართან მატჩში ისე არ გამოიყურებოდა, როგორ თამაშსაც მისგან მიჩვეულნი ვართ. ლიტვასთან ოთხშაბათის მატჩამდე, ორშაბათის ვარჯიშში ზურას არ შეხვდა ის გადასაცმელი, რომლითაც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები გამოირჩევიან სხვა მოთამაშეებისგან. თუმცა ეს მზადების პროცესი იყო და სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ხიზანიშვილი ლიტვასთან მატჩში სასტარტოში არ იქნებოდა. ზოგჯერ მწვრთნელები ამას ამა თუ იმ ფეხბურთელის მოტივირებისთვისაც კი აკთებენ. ხიზანიშვილი ორშაბათის ვარჯიშზე ჩინებულად გამოიყურებოდა, სამშაბათს კი მატჩისწინა ვარჯიშამდე რამდენიმე საათით ადრე ის ჩემთან გუნდის ექიმთან ერთად მოვიდა და მითხრა რომ ტრავმა ჰქონდა. შესაბამისად, როგორც ასეთ შემთხვევაში ვიქცევით ხოლმე, ამჯერადაც ისე მოვიქეცი და ხიზანიშვილი შეკრებიდან გავათავისუფლე. ეს იყო და ეს.....

თბილისიდან მე და უჩა უგულავა სამხრეთ აფრიკაში, წილისყრაზე მივემგზავრებოდით, ხიზანიშვილი აეროპორტში ვნახეთ, ჩვეულებისამებრ მივესალმე და გამოველაპარაკე. ისე ნამდვილად არ ყოფილა, რომ ხმა არ გამეცეს მისთვის და უბრად ვყოფილიყავი...

- ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა საკითხი გასაგებია, რომ გადაწყვეტილია. რამე ცვლილებებს ხომ არ უნდა ველოდოთ ასაკობრივი ნაკრებებში?

ნ. ა. - პეტარ სეგრტთან მოქმედი კონტრაქტი გვაკავშირებს და მისი საკითხი ამჯერად არც კი ყოფილა დღის წესრიგში.. რაც შეეხება, 17და 19-წლამდე ნაკრებებს, როგორც გითხარით, ამ საკითხზე მსჯელობა გრძელდება და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ერთად გავაჟღერებთ.

დავით ცაბაძე

CDN კავკასიის სიფრცული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

ბოლოგანი სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL — ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 255 — ტელეფონის დაფიქსირება;
CDN 8-66 — კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ქსელი — ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN — ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა ხანგრძლივ გაუჩინარებლად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

თეზისი

ვახტანგ ძორძიძე - დაიბადა 22.12. 1949. ბათუმი. ფეხბურთი. ნახევარმცველი. თამაშობდა ბათუმის „დინამოში" (1967-69. 1970-74) თბილისის „დინამოსა" (1967-70. 1975-80) და ლანჩხუთის „გურიაში" (1981) სსრკ ნაკრებში ჩაატარა 4 მატჩი (1 გოლი) სსრკ უმაღლეს ლიგაში 144 (22 გოლი) სსრკ ჩემპიონი (1978) მეორე (1977) და ორგზის მესამე (1976) ზაფხული, და 76 შემოდგომა. სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1976, 79) და ფინალისტი (1980) ღირსების ორდენის კავალერი.

www.kazbegi.com

გაახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. გუნდები. დინამო

www.pfl.ge

მესამე ცდა ჭიჭუულისთვის

დუშან უჰრინი

„დინამომ“ „ვიტ ჯორჯიასთან“ წაგების შემდეგ „ლელოს“ ბოიკოტი გამოგვიცხადა, ალბათ იმიტომ, რომ მატჩის შემდეგ „დინამოს“ ფეხბურთელებმა ერთმანეთში რომ იჩხუბეს, გაზეთში რატომ დაინერაო.

ძველი ამბავი გონებაში კი ილექება, მაგრამ უსასრულოდ როდია აქტუალური. „დინამოსთვის“ და ნებისმიერი ქართული კლუბისთვის „ლელო“ ისევ მედიაპარტნიორია, ხოლო „დინამო“ რა გზას აირჩევს, ჯერ უცნობია.

დუშან უჰრინის გუნდმა პირველ წრეში საუკეთესო ხარისხის თამაში აჩვენა. „ამერს“ და „ზესტაფონს“ ისე მოუგო, მეტოქეებმა ძვრაც ვერ უყვეს. „დინამო“ კარგად აწყობილი მექანიზმია, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს სხვა ქართული გუნდების ფონზე.

დიდიე ოვონო და **ჯორჯ აკირემი** - ამ გაბონელმა ახალწვეულებმა უდავოდ გააძლიერეს გუნდი. ოვონო ძალიან საიმედოდ დგას კარში, სტაბილურია და რამდენჯერმე აუღებელი ბურთიც მოიგერია. აკირემი კი ისეთი ფორვარდია, გოლის გატანაც რომ ეხერხება, პასიც, ბრძოლაში ბურთის მიღებაც და კაცის მოტყუებაც.

„დინამო“ მეექვსე ტურამდე არ გასჭირვებია სამქულიანების ახვეტა, ზუგდიდში კი „მგლებთან“ ძნელი მატჩი გადაიტანა - უჰრინის სამწყსო აგებდა და თამაში შემოატრიალა, სტადიონზე კი სიტუაცია ისე დაიძაბა, შინაგანი ჯარი გამოჩნდა.

კლასიკური გამთამაშებელით ახალქართული გუნდებიც აღარ თამაშობენ, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ **მიხეილ ხუციშვილის** სახით „დინამოს“ კარგი ფლეიმეიქერი გამოუჩნდა. ის მხოლოდ ფეხებით არ თამაშობს, გონებაც ძალიან კარგად უჭრის და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი გამორჩეულობას სძენს.

გუნდის მოტორის ფუნქციას **გიორგი მერებაშვილი** ასრულებდა. მას შეუძლია ბურთი მოედნის სიღრმიდან მეტოქის კარამდე მიიტანოს - ის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია გუნდისთვის.

დინამოელებმა პირველ წრეში ყველა თამაში მოიგეს ერთის გარდა. „ვიტ ჯორჯიამ“ ერთხელაც შეახსენა „დინამოს“, რომ მასთან განსაკუთრებული მონდომებით იბრძვის და რომ ისევ უხერხული მეტოქეა მისთვის.

„დინამო“-“ვიტ ჯორჯია“ ძალიან საინტერესო მატჩი გამოდგა. ვიტელთა დამრიგებელმა **ნესტორ მუმლაძემ** დუელი მოუგო უჰრინს, სწორი ტაქტიკა შეარჩია და ფეხბურთელებმაც არ უმტყუნეს. ამ თამაშის შემდეგ „დინამომ“ ლიდერობა დაკარგა და ცხრილის კენწეროში „ზესტაფონი“ მოექცა.

ჰოდა, გაუმძაფრდა ინტრიგა პირველი წრის ბოლო ტურს. „დინამო“-“ზესტაფონისგან“ ძალიან უშელავათო და საინტერესო თამაშს ველოდით, მაგრამ ასე არ მოხდა. „დინამომ“ „ზესტაფონელები“ პირწმინდად დაჯაბნა.

და ვინ შეებრძოლება „დინამოს“ ჩემპიონობისთვის მეორე წრეში? ალბათ, ისევ „ზესტაფოხი“, თორემ „ვიტ ჯორჯიადან“ რამდენიმ ნამყვანი ფეხბურთელი წასვლას აპირებს, „ამერი“ ლიდერს საკმაოდ ბევრი ქულით ჩამორჩება, იგივე დღეშია „ოლიმპი“, სადაც ახალი გუნდის გაკეთებას აპირებენ - ყველაფერი „დინამოს“ სასარგებლოდ მეტყველებს.

„დინამოს“ გრძელი სკამიც აქვს. **სანდრო კობახიძე** და **გიორგი ფეიქრიშვილი** ეროვნულ ჩემპიონატში ერთერთი საუკეთესო ფეხბურთელები არიან, უჰრინი კი მათ ხშირად სათადარიგოებში ამწესებდა.

დავუშვათ, რომ „დინამო“ ჩემპიონი გახდა - რა მოხდება მერე? უჰრინის გუნდში ექვსი ლეგიონერია, რომელთაგან ხუთი თითქმის სულ ხვდება სასტარტოში, მაგრამ ამ ლეგიონერებით „დინამოს“ ევროსარბიელზე დიდი პერსპექტივა ალბათ, არ უჩანს.

ბოლო ორ სეზონში „დინამო“ უტიტულოდ დარჩა და კლუბისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩემპიონატის თუ თასის მოგება, მაგრამ „დინამოს“ ხომ უფრო დიდი თვალსანიერი უნდა ჰქონდეს...

დავით თავართქილაძე

დინამოს ლიდერები გიორგი მერებაშვილი და მიხეილ ხუციშვილი ზესტაფონთან მატჩში

დინამო I წრეში



	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დინამო	13	12	0	1	35:4	36
2. ზესტაფონი	13	11	1	1	26:6	34
3. ვიტ ჯორჯია	13	10	1	2	25:8	31
4. გორგიანი	13	7	4	2	17:9	25
5. ოლიმპი	13	7	3	3	13:8	24
6. ამერი	13	7	0	6	21:16	21
7. მესხეთი	13	6	2	5	15:17	20
8. მგლები	13	5	0	8	14:19	15
9. სიონი	13	4	3	6	16:17	15
10. სპარტაკი	13	3	3	7	5:14	12
11. მერანი	13	3	1	9	7:23	10
12. ლოკომოტივი	13	3	0	10	8:21	9
13. დილა	13	1	3	9	7:24	6
14. გათუმი	13	1	1	11	5:28	4

დინამო

	მატჩი	ძირითადში	გოლი	ჯვითელი	წითელი
კრშკო	13	13	-	3	-
ზელიჩი	13	13	-	-	-
აკირემი	13	13	6	1	1
დიღმელაშვილი	13	13	1	2	-
ხმალაძე	13	13	1	2	-
ხუციშვილი	13	11	10	4	-
სპასოევიჩი	13	7	6	3	-
ოვონო (მეკ.)	12	12	-3	2	-
შ. კაშია	12	12	-	-	-
გ. მერებაშვილი	12	11	8	2	-
დოგეში	11	11	-	-	-
კობახიძე	11	3	2	1	-
ოდიკაძე	11	3	-	-	-
ფეიქრიშვილი	9	4	-	-	-
გ. კაშია	7	3	-	1	-
ფირცხალავა	3	-	-	-	-
ვაწაძე	2	-	-	-	-
ლორია (მეკ.)	1	1	-1	-	-
თოფაშვილი	1	-	-	-	-

I ტური
11.08 ს ოლიმპი 2:0
გოლები: აკირემი, ხუციშვილი

II ტური
25.08 ს გორგიანი 2:1
გოლები: მერებაშვილი, სპასოევიჩი

III ტური
3.08 შ მერანი 3:0
გოლები: მერებაშვილი, სპასოევიჩი, ხუციშვილი

IV ტური
15.09 ს სპარტაკი 3:0
გოლები: სპასოევიჩი, ხუციშვილი, აკირემი

V ტური
19.09 შ სიონი 3:0
გოლები: ხუციშვილი, მერებაშვილი, აკირემი

VI ტური
22.09 ს მგლები 2:1
გოლები: მერებაშვილი, ხუციშვილი

VII ტური
29.09 შ გათუმი 7:0
გოლები: აკირემი (2), კობახიძე (2), ხუციშვილი, ხმალაძე, სპასოევიჩი

VIII ტური
6.10 ს ამერი 2:0
გოლები: სპასოევიჩი, ხუციშვილი

IX ტური
19.10 შ ვიტ ჯორჯია 0:1

X ტური
27.10 ს მესხეთი 2:0
გოლები: სპასოევიჩი, აკირემი

XII ტური
24.11 ს ლოკომოტივი 2:1
გოლები: მერებაშვილი (2)

XIII ტური
2.12 შ დილა 5:0
გოლები: ხუციშვილი (3), მერებაშვილი (2)

XI ტური
6.12 შ ზესტაფონი 2:0
გოლები: დიღმელაშვილი, ხუციშვილი

www.kazbegi.com

გასხლენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული პიბლიოთეკა

www.pfl.ge



გიორგი დემეტრაძე

გიორგი დემეტრაძე არსენალიდან მიდის?

კიეველთა პრეზიდენტი ქართველს ცალკე დაელაპარაკება

საქართველოს ნაკრებისა და კიევის „არსენალის" თავდამსხმელ **გიორგი დემეტრაძეს** კლუბის პრეზიდენტთან ცალკე მოუწევს საუბარი. ამის შესახებ კიეველთა თავკაცმა **ვადიმ რაბინოვიჩმა** გაზეთ „კომანდასთან" საუბარში განაცხადა.

„რამდენიმე ფეხბურთელმა „არსენალი" უკვე დატოვა. როგორც კლუბის პრეზიდენტს, გიორგი დემეტრაძისადმი შეკითხვები გამიჩნდა და საჭიროდ მიმაჩნია, მას ერთი-ერთზე გავესაუბრო. ამის შემდეგ ვიტყვი, დარჩEბა იგი ჩვენთან თუ არა", - ასეთია რაბინოვიჩის პოზიცია.

გაზეთმა გუშინ გუნდს სტატია მიუძღვნა და შესაძლო ნამატ-დანაკლისებზე არსებული ინფორმაციაც გამოაქვეყნა.

ყველაზე რეზონანსული ამბავი „არსენალის" კაპიტნის, **ანდრეი მიზინის** წასვლა აღმოჩნდა. კლუბის ხელმძღვანელობამ მასთან კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა. მასთან ერთად, გუნდს კიდევ რამდენიმე კაცი დატოვებს, მაგალითად, **რუსლან იაროში**

. არაა გამორიცხული, მის გზას გიორგი დემეტრაძეც გაუყვეს, რომელმაც პირველი წრე აშკარად ჩააგდო. ქართველი ლეგიონერის ბედი იანვარში გაირკვევა."

როგორც ჩანს, გიორგის ბედი კიევის დინამოელებზეა დამოკიდებული. ერთი შეხედვით, ეს უცნაური კავშირია, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ „არსენალი" „დინამოდან" გაგდებულ **ალექსანდრ შოვკოვსკისა** და **სერგეი რებროვს** იწვევს. მოგეხსენებათ, ეს უკანასკნელი თავდამსხმელია და თუკი „მეთოფეებს" შეუთანხმდება, მაშინ დემეტრაძეს, შესაძლოა, ახალი კლუბის მონახვა დასჭირდეს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთი მინიშნება გააკეთა „კომანდამ".

სამწუხაროდ, გიორგისთვის 2007 წელი კარიერის განმავლობაში ყველაზე ნარუმატებელი აღმოჩნდა. „არსენალში" გადასული 31 წლის თავდამსხმელი ძირითადში ვერ ხვდებოდა, რაზეც მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრე ზავაროვი** თავიდან არაფერს ამბობდა, მაგრამ შემდეგ გიორგი მკაცრად გააკრიტიკა.

ეტყობა, ახლა კლუბისა და გიორგის ურთიერთობები საბოლოოდ უნდა გაირკვეს.

მერაბ მამულაშვილი

კოშკაძე და დავითაშვილი ყაზახეთში?

სულიკოს ამერის მიტოვება არ სურს

სულიკო დავითაშვილი

რუსთავის „ოლიმპის" უკრაინიზაციას ბევრი ფეხბურთელი შეეწირა და მათ შორის, ნახევარმცველი **ალეკო კოშკაძე**. იგი „ოლიმპიდან" გაუშვეს და ახალ კლუბს ეძებს. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მენეჯერი მას ყაზახეთში გადასვლას სთავაზობს.

„ჯერ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ყაზახეთში კი არა, ომშიც ნავალ, ოღონდ ნორმალური პირობები და ფინანსები იყოს. საქართველოში თამაში უკვე ძალიან გაუსაძლისი გახდა. წამყვან კლუბებსაც უჭირთ, არათუ აუტსაიდერებს. აქ მაგარი წვალებაა. ყაზახეთზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ჯერ კონკრეტული წინადადება არც ადგილობრივი გუნდებიდან მიმიღია და არც უცხოეთიდან. საქმეს ის მირთულებს, რომ „ოლიმპთან" კონტრაქტი მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ მიმთავრდება, მაგრამ იმედი მაქვს, არენდით თამაშის უფლებას მაინც მომცემენ", - გვითხრა კოშკაძემ.

ყაზახეთში გადასვლაზე თბილისის „ამერის" ლიდერ **სულიკო დავითაშვილს** უკვე ესაუბრნენ, მაგრამ აბრეზას თბილისური კლუბის მიტოვების სურვილი არ ეტყობა: *„დასამალი არაა, რომ არის შეთავაზებები, ყაზახეთში საკმაოდ კარგი პირობებია და ურიგო არ იქნებოდა წასვლა, მაგრამ გულახდილად ვამბობ - არ მსურს, „ამერი" გასაჭირში მივატოვო. გუნდმა პირველი წრე სასურველი შედეგით ვერ დასრულა და დაკარგულის ანაზღაურებას მეორეში უნდა შევეცადოთ. ასეთ დროს გუნდის მიტოვება არ მსურს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ამერიდან" ბევრი სიკეთე მახსოვს, დიდი წარმატებებს მივაღწიე და ასე უცებ წავიდე? ისიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ კონტრაქტი მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ მიმთავრდება."*

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები

არზიანი ანჟიში რჩება

მახაჩყალის „ანჟი" ახალ სეზონში პრემიერლიგაში დაბრუნებას შეეცდება. **ომარ თეთრაძის** ხელმძღვანელობით, დაღესტნური კლუბი პირველ შეკრებას თურქეთის საკურორტო ქალაქ ანთალიაში 11 იანვრიდან 1 თებერვლამდე ჩაატარებს.

იქ გუნდს ორი ახალი ქართველი მოთამაშე, მცველი **ვალერი აბრამიძე** და თავდამსხმელი **მიხეილ აშვეთია** დაემატება. მათ კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში გააფორმეს, მაგრამ მანამდე „ანჟიდან" წასული ფეხბურთელებისადმი კლუბის დავალიანების გამო, ნახევარი სეზონი გაუცდათ.

გაზეთი „სპორტ-ექსპრესი" იუწყება, თითქოს „ანჟის" ქართველი ნახევარმცველი **ზურაბ არზიანი** დაემშვიდობა, მიზეზად საარენდო ვადის დასრულება დაასახელა.

ზურა დღემდე იურიდიულად ყაზანის „რუბინს" ეკუთვნის, მაგრამ შარშან „ანჟიში" გაანათხოვრეს. ფეხბურთელის მამამ, მალხაზ არზიანმა გვითხრა, რომ კლუბებმა ხელახალ შეთანხმებას მიაღწიეს და 20 წლის ფეხბურთელი მომავალ ნელსაც მახაჩყალელებს დეხმარება.

მართალია, ყაზანელებს ქართველი ნახევარმცველის დაბრუნება სურდათ, მაგრამ ფეხბურთელმა „ანჟიში" დარჩენა ამჯობინა, რადგან კლუბს შეეჩვია, მერე „რუბინიც" დაიყაბულა და არენდა გაგრძელდა.

არზიანით სხვა მიზეზის გამოც დავინტერესდით. ის რუსეთის მოქალაქეა ამის გამო, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ვერ ეხმარება. როგორც შევიტყვეთ, ჩვენი ფეხბურთის ფედერაციაში ზურაბით დაინტერესდნენ, ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვევასაც უპირებდნენ, მაგრამ რუსულმა პასპორტმა დაბრკოლება შექმნა.

ამასობაში, ქართველ ფეხბურთელს რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა დაადგა თვალი. ეს ინფორმაცია ოჯახში გადავამოწმეთ და მამამისმა, ბატონმა მალხაზმა დაგვიდასტურა. ზურას მართლა ინვევდნენ, მაგრამ ტრავმის მომიზეზებით, რუსებს უარი უთხრა, რადგან საქართველოს სახელით სურს გამოსვლა.

რუსულ პასპორტზე უარის შემთხვევაში, მას ხელ-ფეხი ეხსნება ნაკრებში, მაგრამ კლუბში პრობლემები შეექმნება. რუსეთის მოქალაქეობა ლიმიტის პრობლემის მოსაგვარებლად სჭირდება. ასე მას უცხოელად არ განიხილავენ და ნებისმიერ დროს შეუძლია ითამაშებს. ასეთივე პრობლემის გამო, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მეკარე **ალექსანდრე ჩიხრაძის** ჩამოყვანაც ჩაიშალა.

რა მოხდება მომავალში, ძნელი სათქმელია. ზურა უნივერსალია და მასზე მოთხოვნილება ამით აიხსნება. გასულ სეზონში მას მწვრთნელმა მეკარეობის გარდა, ყველა სხვა პოზიციაზე თამაში დაავალა. იყო საყრდენი და მარჯვენა ნახევარმცველი, მარჯვენა მცველი და თქვენ წარმოიდგინეთ, თავდამსხმელიც.

იმედია, ამ ბიჭის საკითხი მაინც გადაწყდება სასიკეთოდ, საქართველოს ნაღდად არ ჰყავს შვილი დასაკარგავი. მთავარია, რომ სხვა ქვეყნის ნაკრებში არ უთამაშია და იმედია, რომ ადრე თუ გვიან საქართველოს მაინც დეხმარება.

დაბოლოს, ისევ „ანჟის" მივუბრუნდებით და გეტყვით, რომ წელს დაღესტნელები კვლავ ქართველების იმედად არიან. **ომარ თეთრაძესა** და ქართველ ფეხბურთელთა ოთხეულს (**აშვეთია, აბრამიძე, არზიანი, ხოჯავა**) მომავალ წელს სერიოზული ბრძოლა ელით.

მერაბ მამულაშვილი

ქეცბაია დაუმარცხებელია



თემურ ქეცბაია

კვიპროსზე საფეხბურთო სეზონი ზამთარში ფაქტობრივად არ წყდება, ამ კუნძულზე შესანიშნავი კლიმატური პირობებია და ამიტომ გუნდები მხოლოდ საახალწლოდ თუ ისვენებენ. 14-გუნდიან A დივიზიონში პირველი წრე უკვე მორჩა, გუნდებმა 13-13 მატჩი გამართეს. პირველი წრის გამარჯვებული ქართველი მწვრთნელის **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისია", ფამაგუსტელებს 31 ქულა აქვთ (9 მოგება და 4 ფრე) და უახლოეს მდევარ „აპოელს" ოთხი ქულით უსწრებენ. აღსანიშნავია, რომ ქეცბაიას ერთ-ერთი თანაშემწე **სოსო ჭედიაა**. პირველ წრეში ორი ქართველი ლეგიონერი თამაშობდა კვიპროსში, ახნასის „ეთნიკოსის" 32 წლის შემტევი ნახევარმცველი **ლევან ქებაძე** და საბერძნეთიდან დაბრუნებული **ლევან მაღრაძე** (აპოლონი). „აპოლონმა" წრე 23 ქულით მეოთხე ადგილზე დასრულა, „ეთნიკოსი" ცუდად თამაშობს - 12 ქულით მხოლოდ მე-11 ადგილზეა და გასავარდნ ზონას ქულაღა აშორებს.

წლეულს ჩემპიონატში ერთი ტურიც გაიმართება, ხვალ ქეცბაიას გუნდი მესამეადგილოსან „ენოსისს" მასპინძლობს. დღეს „ანორთოსისი" „ალკის" მასპინძლობს, მაღრაძის „აოპლონი" აელ-ს ესტუმრება, ლევანს ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მოუწევს თამაში. სამივე კლუბი პარალელურად თასზეც ასპარეზობს, სადაც ორი 4-4 გუნდიანი ჯგუფია. „ანორთოსისი" „არისს" ესტუმრა და 3:2 გაიმარჯვა. ორი ტურის შემდეგ ქეცბაიას გუნდს 4 ქულა აქვს.

კვიპროსულ რადიო „სუპერ სპორტ ფმ"-თან ინტერვიუში თემურ ქეცბაიამ განაცხადა, რომ ჯერ მის კლუბს საქმის ნახევარიც არ შეუსრულებია და რომ ძნელია ჩემპიონატის ფავორიტობაზე საუბარი. ქეცბაია გახარებულია, რომ გასულ წელთან შედარებით მისი გუნდის სათადარიგოთა სკამი საკმარისად გრძელია, იმისთვის, რომ მოულოდნელმა ტრავმებმა გუნდი ჩემპიონატში არ შეაფერხოს. ქეცბაია მომავალ სატრანსფერო პოლიტიკას შეეხო და ქართველი ფეხბურთელი არც ამჯერად უხსენებია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წილისყრა

გაზაფხულის 16 გაელვება

ინგლისურ-იტალიური დუელები, 3 ძალიან დამაინტრიგებელი და 5 ტრადიციულად საინტერესო ჯგახი. ველით თებერვალს!

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის წილისყრამ სამი ძალიან დამაინტრიგებელი და 5 ტრადიციულად საინტერესო წყვილი შეადგინა. მერვედფინალში სუსტი გუნდი ვერ გავა, მაგრამ მაინც: აი, უკვე მერამდენედ ხდება ისე, რომ ერთ მხარეს „ფენერბაჰჩესა“ და „სევილიის“ ჯგახია, მეორე მხარეს კი „ლივერპული“ „ინტერს“ უნდა შეხვდეს, აქეთ „შალკე“-„პორტუ“ და იქით „არსენალი“-„მილანი“ ან „რომა“-„რეალი“. ისე, დააკვირდით: სამივე დამაინტრიგებელ წყვილში იტალიური კლუბები არიან, შესაბამისად, სწორედ მათ უნდა თქვან, არ გაგვიმართლაო. იმ სამი ძალიან დამაინტრიგებელი წყვილიდან, ორი იტალიურ-ინგლისური ჯგახია – ესეც დამატებითი ინტრიგა!

შალკე-პორტუ
ლივერპული-ინტერი
რომა-რეალი
ოლიმპიაკოსი-ჩელსი
სელტიკი-ბარსელონა
ლიონი-მანჩესტერი
არსენალი-მილანი
ფენერბაჰჩე-სევილია

პირველი მატჩები 20 თებერვალს გაიმართება, საპასუხო 4 მარტს



რომას რეალი! ლუჩანო სპალეტის სევილია ან პორტუ ერჩივნა...

ლივერპული-ინტერი

მაშ ასე: „ინტერი“-„ლივერპულის“ წინააღმდეგ – იტალიის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი და მოქმედი ჩემპიონი, რომელიც ბოლო დროს სულ უფრო და უფრო კარგ ფეხბურთს აჩვენებს და თავისი გულშემატკივრები აღფრთოვანებაში მოჰყავს, უნდა დაუპირისპირდეს კლუბს, რომელიც ინგლისის დიდ ოთხეულში დღესდღეობით აუტსაიდერია. „ლივერპულმა“ სეზონი ჩემპიონთა ლიგაში მძიმედ დაიწყო და სულაც ჯგუფში ჩარჩენა ემუქრებოდა, მაგრამ **რაფა ბენიტესის** გუნდმა ბოლო სამი თამაში იდეალურად ჩაატარა და მაინც საუკეთესო 16-ს შორის მოხდა. რაც არ უნდა დიდი უპირატესობა ჰქონდეს „ნერაძურის“ სერია A-ში და რაც არ უნდა ბევრი ქულით ჩამორჩეს „ლივერპული“ პრემიერლიგაში ლიდერებს, ამ ორ გუნდს შორის შანსები მაინც 50/50-ზეა – თუნდაც იმიტომ, რომ მერსისაიდელებს ბენიტესი ჰყავთ, რომელმაც თუნდაც ამ სეზონში, ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურებში გამოავლინა თავისი შესაძლებლობები.

ზუსტად 43 წლის წინათ, „ლივერპული“ და „ინტერი“ ერთმანეთს ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში შეხვდნენ. ეს 1964/65 წლების სეზონში მოხდა და მაშინ „ლივერპულმა“ „ნერაძურის“ საკუთარ მოედანზე 3:1 მოუგო, მაგრამ სტუმრად 0:3 განადგურდა, რაც იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ ფინალში „ინტერი“ გავიდა და სხვათა შორის, მაშინ „ინტერნაციონალემ“ ჩემპიონთა თასი მეორედ და დღემდე უკანასკნელად მოიგო. "ლივერპულს“ იტალიურ კლუბებთან 6 საშინაო შეხვედრიდან 4 მოგებული აქვს, მაგრამ სტუმრად 6 მატჩიდან მხოლოდ ერთში იმარჯვა. მიუხედავად ამისა, მერსისაიდელთა დამრიგებელი ბენიტესი ფიქრობს, რომ „ინტერს“ უფრო უნდა ეშინოდეს „ლივერპულისა“, ვიდრე პირიქით.

„დარწმუნებული ვარ, რომ მილანელები ძალიან ინერვიულებენ. ალბათ გახსოვთ, მე შარშანაც ვთქვი, „ბარსელონას“ უფრო აქვს სანერვიულო, ვიდრე ჩვენ-მეთქი. არავინ იცის, რა იქნება 2 თვის შემდეგ და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მეოთხედფინალში გავიდეთ,“ – განაცხადა ბენიტესმა, რომელსაც „ინტერნთან“ დაპირისპირებებიდან არცთუ სახარბიელო მაჩვენებელი აქვს. როდესაც ის „ვალენსიას“ თავკაცობდა, მისი სამწყსო „ინტერმა“ ორჯერ დაიფრინა: 2001/02 წლებში უეფას თასის მეოთხედფინალიდან, ერთი წლის შემდეგ კი უკვე ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან. ბენიტესი: *„დიახ, „ინტერი“ ძალიან ძლიერია და მე ამ გუნდის თამაში კარგად არ მაქვს შესწავლილი, მაგრამ აუცილებლად შევისწავლი. ჩემპიონთა ლიგაში იოლი მატჩი არ არსებობს, ვისაც ამ ტურნირის მოგება უნდა, ტოპგუნდებიც უნდა დაამარცხოს. და „ლივერპულს“ ძალიან უნდა ჩემპიონთა ლიგის მოგება!“*

„ინტერს“ ინგლისში ცხრა მატჩი აქვს ჩატარებული და მხოლოდ სამში გაიმარჯვა. „ნერაძურის“ თავკაცი **რობერტო მანჩინი** წილისყრის შემდეგ უკმაყოფილებას ვერ მალავდა, მაგრამ იმედი გამოთქვა, რომ მისი ფეხბურთელები ყველაფერს გააკეთებენ მეოთხედფინალში გასასვლელად. აი, რა განაცხადა მანჩინიმ: *„მერვედფინალში სუსტი გუნდი ვერასდროს გავა, მაგრამ შეიძლებოდა, „ლივერპულზე“ სუსტი მეტოქეც გვყოლოდა. თუმცა, ჩვენ უკვე მივიღეთ გამოცდილება და ვიცით, რომ როცა სუსტი გუნდი შეგხვდება, უფრო დიდი შანსია, რომ მოეშვა და წაგო. ძლიერთან კი, ყოველთვის მაქსიმალურად მოტივირებული ხარ ყურადღებით თამაშობ. საბოლოო ჯამში, უმჯობესია, მერვედფინალიდან ყოველთვის ძლიერ მეტოქეებს გადაეყარო, რადგან თუ ტურნირის მოგება გინდა, ნებისმიერი უნდა დაამარცხო. ეს მატჩები ისტორიაში შევა, მე მჯერა ჩემი გუნდის!“*

„ლივერპული“ ძალიან რთული მეტოქეა,“ – ეს სიტყვები უკვე „ინტერის“ პრეზიდენტ **მასიმო მორატის** ეკუთვნის, - *„მაგრამ სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან ჩემპიონთა ლიგაში ყოველთვის ასე ხდება. ჩვენ ვიცით, რომ „ლივერპულის“ სახით წინ დიდი ბარიერია, რომელიც აუცილებლად უნდა გადავლახოთ!“*

არსენალი-მილანი

მერვედფინალის ყველაზე საინტერესო წყვილი „არსენალი“-„მილანია“. ინგლისის ჩემპიონატის ლიდერი და გუნდი, რომელიც არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დღესდღეობით ევროპაში ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს, ხვდება გუნდს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებულია. ერთადერთი, რაც ამთავითვე ცხადია, არის ის, რომ 2 ძალიან საინტერესო დაპირისპირება გველის. „როსონერი“ სერია A-ზე ხელს არ ჩაიქნევს, მაგრამ ფაქტია, რომ **კარლო ანჩელოტიმ** ისევ მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე უნდა იფიქროს, რადგან იტალიის ჩემპიონატში „მილანს“ საქმე ცუდად აქვს. „მეთოფეებს“ კი, რომლებიც ახლა იდეალურ ფორმაში არიან, მაგრამ არავინ იცის, როგორ ფორმაში იქნებიან 2 თვის შემდეგ, 2006 წლის მიღწევის გამეორება სურთ (მაშინ ფინალში გავიდნენ) და სხვათა შორის, მაშინდელ ფლეი ოფში მათ იტალიური კლუბი, ტურინის „იუვენტუსი“ დაიფრინეს.

„არსენალი“ და „მილანი“ დღემდე ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ დაუპირისპირდნენ – 1994/95 წლების სეზონში, სუპერთასზე. მაშინ „ჰაიბერიზე“ ჩატარებული მატჩი 0:0 დასრულდა, ხოლო „სან სიროზე“ კი, „მილანმა“ **ზვონიმირ ბობანისა** და **დანიელე მასაროს** გოლებით მოიგო და გახდა პირველი გუნდი, რომელიც მესამედ დაეუფლა სუპერთასს. „როსონერის“ შინ ინგლისურ კლუბებთან 11 მატჩი აქვს ჩატარებული და არცერთში არ დამარცხებულა, მაგრამ ნისლიან ალბიონზეც მხოლოდ ერთხელ აქვს მოგებული (2004/05 წლების სეზონში მანჩესტერში).

„არსენალი“ მეორე კალათაში განთავსებული გუნდებიდან ყველაზე ძლიერი იყო,“ – აცხადებს ანჩელოტი, - *„ეს გუნდი „ლივერპულზე“ ტექნიკურია და უფრო მეტი შეუძლია. „არსენალს“ ახალგაზრდა და დიდი პოტენციალის მქონე გუნდი ჰყავს. ვფიქრობ, რომ სესკ ფაბრეგასი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია.“*

„მილანის“ გაგდება ძალიან ძნელია, მაგრამ თუ თქვენ მკითხავთ, აქვს თუ არა „არსენალს“ ამის შანსი, მე გიპასუხებთ: დიახ!“ – ეს სიტყვები „მეთოფეების“ დამრიგებელ **არსენ ვენგერს** ეკუთვნის, რომელიც იქვე დასძენს, - *"მთავარია, რომ ჩვენ ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ. თუ ჩემპიონთა ლიგის მოგება გვინდა, გზიდან საუკეთესო გუნდებიც უნდა ჩამოვიშოროთ. „მილანი“ კი ნამდვილად საუკეთესოა როგორც ევროპაში, ასევე მთელს მსოფლიოში.“*

რომა-რეალი

სამი წლის წინათ „რეალმა“ „რომას“ ბარიერი ძალიან იოლად გადალახა. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ: „სამეფო გუნდმა“ რომაულ კლუბს მისსავე „ოლიმპიკოზე“ 3:0 მოუგო, მერე კი, „სანტიაგო ბერნაბეუზეც“ დაამარცხა (4:2). ცხადია, „რომას“ შურისძიება მართებს. თუკი ამ ორ თვეში **ლუჩანო სპალეტის** სამწყსო დაიბრუნებს იმ აღმფრენას, რაც სექტემბერში ჰქონდა, „რომას“ „რეალის“ გაგდება შეეძლება, თუ არა და, **ბერნდ შუსტერის** გუნდი ამ წყვილის ფავორიტია.

ეს გუნდები უკვე 6-ჯერ წარსდგნენ ერთმანეთის წინააღმდეგ და აქედან, 4 მატჩი „რეალის“ გამარჯვებით დასრულდა. თუმცა გასახსენებელია რომაელთა საინტერესო გამარჯვება 2002/03 წლების სეზონში, როცა „ჯალეროსიმ“ მადრიდში **ფრანჩესკო ტოტის** გოლით 1:0 მოიგო. *„რომას“ ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს და ამიტომაც, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ვფქრობ, დაძაბული მატჩები გველის,“* – განაცხადა ნილისყრის შემდეგ მადრიდელთა სპორტულმა დირექტორმა **პრედრაგ მიატოვიჩმა** და იქვე დასძინა, - *„ჩვენ პატივს ვცემთ მეტოქეს, მაგრამ მიმაჩნია, რომ „რეალს“ მცირე უპირატესობა აქვს.“*

როგორც იცით, „რეალს“ ჩემპიონთა თასი სულ 9-ჯერ აქვს მოგებული და აქედან, მადრიდელებმა სამჯერ ფინალი იტალიურ კლუბებს მოუგეს. გასახსენებელია ისიც, რომ 1964 წელს „ინტერთან“ სწორედ ფინალში დამარცხდნენ. „რომას“ ესპანურ კლუბებთან უჭირს – სტუმრად 10 თამაშიდან მხოლოდ 2 მოიგო, შინ კი, 10 მატჩიდან 5 მოიგო და 5-ში დამარცხდა! შესაბამისად, ნამდვილად არაა გასაკვირი ის, რომ სპალეტი მერვედფინალში სხვა მეტოქეს ისურვებდა. *„პორტუ“ ან „სევილია“ ნამდვილად მერჩივნა,“* – ამბობს რომაელთა თავკაცი, - *„მადრიდელებს თავიდან მცირე პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ მერე გამოსწორდნენ. ვფიქრობ, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, თუ ჩვენს თამაშს ვითამაშებთ, მაშინ არავისი არ უნდა გვეშინოდეს და მათ შორის, არც „რეალის“. სიმართლე გითხრათ, სულაც არ ვწუხვარ იმის გამო, რომ პირველი თამაში სახლში გვექნება. ბევრს მიაჩნია, რომ პირველად სტუმრად ჯობია ასპარეზობა, მაგრამ ეს მენტალური გემოვნების საკითხია, მე პირველი თამაშის ჩატარება ყოველთვის სახლში მირჩევნია.“*

ლიონი-მანჩესტერი

ზუსტად სამი წლის წინათ, „ლიონი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე D ჯგუფში ერთად მოხვდნენ და მაშინ, ჯგუფიდან ორივე მათგანი გავიდა, თუმცა პირველი ადგილი არა მოლოდინისამებრ „მანჩესტერმა“, არამედ „ლიონმა“ დაიკავა და ეს მიუხედავად იმისა, რომ ფრანგულმა კლუბმა მანკუნიანელებს ვერცერთხელ ვერ მოუგო (2:2, 1:2). მაშინდელი დაპირისპირებების შემდეგ, **სერ ალექს ფერგიუსონი ესიენის, დიარას** და **მალუდას** ქებაში იყო და მათი გადაბირება ძალიან სურდა, მაგრამ საბოლოოდ ვერცერთი ვერ იგდო ხელთ.

ბოლოს და ბოლოს, როდის გავა „ლიონი“ მეოთხედფინალში? შარშან, როცა ფრანგულ კლუბს **ჟერარ ულიე** წვრთნიდა, „ლიონს“ მერვედფინალში „რომა“ გადაეღობა, ის „რომა“, რომელიც მერე სწორედ „მანჩესტერმა“ გაამწარა. თუკი „ლიონი“ „მანჩესტერთან“ დაპირისპირებამდე საფრანგეთის ჩემპიონატში გარკვეულ უპირატესობას შეიქმნის, მთელ აქცენტს ჩემპიონთა ლიგაზე გადაიტანს და „მენიუსთან“ შესახვედრად სერიოზულად მოემზადება, **ალენ პერენის** გუნდს ნამდვილად შეეძლება მანკუნიანელთა ბარიერის დაძლევა.

სერ ალექს ფერგიუსონი მიიჩნევს, რომ „ლიონი“ ყველაზე ძლიერი გუნდია იმ გუნდებს შორის, რომლებიც „მანჩესტერს“ შეიძლებოდა შეხვედროდენ. აი, რა განაცხადა ფერგიმ: *„ლიონმა“ ზედიზედ ექვსჯერ მოიგო საფრანგეთის ჩემპიონატი – ეს სერიოზული რეკორდია. მართალია, ეს გუნდი წლიდან წლამდე ძალიან კარგ ფეხბურთელებს კარგავს, მაგრამ „ლიონს“ ეს არასდროს არ ეტყობა, რადგან ახლები ამართლებენ. იმედი მაქვს, რომ ყველა ჩემი ფეხბურთელი ჯანმრთელად იქნება. მთავარია, საფრანგეთში დამაკმაყოფილებელ შედეგს მივაღწიოთ, მერე კი, „ოლდ ტრაფორდზე“ ჩვენი ქომაგების მხარდაჭერის იმედი მაქვს, მეოთხედფინალში ისინი გაგვიყვანენ!“*

„მერჩივნა, „პორტუს“ ან „სევილიას“ შევხვედროდით, „მანჩესტერი“ ხომ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. თუმცა, სამი ტურის შემდეგ, არავინ ელოდა, რომ ჩვენ მერვედფინალში გავიდოდით. ახლა ყველას ჰგონია, რომ „მანჩესტერი“ „ლიონს“ გააგდებს. მე გეტყვით: ჩვენ შეგვიძლია სენსაციის მოხდენა!“ – ეს სიტყვები "ლიონის“ მთავარი მწვრთნელის, ალენ პერენის ასისტენტ **კრისტოფ გალტიეს** ეკუთვნის.

სელტიკი-ბარსელონა

2004 წლის შემოდგომაზე, „სელტიკი“ და „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ერთად თანაშობდნენ და მაშინ შოტლანდიურმა კლუბმა „კამპ ნოუზე“ ფრეს მიაღწია, მაგრამ საკუთარ „სელტიკ პარკზე“ კი, 1:3 დამარცხდა. იმ შეხვედრაში ბოლო, „საკონტროლო გასროლის“ ავტორი **ჰენრიკ ლარსონი** გახლდათ, რომელმაც მატჩამდე ნახევარი წლით ადრე, „ბარსას“ სწორედ „სელტიკიდან“ მიაშურა. ფავორიტი, რა თქმა უნდა, „ბარსელონაა“.

„სელტიკის“ თავკაცი **გორდონ სტრაჩანი** როგორც თავისი კლუბის, ასევე „ბარსელონას“ გულშემატკივრებს 2 ძალიან საინტერესო და დაძაბულ საღამოს ჰპირდება. *„მაპატიეთ, შესაძლოა, ზედმეტად ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, მაგრამ ჩვენ ისეთი განცდა გვაქვს, რომ ნებისმიერის დამარცხება შეგვიძლია. ვფიქრობ, ორი ძალიან დაძაბული და დამაინტრიგებელი მატჩი გველის,“* – განაცხადა სტრაჩანმა, - *„სელტიკს“ ახალგაზრდა გუნდი ჰყავს, რომელსაც საკმაოდ შორს წასვლა შეუძლია.“*

„სელტიკი“ საკუთარ მოედანზე ძალიან ძლიერია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ის, რომ პირველ შეხვედრას გასვლაზე ვთამაშობთ. მე არ ვიტყოდი, რომ იოლი მეტოქე შეგვხვდა. გლაზგოში ძალიან ფრთხილად უნდა ვითამაშოთ,“ – ეს კატალონიური გრანდის სპორტული დირექტორის, **ჩიკი ბეგირისტაინის** სიტყვებია.

ოლიმპიაკოსი-ჩელსი

„ოლიმპიაკოსმა“ ჯგუფურ ეტაპზე ყველა განაცვიფრა – ბერძნებმა ჯგუფში ზუსტად იმდენი ქულა დააგროვეს, რამდენიც მადრიდის „რეალმა“ და ისეთი გუნდები, როგორებიცაა „ლაციო“ და „ვერდერი“, ჯგუფში ჩატოვეს. „ჩელსისთანაც“ ალბათ თამამად ითამაშებენ, მაგრამ შანსი იმისა, რომ რამე გამოუვიდეთ, დაგვეთანხმებით, ძალიან მცირეა. „ოლიმპიაკოსი“ ხელნამოსაკრავი მეტოქე არ არის, მაგრამ „ჩელსის“ არა აქვს იმის უფლება, რომ ჩემპიონთა ლიგაში თავისი გამოსვლა ასეთ ადრეულ ეტაპზე, თანაც ასეთ კლუბთან დაასრულოს.

მაგრამ ბერძნები ოდნავადაც არ შიშობენ - *„ლაციოს და „ვერდერს“ სტუმრად მოვუგეთ, მადრიდშიც ძალიან ვაჟკაცურად ვიბრძოლეთ. ვფიქრობ, „სტამფორდ ბრიჯზე“ სასურველი შედეგის მიღწევა შეგვიძლია, შინ კი, ქომაგები დაგვეხმარებიან,“* – აცხადებს „ოლიმპიაკოსის“ თავკაცი **პანაგიოტის ლემონისი**.

„ოლიმპიაკოსი“ ძლიერი გუნდია, რომელსაც ნებისმიერი გრანდის გამწარება შეუძლია. ამიტომაც, დიდი სიფრთხილე გვმართებს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ბიჭები ჩვეულ თამაშს აჩვენებენ და ორი მატჩის ჯამში მეოთხედფინალში გავალთ,“ – ეს „არისტოკრატთა“ დამრიგებელის, **ავრაამ გრანტის** განცხადებაა.

ფენერბაჰჩე-სევილია

ანდალუსიურმა კლუბმა ბოლო ორ სეზონში უეფას თასი ორჯერ მოიგო და დაამტკიცა, რომ ფლეი ოფში ძალიან ძლიერია. „სევილიას“ ამჯერად ძალებს ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში მოსინჯავს. ესპანელთა უმთავრესი თავსატეხი ის იქნება, თუ როგორ მიაღწიონ სასურველ შედეგს ფენერბაჰჩესთან სტუმრად – **ზიკოს** გუნდს არა მარტო არ წაუგია არცერთი საშინაო მატჩი მიმდინარე სეზონში, არამედ, მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა და ისიც საკუთარი მცველისგან (**ედუ**). ვფიქრობთ, შანსები თანაბარია.

შალკე-პორტუ

ეს გუნდები ბოლო დროს ერთმანეთს არ შეხვედრიან და საერთოდ, „შალკესა“ და „პორტუს“ წყვილი ალბათ ერთადერთია, სადაც ნილისყრამ ორივე მომხედური კმაყოფილი დატოვა. „პორტუმ“ ჯგუფში პირველი დაიკავა და უკან „ლივერპული“ და „მარსელი“ მოიტოვა, რის საფუძველზეც გაჩნდა მოსაზრება, რომ ამ „პორტუს“ 2004 წლის მიღწევის გამეორება შეუძლია, როცა **ჟოზე მოურინიოს** ხელში ჩემპიონთა ლიგა მოიგო. **რიკარდო კუარეზმა** და კომპანია მაქსიმალურად ეცდებიან, რომ ეს მოსაზრება დაამტკიცონ. თუმცა არც „შალკეა“ ჯაბანი – გელზენკირხენელები ბოლო ორი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ (2001 და 2005 წლებში), არსებობის მანძილზე პირველად გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში და უფრო შორს წასვლასაც ეცდებიან. **ლევან კობიაშვილის** გუნდს „ფელტინს არენა აუფ შალკეს“ ტრიბუნებზე გამეფებული იდეალური ატმოსფეროს იმედი უნდა ჰქონდეს.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური. ხუთშაბათის მატჩები და წილისყრა

გერმანელები დომინირებენ!

გერმანული კლუბებისთვის კარგად დაწყებული საქმე, კარგადვე გაგრძელდა და იდეალურად დასრულდა. ხუთშაბათს „ჰამბურგი“ „ბაზელთან“ მხოლოდ 1:1-ს დასჯერდა, მაგრამ ჰუუბ სტევენსის შეგირდები ფლეი-ოფში ამ შედეგითაც გავიდნენ. გერმანიის თასის მფლობელმა „ნიურნბერგმა“, რომელსაც ბუნდესლიგაში არც თუ ისე კარგად მისდის საქმე, სტუმრად „ლარისა“ დაამარცხა (3:1) და A ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. ამრიგად, ჯგუფური ეტაპი ოთხივე გერმანულმა კლუბმა წარმატებით გადალახა და აღსანიშნავია, რომ 1/16 ფინალში მათ ბრემენის „ვერდერიც“ დაემატებათ, რომელმაც უეფას თასზე ჩემპიონთა ლიგიდან გადაინაცვლა. ამრიგად, უეფას თასზე ყველაზე მეტი წარმომადგენელი სწორედ გერმანიას ეყოლება. ხუთშაბათის მატჩებიდან გამოსარჩევია „ალკმაარის“ საშინაო მარცხი „ევერტონთან“, რის შედეგადაც შოთა არველაძის ყოფილი გუნდი ჯგუფში ჩარჩა.

ჰამბურგი-ბაზელი 1:1. ოლიჩის მაკრატელას მაისტროვიჩი თავს უხვევდრებს

A ჯგუფი

ლარისა-ნიურნბერგი 1:3

ლარისა: კიპროსი, დაბიზასი, გალიციოსი, კაციაროსი, ვენეტისი, ბახრამისი (77. ბაკაიოკო), გიკასი (61. კლეიტონი), კირიაკიდისი, კალანცისი, კოზლეი, პარა (71. ალექსანდრუ).

ნიურნბერგი: ბლაჟეკი, ბოშამი, გლაუბერი, რაინჰარდტი, ვოლფი, გალაშეკი, კლუგე, მინტალი, ხარისტეასი, მისიმოვიჩი, საენკო.

გოლები: 1:0 კოზლეი (11), 1:1 საენკო (45), 1:2 მინტალი (56), 1:3 ხარისტეასი (73)

მაყურებელი: 2 863

ალკმაარი-ევერტონი 2:3

ალკმაარი: ვატერმანი, იალიენსი, ოპდამი, პოკონნიოლი (77. აგუსტიენი), სტეინსონი, კზიომერი (66. ელ ჰამდაუი), დე ზეეუვი (65. იენერი), და სილვა, ვორმერი, დემბელე, პელე.

ევერტონი: ვესელსი, ჰიბერტი, ლესკოტი, ნუნუ ვალენტე, კარსლი, გრავესენი (80. როდუელი), ფაგიოლკა, პიენაარი (69. ვიდარსონი), ანიჩებე, ჯონსონი (68. ვოგანი), მაკფადენი.

გოლები: 0:1 ჯონსონი (2), 1:1 პელე (16), 1:2 ფაგიოლკა (44), 2:2 იალიენსი (65), 2:3 ვოგანი (79)

მაყურებელი: 16 578

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ნიურნბერგმა“ თავის გულშემატკივრებს და საერთოდ ევროპას სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს გუნდი გერმანიის პირველობაზე ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის (ყოველ შემთხვევაში, პირველ წრეში ასე იყო), ნამდვილად მოულოდნელი გახლავთ ის, რომ **ჰანს მაიერის** გუნდმა უეფას თასზე წარმატებით იასპარეზა და 1/16 ფინალში გავიდა. თუ გახსოვთ, ფრანკებმა ჯგუფური ეტაპი „ევერტონთან“ მარცხით დაიწყეს და დააკვირდით, საბოლოო ჯამში მხოლოდ ლიგერპულულ კლუბს ჩამორჩნენ. იმ წაგების შემდეგ „ნიურნბერგმა“ „ზენიტთან“ სტუმრად 2:2 ითამაშა, რის შემდეგაც შინ „ალკმაარი“ დაამარცხა (2:1), ახლა კი, სტუმრად „ლარისასაც“ მოუგო (3:1). არადა, „ნიურნბერგისთვის“ ბოლო ტურის მატჩი საკმაოდ ცუდად დაიწყო – ფრანკებმა მალევე გაუშვეს გოლი და საერთოდ, პირველ ტაიმში არცთუ ისე კარგად გამოიყურებოდნენ, მაგრამ მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ შესვენებამდე მაინც მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება (**საენკო**). სამაგიეროდ, „რკინის ჰანსის“ სამწყსო მეორე ტაიმში ათამაშდა და ორი გოლი გაუტანა „ლარისას“ – „ფრანკებისგან“ **ზვიზდან მისიმოვიჩმა** და **მარეკ მინტალმა** იხეირეს. გუნდისთვის, რომელმაც ბუნდესლიგის პირველი წრე ბოლოდან მესამე ადგილზე დაასრულა, ეს უდავოდ დიდი მიღწევაა.

არადა, „ნიურნბერგს“ ქუულაც ჰყოფნითა – ეს პარალელური მატჩის დასრულებისთანავე გაირკვა, მატჩისა, სადაც „ალკმაარმა“ შინ „ევერტონთან“ ნააგო (2:3). შესაბამისად, „ნიურნბერგთან“ ერთად, ფლეი ოფის საგზური „ევერტონმა“ და „ზენიტმა“ გაინაღდეს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ევერტონი	4	4	0	0	9-3	12
2. ნიურნბერგი	4	2	1	1	7-6	7
3. ზენიტი	4	1	2	1	6-6	5
4. ალკმაარი	4	1	1	2	5-6	4
5. ლარისა	4	0	0	4	4-11	0

B ჯგუფი

ატლეტიკო-პანათინაიკოსი 2:1

ატლეტიკო: აბიატი, ანტონიო ლოპესი, ელერი, პერეა, ზე კასტრო (61. რეიესი), სანტანა (46. სიმაო საბროსა), ლუის გარსია, რაულ გარსია, მაქსი როდრიგესი, აგუერო (90. პაბლო იბანიესი), ფორლანი.

პანათინაიკოსი: მალარკი, ფისასი, მორისი, სარიეგი, ვინტრა, ჟუნიორი (85. დიმუცოსი), მატოსი, რომერო (68. ივანშიტცი), ციოლისი, პაპადოპულოსი, სალპინგიდისი (79. მანციოსი).

გოლები: 0:1 სალპინგიდისი (34), 1:1 ლუის გარსია (74), 2:1 სიმაო საბროსა (90+6)

გაძევება: რაულ გარსია (81. ატლეტიკო)

მაყურებელი: 14 000

აბერდინი-კოპენჰაგენი 4:0

აბერდინი: ლანგფილდი, ბირნი, კონსიდინი, დაიმონდი, ჰარტი, კლარკი, ნიკოლსონი, სევერინი, სმიტი (74. მაგირე), ალუკო (59. ფოსტერი), მილერი.

კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, ანტონსონი, გრავგაარდი, ვენდტი, გრონკიაერი (70. ნორდსტრანდი), ჰათჩინსონი, კვისტი, ნორგაარდი (61. ზილბერბაუერი), ზიონკო, ვიურტცი (58. ალმეიდა), ოლბაკი.

გოლები: 1:0 სმიტი (47), 2:0 სმიტი (55), 3:0 ანტონსონი (71-საკ. კარში), 4:0 ფოსტერი (83)

მაყურებელი: 20 446

ბოლო ტურის წინ, „ატლეტიკოსა“ და „პანათინაიკოსს“ ჯგუფიდან გასვლა განაღდებული ჰქონდათ – გასარკვევი მხოლოდ ის იყო, თუ ვინ დაიკავებდა პირველ ადგილს. შოტლანდიაში კი, „აბერდინისა“ და „კოპენჰაგენს“ 1/16 ფინალში გამსვლელი მესამე გუნდის ვინაობა უნდა გაერკვიათ. „ვისენტე კალდერონზე“ თავიდან ბერძნები დაწინაურდნენ – 34-ე წუთზე ანგარიში **სალპინგიდისმა** გახსნა და აღსანიშნავია, რომ „პანათინაიკოსმა“ პირველი ტაიმი მოიგო. მადრიდელებმა მხოლოდ მეორე ნახევარში შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა – 74-ე წუთზე **ლუის გარსიამ** გაათანაბრდა, ხოლო გამარჯვების გოლი კი, მსაჯის მიერ დამატებულ მე-6 (!) წუთზე წუთზე **სიმაომ** გაიტანა.

„აბერდინმა“ დანიურ კლუბს პირველ ტაიმში ვერაფერი მოუხერხა, სამაგიეროდ, მეორე ნახევარში 4 გოლით „ასიამოვნა“. **ჯეიმი სმიტის** დუბლს (47, 55) **ანტონსონისა** (ავტოგოლი) და **ფოსტერის** გოლები მოჰყვა. ამრიგად, 1970 წლის შემდეგ პირველად ხდება ისე, რომ ევროტურნირებზე შოტლანდიის სამი წარმომადგენელი გამოიზამთრებს („სელტიკი“, „რეინჯერსი“, „აბერდინი“).

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ატლეტიკო	4	3	1	0	9-4	10
2. პანათინაიკოსი	4	3	0	1	7-2	9
3. აბერდინი	4	1	1	2	5-6	4
4. კოპენჰაგენი	4	1	0	3	1-7	3
5. ლოკომოტივი	4	0	2	2	4-7	2

C ჯგუფი

აეკ-ვილიარეალი 1:2

აეკ: მახო, არუაბარენა, ჟერალდო, პაპაგიოპულოსი, რამოსი, კონე (60. მანდუკა), ნსალიკა (46. კაფესი), რივალდო (82. პაპასი), ტოშერი, ჟულიო სეზარი, ლიბეროპულოსი.

ვილიარეალი: დიეგო ლოპესი, სიგანი, ფუუნტესი, ხავი ვენტა, ხოსემი, ბრუნო, ფერნანდესი, მავუბა, კასორლა (46. კანი), როსი (69. ფრანკო), ტომასონი (89. ანხელი).

გოლები: 0:1 მავუბა (40), 1:1 რივალდო (68), 1:2 ტომასონი (69)

მაყურებელი: 16 380

ფიორენტინა-მლადა 2:1

ფიორენტინა: ლუპატელი, დაინელი, კროლდრუპი, პასკუალი, უიფალუში, დონადელი (50. პაციენცა), გობი, სემიოლი, ლიეგრანი, მუტუ (76. ოსვალდო), პაცინი (62. ვიერი).

მლადა: პიუანოვსკი, კოპიჩი, პროჰაზკა, როლკო, ვორიშეკი, ჰრდლიჩკა (80. ვანეჩეკი), კისელა (46. ტაბორსკი), რაინოხი, სედლაჩეკი, კალინა (65. ჰოლუბი), მენდი.

გოლები: 1:0 მუტუ (44-პენ), 1:1 რაინოხი (60), 2:1 ვიერი (67)

მაყურებელი: 11 140

C ჯგუფში, ბოლო ტურის წინ მხოლოდ ერთი მეთექვსმეტედფინალისტის ვინაობა იყო ცნობილი და ეს „ვილიარეალი“ გახლდათ. მიუხედავად ამისა, ესპანელები მაინც ბოლომდე დაიხარჯნენ და მოტივირებულ აეკ-ს სტუმრად 2:1 მოუგეს – გამარჯვების გოლი 69-ე წუთზე **იონ დალ ტომასონმა** გაიტანა და ეს **რივალდოს** გოლიდან, რომლითაც ანგარიში გათანაბრდა, რამდენიმე წამის შემდეგ მოხდა. მიუხედავად მარცხისა, ბერძნები ფლეი ოფში მაინც გავიდნენ და ეს ფლორენციის „ფიორენტინას“ დამსახურებაა, რომელმაც ბოლესლავის „მლადა“ 2:1 დაამარცხა. იტალიელთა მხრიდან გამარჯვების გოლი ვეტერანმა **კრისტიან ვიერიმ** გაიტანა, რომელმაც მანამდე **პაცინი** შეცვალა.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ვილიარეალი	4	3	1	0	7-3	10
2. ფიორენტინა	4	2	2	0	10-4	8
3. აეკ	4	1	2	1	4-4	5
4. მლადა	4	1	0	3	5-6	3
5. ელფსბორგი	4	0	1	3	3-12	1

D ჯგუფი

ჰამბურგი-ბაზელი 1:1

ჰამბურგი: როსტი, ატუბა, ბოატენგი, კომპანი (71. კასტელენი), მატიისენი, რაინჰარდტი, დე იონგი, იაროლიმი, ტროხოვსკი (62. გერერო), ვან დერ ვაარტი, ოლიჩი.

ბაზელი: კოსტანცო, ჰოდელი, მაისტროვიჩი, მარკე, ზანი, ბა, კარლიტუში (81. კაისედო), დეგენი (51. მორგანელა), ერგიჩი, ჰუგელი, ედუარდო (85. დერდიოკი).

გოლები: 0:1 ერგიჩი (58), 1:1 ოლიჩი (73)

გაძევება: ზანი (49. ბაზელი)

მაყურებელი: 48 917

რენი-დინამო (ზაგრები) 1:1

რენი: პუპლენი, ფანი, ჰანსონი, მენსა, სორლენი, შეირუ, ლერუა (65. ეკოკო), მ'ბია, ბრაიანდი (76. მორეირა), პაჟისი, ვილტორი (64. ტომერი).

დინამო: კოხი, კალე (88. შოკოტა), სამირი (65. გუელა), დრაპიჩი, ეტო, მანძუკიჩი, მოდრიჩი, პოკრივაცი, ვუკოვეიჩი, კარლოსი, ტადიჩი (77. ბალაბანი).

გოლები: 0:1 ვუკოვეიჩი (57), 1:1 მ'ბია (88)

86-ე წუთზე შეირუმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

მაყურებელი: 11 846

„ჰამბურგმა“ „ბაზელთან“ საბოლოოდ იმ შედეგს მიაღწია, რომელიც ლიდერობის შენარჩუნებისთვის აწყობდა (ფრე 1:1), მაგრამ უნდა ითქვას, რომ **სტევენსის** შეგირდებს მძიმე ბრძოლა გადახდათ. ჩრდილოგერმანელები შვეიცარიელებს სჯობდნენ, მაგრამ მომენტებს ვერ იყენებდნენ. მეტიც, ანგარიში „ბაზელმა“ გახსნა, თანაც, შვეიცარიელები იმ დროს უკვე კაცნაკლულები იყვნენ (49-ე წუთზე მსაჯმა მოედნიდან **ზანი** გაძევა). მაგრამ 73-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა **რომეო კასტელენმა** იდეალურად ჩაანოდა, რასაც **ივიცა ოლიჩი** გამოეხმაურა და ანგარიში გაათანაბრა. ჯგუფში მესამე ადგილი „ბრანმა“ დაიკავა, რადგან „რენმა“ და ზაგრების „დინამომ“ ქულები გაიყვეს (1:1).

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჰამბურგი	4	3	1	0	7-1	10
2. ბაზელი	4	2	2	0	3-1	8
3. ბრანი	4	1	1	2	3-4	4
4. დინამო	4	0	2	2	2-5	2
5. რენი	4	0	2	2	2-6	2

1/16 ფინალი

აბერდინი-ბაიერნი
აეკ-ხეგაფე
ბოლგონი-ატლეტიკო
ზენიტი-ვილიარეალი
გალათასარაი-ლევერკუზენი
ანდერლეხტი-ბორდო
ბრანი-ევერგონი
ციურიხი-ჰამბურგი
რეინჯერსი-პანათინაიკოსი
ეინდჰოვენი-პელსინგბორგი
სლავია-ბოგენიეემი
რუსენბორგი-ფიორენტინა
სპორტინგი-ბაზელი
ვერდერი-ბრაგა
ბენფიკა-ნიურნბერგი
მარსელი-სპარტაკი

მატჩები 14 და 21 თებერვალს გაიმართება

1/8 ფინალი

ანდერლეხტი/ბორდო VS აბერდინი/ბაიერნი

რეინჯერსი/პანათინაიკოსი VS ვერდერი/ბრაგა

ბოლტონი/ატლეტიკო VS სპორტინგი/ბაზელი

გალათასარაი/ლევერკუზენი VS ციურიხი/ჰამბურგი

აეკ/ხეტაფე VS ბენფიკა/ნიურნბერგი

რუსენბორგი/ფიორენტინა VS ბრანი/ევერტონი

სლავია/ტოტენჰემი VS ეინდჰოვენი/ჰელსინგბორგი

მარსელი/სპარტაკი VS ზენიტი-ვილიარეალი

მატჩები 6 და 13 მარტს გაიმართება.

ლემანი გაბრაზებულია

იენს ლემანი "კიკერის" მიმომხილველს გაესაუბრა. გერმანელმა გოლკიპერმა **არსენ ვენგერთან** ბოლო შეხვედრის დეტალებზე ისაუბრა. 38 წლის ვეტერანს არ დაუმალავს, რომ საუბრით იმედგაცრუებულია: *"კიდევ ერთხელ დავრწმუნდა, რომ მწვრთნელი მანუელ ალმუნიას შეფასებისას სხვა კრიტერიუმებს იყენებს. ამგვარი მოპყრობა მაიძულებს არსებულ სიტუაციაზე კიდევ ერთხელ დავფიქრდე. საკუთარ თავს გამუდმებით ვეკითხები: რა რეალური შანსები გამაჩნია "არსენალში"? ერთი რამ ფაქტია: არ მსიამოვნებს იმ ფეხბურთელის თამაშის ყურება, რომელსაც ჩემი კლასის ნახევარიც კი არ გააჩნია. როცა ვხედავ იმას, რაც მინდორზე ხდება, ვბრაზდები და თავს ძლივს ვიკავებ."* კითხვაზე, აპირებს თუ არა იანვრის ტრანსფერებისას სამსახურის შეცვლას, ლემანმა მიუგო: *"ნებისმიერ ფასად "არსენალიდან" წასვლას აზრი არა აქვს. თუ ლონდონელები 38 წლის სათადარიგო მეკარის სანაცვლოდ კომპენსაციას მოითხოვენ, ტრანსფერი არარეალური გახდება. ასეთ შემთხვევაში, სეზონის ბოლომდე ლონდონში დავრჩები."*

გამოცდილება და ფორვარდი

როი კინი "ბლექბერნის" ნახევარმცველ **რობი სევიჯს** "სანდერლენდში" ეპატიჟება. ირლანდიელ მწვრთნელს გამოცდილი ფეხბურთელების დამატება სურს. სევიჯი 33 წლისაა. სეზონის დასაწყისში მას მძიმე ტრავმა ჰქონდა. როცა გამოჯანმრთელდა, სკამზე გაამწესეს. ფეხბურთელი უკმაყოფილებას ვერ მალავდა. ვითარება, როგორც იქნა, შეიცვალა. რობინმ ბოლო ორი მატჩი ძირითად შემადგენლობაში ჩაატარა, მაგრამ სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, საქსახურის გამოცვლაზე უარს არ იტყვის. სევიჯის აყვანაზე "მიდლსბროს" თავკაცი **გარეთ საუთგეიტიც** არ იტყოდა უარს. აქვე გეტყვით, რომ რევერსაიდელებს **პიტერ კრაუჩისა** და **ჯერმეინ დეფოს** შეძენაც სურდათ, მაგრამ მათ სანაცვლოდ "ლივერპულმა" და "ტოტენჰემმა" "მიდლსბროსათვის" ძალიან დიდი თანხა მოითხოვეს.

ლუქსემბურგი და ლეაო დასაქმდნენ

ვანდერლეი ლუქსემბურგი "პალმეირასის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მან ამ კლუბის გაძღოლა მეოთხედ ითავა. სახელგანთქმული მწვრთნელი "პალმეირასს" 1993-94, 1995-96 და 2002 წლებში ხელმძღვანელობდა. მან გუნდს 1993 და 1994 წლებში ქვეყნის ჩემპიონატი მოაგებინა. ლუქსემბურგომ ჩემპიონობა "კორინთიანსში", "კრუზეიროსა" და "სანტოსშიც" მოიპოვა. ერთი კვირის წინ სეუ ვანდერლეიმ "სანტოსი" დატოვა. მან თქვა, ინგლისიდან სარფიანი შეთავაზება მქონდაო, მაგრამ "პალმეირასში" წასვლა არჩია. ლუქსემბურგომ ევროპაში 11 თვე გაატარა. 2004-05 წელს ის მადრიდის "რეალის" დამრიგებელი იყო, მაგრამ არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გაათავისუფლეს. თავის დროზე ლუქსემბურგო ბრაზილიის ნაკრებსაც წვრთნიდა და 1999 წელს კოპა ამერიკაც მოიგო. 2001 წელს ის სკანდალში გაეხვა. პოლიცია მისი ფინანსური დოკუმენტაციით დაინტერესდა. გამოძიებისას დიდი ხნის საიდუმლო გამოაშკარავდა. თურმე სეუ ვანდერლეის ყალბი დბადების მოწმობა ჰქონია. მასში მისი ასაკი სამი წლით იყო შემცირებული. ამ საბუთით ლუქსემბურგო საფეხბურთო კარიერის დასაწყისში სარგებლობდა, როცა "ბოტაფოგოს" სარეზერვო გუნდის წევრი იყო.

აქვე გეტყვით, რომ "სანტოსს" ლუქსემბურგოს შემცვლელი დიდხანს არ უძებნია. ის ბრაზილიის ნაკრების კიდევ ერთ ყოფილ მწვრთნელ **ემერსონ ლეაოს** დაუკავშირდა. ლეაო "სანტოსს" ჩინებულად იცნობს. მან ამ კლუბში 1998-2000 წლები გაატარა და კლუბს ისტორიაში პირველი საჩემპიონო ტიტული მოუტანა. სანტოსში დაბრუნებამდე ის "ატლეტიკო მინეიროს" თავკაცი იყო, მაგრამ დირექტორებთან უთანხმოების გამო თანამდებობა დატოვა.

რობერტო მანჩინი

კარლო ანჩელოტი

იტალია. სერია A. XVII ტურის წინ

მილანური დერბი: არის თუ არა მანჩინი პროვოკატორი?

განახევრებული ლაციო პალერმოში. სტუმრებს შორის ფავორიტები არ ჩანან

დღეს

ჯენოა-პარმა
რომა-სამპდორია

ხვალ

ფიორენტინა-კალიარი
ინტერი-მილანი
იუვენტუსი-სიენა
ლივორნო-ატალანტა
ნაპოლი-ფორინო
პალერმო-ლაციო
რეჯინა-კატანია
უდინეზე-ემპოლი

იტალიური და მთლიანად ევროიქენდის მთავარი მოვლენა მილანური დერბია. როგორ მდგომარეობაშიც არ უნდა იყვნენ გუნდები, რა სატურნირო განლაგებაც არ უნდა ჰქონდეს კონკრეტული მომენტისთვის, „მადონინა" ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესის მომცველია. დღეს „მილანი" სერია A-ში ვერ „მილანობს", მაგრამ „ინტერმა" იცის, რომ მის წინაშეა მოსისხლე მტერი, ევროპის მოქმედი ჩემპიონი და გუნდი, რომელმაც ახლახან მთავარი მსოფლიო საკლუბო ჯილდოც მოიგო. დღეს „როსონერი" სკუდეტოსთვის ბრძოლას ჩამოცილებულია, მაგრამ შეიძლება, მეტოქისთვის ასეთ დროს უფრო საშიშიც იყოს.

დერბის ირგვლივ ერთგვარი დაძაბულობა უკვე შეინიშნება. ამასწინათ, **რობერტო მანჩინიმ** დააკნინა „მილანის" წარმატება, როცა მსოფლიო საკლუბო მუნდიალი, ფაქტობრივად, მასხრად აიგდო და მას „ამხანაგურ ტურნირზე ოდნავ მეტი" უწოდა. მანჩინიმ იქვე განაცხადა, ფინალში „ბოკას" გულშემატკივრობდა. ამ გამოხდომის საპასუხოდ, „მილანის" ფანებმა საკლუბო მუნდიალის მოგება მაინცდამაინც „ინტერის" შტაბბინის წინ აღნიშნეს. შესაბამისად, საქმე იქითკენ მიდის, რომ ხვალ ფანებს შორის, შეიძლება, რაღაც მოხდეს და ნებსით თუ უნებლიედ, მანჩინის სიტყვებმა უსიამოვნო მოვლენების პროვოცირება გამოიწვიოს. მერე დაიწყებენ მსჯელობას იმაზე, თუ რას სჭირს იტალიურ ფეხბურთს...

გადავიდეთ დერბის სპორტულ მხარეზე. „მილანმა" მატჩისთვის მზადება იაპონიიდან დაბრუნებისთანავე დაიწყო. **კარლო ანჩელოტიმ** გუნდი სპეციალური პროგრამით ავარჯიშა. მცირე ტრავმა აქვს **ფილიპო ინძაგის**, რომელსაც წინა ხაზზე **ალბერტო ჯილარდინო** შეცვლის. ტრავმაც რომ არ იყოს, ანჩელოტი ჩემპიონატის მატჩებში ძირითადად „ჯილაზე" აკეთებს აქცენტს და, ალბათ, როტაციის პრინციპებს არც ახლა უღალატებს. პრესაში სხვა ვარაუდებიც ქვეყნდება. მაგალითად, ერთი ვერსიით ანჩელოტი მარცხენა ფლანგზე **სერჟინიოს** დააყენებს, ხოლო **მალდინი** ცენტრში **ნესტას** შეუწყვილდება. „გაძეტა დელო სპორტის" აზრით კი, ამ პოზიციებს **კალაძე** და **იანკულოვსკი** გაამაგრებენ. სხვა ამპლუებში განსაკუთრებული ცვლილებები არ იგეგმება. რაკი კარლეტო ჯიუტად არ ღალატობს ერთი ფორვარდის პოლიტიკას, გამოდის, რომ ჯილარდინოს უკან ძველებურად **კაკა** და **ზეედორფი** იმოქმედებენ.

ყველაზე თამამი ვერსიით, მანჩინი სამ ფორვარდს დააყენებს, თუმცა, გამომდინარე მატჩის მნიშვნელობიდან, ვეჭვობთ, „ინტერის" თავკაცი ამხელა ავანტურაზე წავიდეს. **იბრაჰიმოვიჩი** დისკვალიფიკაციის შემდეგ ბრუნდება და ბუნებრივია, სასტარტო შემადგენლობაშიც იქნება. რაც შეეხება მეორე ფორვარდს, ბოლო ტურებიდან გამომდინარე, კონკურენციის გარეშეა **კრუსი**, რომელსაც ბოლო 12 მატჩში 9 გოლი აქვს გატანილი...

ტრავმის შემდეგ **კრესპომ** ფორმა ვერ აღიდგინა, **სუასოსთვის** კი, ეტყობა, ამ ტიპის შეხვედრებში ძირითადი შემადგენლობა დიდი ფუფუნებაა. მარცხენა გარემარბად მანჩინის ორი არჩევანი აქვს, **სეზარისა** და **ხიმენესის** სახით. ეს უკანასკნელი ბოლო პერიოდში უფრო ხშირად თამაშობდა და გოლიც გაიტანა, შესაბამისად, სასტარტოში უფრო მის გამოჩენას უნდა ველოდოთ, თუკი ხელი არ შეუშალა კვირას, „კალიარისთან" მატჩში მიღებულმა მცირე დაზიანებამ. არ იქნება ცვლილებები შუა ხაზშიც. **კივუ** კვლავ ნახევარდაცვაში დაიკავებს ადგილს, რაც **ვიეირას, დაკურისა** და **სტანკოვიჩის** ტრავმებითაა გამოწვეული, **ძანეტისა** და **კამბიასოს** საკითხი კი საკამათო არ უნდა იყოს. შეგახსენებთ, რომ დაშავებულია **ფიგუუ**.

აქვე გავიხსენოთ შარშანდელი დაპირისპირებები, რომლებშიც ორივეჯერ „ინტერმა" გაიმარჯვა - მეტოქის „მინდორზე" 4:3, „შინ" კი 2:1. საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი, რომ „ინტერის" მასპინძლობის პირობებში, 1999 წლის მერე დერბი ფრედ არ დასრულებულა.

საპარაუდო შემადგენლობები

ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, სამუელი, მაქსველი, ხ. ძანეტი, კამბიასო, კივუ, სეზარი (ან ხიმენესი), კრუსი, იბრაჰიმოვიჩი.

მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, კალაძე (ან მალდინი), იანკულოვსკი (ან სერჟინიო), გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო.

საინტერესო თამაში უნდა იყოს „რომა"-"სამპდორია", რომელიც შაბათს გაიმართება. აწ უკვე სამპდორიელ კასანოს თავის ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაში არ მოუწევს, რაკი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. ბედის ირონიით, ვერ ითამაშებს კიდევ ერთი ექსრომაელი მონტელა, რომელიც ტრავმირებულია, ისევე, როგორც ნახევარმცველი დელვეკიო (კიდევ ერთ ყოფილ რომაელ მარკო დელვეკიოში არ აგერიოთ) და ცენტრალური მცველი სალა. დანაკლისი აქვს „რომასაც". დისკვალიფიცირებულია დაცვის ბურჯი შექსე, ხოლო მარცხენა გარემარბი ტადეი კვლავ ლაზარეთში მოხვდა, თუმცა ლუჩანო სპალეტის ექიმები იმედს აძლევენ, რომ ბრაზილიელმა შეიძლება მოედანზე გასვლა მაინც მოახერხოს. რაც მთავარია, კითხვის ნიშნის ქვეშაა ტოტის მდგომარეობა. „გაძეტა" ვარაუდობს, რომ კაპიტანი თადარიგში იქნება და თუ საჭირო გახდა, თამაშში ჩაერთვება. გავიხსენოთ, რომ შარშან „რომამ" „სამს" 4:0 მოუგო.

შაბათსვე, „ჯენოა" „პარმას" მიიღებს. დღევანდელ მასპინძელს ზედიზედ 9 ტურია არ მოუგია, „პარმა" კი თითქოს თავს აღწევს კატასტროფის ზონას. გენუელებს დანაკლისი აქვთ დაცვაში, სადაც **ბოვო** (დისკვალიფიკაცია) და **ბეგა** (ტრავმა) ვერ ითამაშებენ. უფრო მეტი თავსატეხი აქვს პარმელთა მწვრთნელ **მიმო დი კარლოს**, რომელიც მცველ **კასტელინის,** შემტევ ნახევარმცველ **ბუდანსა** და ფორვარდ **მორფეოს** ვერ დაიხმარს.

„იუვენტუსი"-"სიენის" შეხვედრაში, რომელიც კვირას გაიმართება, „ქალბატონი" საბრძოლო შემადგენლობით იქნება, თუ არ ჩათვლით **კამორანეზის**, რომელიც კარგა ხანია მკურნალობს. ტოსკანელთა შორის კი არ იქნებიან ბრაზილიელი მცველი **ალბერტო** და მისი თანამემამულე, ნახევარმცველი **კაეტანო**.

სამწვრთნელო ქაოსში მყოფი „კალიარი" ფლორენციაში ჩადის. სარდინიელებს კვლავ **ნედო სონეტი** ხელმძღვანელობს, თუმცა გუნდში სიტუაცია ჯანსაღი რომ არ არის, ამაზე ნახევარმცველებს - **მარკინისა** და **ფოჯას** შორის მომხდარი კონფლიქტიც მეტყველებს. ასეთ სიტუაციაში, „ფიორენტინას" პრობლემები არ უნდა ჰქონდეს. „კალიარისთან" მატჩი იდეალური ვარიანტია **ჩეზარე პრანდელის** გუნდისთვის, რათა გამარჯვების გემო გაიხსენოს. „ვიოლას" მთავარი დანაკლისი მეკარე **ფრეისა** და მცველ **პოტენცას** ტრავმებია. „კალიარის" საბრძოლო შემადგენლობა ჰყავს.

„ლივორნოსა" და „ატალანტას" მატჩში სტუმრებს არ ეყოლებათ გუნდის კაპიტანი **დონი** (ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია), აგრეთვე დაცვის ლიდერი **კაროციერი** (ტრავმა). „ნაპოლი" უმასპინძლებს „ტორინოს", რომელსაც სერიოზული დანაკლისი აქვს ორი მცველის, **კომოტოსა** და **ლანას** სახით (ორივე დისკვალიფიცირებულია). კიდევ ერთი სტუმარი, რომელიც მეტად მძიმე მდგომარეობაშია, „ლაციო" გახლავთ, რომელსაც ძირითადი შემადგენლობის 6 (!) ფეხბურთელი არ ეყოლება - **მაური, ბეჰრამი, ძაური, სკალონი** და **მუტარელი** ტრავმირებულები არიან, მაკედონიელი ფორვარდი **პანდევი** კი ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას მოიხდის. „პალერმოს" მთავარი დანაკლისი კი ძირითადი მეკარე **ფონტანაა**. სერიოზული გადაადგილებები მოუწევს „კატანიის" მწვრთნელ **სილვიო ბალდინისაც**. სიცილიური კლუბი რეჯოკალაბრიას წამყვანი ფორვარდების გარეშე ეწვევა: **მასკარასა** და **სპინეზის** დისკვალიფიკაცია აქვთ. „რეჯინასა" დასჯილი ჰყავს საყრდენი ნახევარმცველი **კაშონე**.

„ემპოლის" მწვრთნელი **ალბერტო მალეზანი** „უდინეზეს" ყოფილი თავკაცი გახლავთ. ხვალ მას თავისი ექსგუნდის წინააღმდეგ მოუწევს ახალგაზრდა ემპოლელთა დამოძღვრა. ფავორიტად მაინც **პასკუალე მარინოს** კრებული რჩება. უდინელთა დანაკლისი მხოლოდ **დე მარტინოსა** და **პინციის** ტრავმებით შემოიფარგლება, „ემპოლის" კი დაშავებული ჰყავს მცველები - **ადანი** და **ტოსტო**, ასევე ნახევარმცველი **მარკიზიო**, რაც შეეხება ფორვარდ **პოციის**, რომელმაც ორი კვირის წინ „კალიარის" პოკერი შეუსრულა, დისკვალიფიცირებულია.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ინტერი	16	12	4	0	35-8	40
2. რომა	16	9	6	1	31-18	33
3. იუვენტუსი	16	9	5	2	33-15	32
4. უდინეზე	16	8	4	4	20-19	28
5. ფიორენტინა	16	6	7	3	21-15	25
6. პალერმო	16	6	6	4	23-25	24
7. ნაპოლი	16	6	4	6	24-21	22
8. ატალანტა	15	5	6	4	22-20	21
9. სამპდორია	16	6	3	7	22-22	21
10. პატანია	16	5	6	5	16-16	21
11. მილანი	13	4	6	3	20-10	18
12. პარმა	16	4	6	6	19-23	18
13. ლაციო	16	4	5	7	17-23	17
14. ტორინო	16	2	10	4	14-19	16
15. ჯენოა	16	3	7	6	15-23	16
16. სიენა	16	2	8	6	17-23	14
17. ლივორნო	15	3	5	7	18-26	14
18. ემპოლი	16	3	5	8	12-22	14
19. რეჯინა	15	1	7	7	9-24	10
20. კალიარი	16	2	4	10	12-28	10

დე როსი ტოტის გაასწრებს

"რომა" თანახმაა, გუნდის სახელფასო სისტემაც კი შეცვალოს, ოღონდაც **დანიელე დე როსი** შეინარჩუნოს. ახალგაზრდა ნახევარმცველს დღევანდელი ხელშეკრულება 2009 წელს ეწურება. "ილ რომანისტა" იუწყება, რომ მოლაპარაკებები ინტენსიურად მიმდინარეობს. დე როსისათვის ყველაზე მაღალი ანაზღაურების დანიშვნას "ჯალოროსის" ყველა ლიდერი დათანხმა. დანიელეს უმდიდრეს ფეხბურთელად გადაქცევას ავტომატურა მოჰყვება დანარჩენი ვარსკვლავების პირობების გადახედვა. დღესავით ნათელია, რომ **ფრანჩესკო ტოტის** მინიმუმ მის დონემდე გაუზრდიან ხელფასს. დე როსი ტოტის მემკვიდრედ მიიჩნევა. ფრანჩესკოს შემდეგ კაპიტნის სამკლაური დანიელემ უნდა ჩაიბაროს. რომაელები იანვრის ტრანსფერებზეც ინტენსიურად მუშაობენ. სასურველი ფეხბურთელების ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი. კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **როზელა სენსი** იუწყება, რომ ახალგაზრდა ნახევარმცველი **ალბერტო აკვილანი** მილანში არ გადავა. ეს ბიჭი იტალიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია. მისი აბარგება რომაელთა გეგმებში არ შედის.

კანისარესი ამერიკაში მიდის?

სანტიაგო კანისარესის მომავალი გაურკვეველია. "ვალენსიის" თავკაცმა **რონალდ კუმანმა** საჯაროდ გამოაცხადა, რომ 38 წლის გოლკიპერი აღარ სჭირდება. ორი დღის წინ ესპანურმა სააგენტოებმა გავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კანისარესი კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. გუშინ იმავე სააგენტოებმა მოსალოდნელი ტრანსფერის ამბავი გვაუწყეს. სავსებით შესაძლებელია, სანტიაგომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშუროს. ოკეანის გაღმა ახალი საფეხბურთო სეზონი აპრილში იწყება. "ასის" ინფორმაციით, კანისარესს რამდენიმე სარფიანი შეთავაზება აქვს. დაინტერესებული კლუბების ვინაობა უცნობია. ფეხბურთელის აგენტს მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

იუვენტუსს ფლამინი გაასხენდა

"იუვენტუსმა" "არსენალის" ნახევარმცველ **მატიო ფლამინის** დაადგა თვალი. ამ ინფორმაციას "ტუტოსპორტი" ავრცელებს. ფლამინი 23 წლისაა. ის საყრდენ ნახევარმცველად თამაშობს. ცოტა ხნის წინ ლონდონელებმა მას ახალი კონტრაქტი შესთავაზეს. მატიომ ხელშეკრულების გაგრძელებისაგან თავი შეიკავა. პირობები სარფიანი იყო. ფლამინის კვირაში 50 ათასი გირვანქა შესთავაზეს. მისი უარი მოულოდნელი აღმოჩნდა. უმალ გაჩაღდა სპეკულაციების ფეხბურთელის მოსალოდნელი აბარგების შესახებ. და აი, დაინტერესებამაც არ დააყოფნა. "ბებერი ქალბატონი" მეთოფეებს მოლაპარაკებების დაწყებას შესთავაზებს. "ტუტოსპორტში" ვკითხულობთ, რომ "იუვე" ბოკა ხუნიორსისა და არგენტინის ნაკრების 25 წლის თავდამსხმელით, **როდრიგო პალასიოთიც** დაინტერესდა. ამ ბიჭს "ბარსელონა" და "მარსელიც" უთვალთვალებენ. და კიდევ, ტურინელებს ლიგერპულელი **მომო სისოკოც** სურთ. ეს ამბავი ახალი არ არის. "ქალბატონი" მალელი ნახევარმცველის შეძენას გასულ ზაფხულსაც ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. ამჯერად "ლივერპულის" ფეხბურთელის აბარგებას ხელს აღარ შეუშლის. მოსალოდნელი გარიგების დეტალები უცნობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტურის წინ

პრემიერლიგა მე-600 ტურს მართავს

ფულჰემი უმწვრთნელოდ დარჩა. ლორი სანჩესი ლიგის მეშვიდე მწვრთნელია, რომელიც ამ სეზონში დაითხოვეს...

ლორი სანჩესი პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში დათხოვნილი მეშვიდე მწვრთნელია

ლიდერები

ადგილი

არსენალი-ბოლტონელები
ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი
ბოლტონი-ბირმინგემი
ფულჰემი-ვიგანი
ლივერპული-პორტსმუთი
მიდლსბრო-ვესტ ჰემი
რედინგი-სანდერლენდი

ხვალ

მანჩესტერ იუნ.-ევერტონი
ნიუკასლი-დერბი
ბლეკბერნი-ჩელსი

"არსენალს" "ტოტენჰემთან" ჩემპიონატსა და თასზე 19-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. "მამლებმა" თანაქალაქელს უკანასკნელად 1999 წლის ნოემბერში სძლიეს (2:1). სამშაბათს ლიგის თასის მეოთხედფინალები გაიმართა. "არსენალმა" "ბლეკბერნს" მოუგო, "ტოტენჰემმა" - "მანჩესტერ სიტის". ახლა ისინი ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან. "ტოტენჰემმა" **ხუანდე რამოსის** ხელმძღვანელობით 11 მატჩი ჩაატარა, 7 მოიგო და მხოლოდ ერთი მარცხი იწვნია.

"მამლებს" "არსენალის" სტადიონზე 1993 წლის შემდეგ არ გაუმარჯვია. ამ სეზონში რამოსი "ემირიტს სთედიუმზე" მეორედ ჩადის. სექტემბერში ის "სევილიის" მთავარი მწვრთნელი იყო და ლონდონს ჩემპიონთა ლიგის მატჩის ჩასატარებლად ენვია (0:3). სექტემბერში, "არსენალმა" "ტოტენჰემსაც" მოუგო (3:1 "უაით ჰართ ლეინზზე"). მაშინ "მამლებს" **მარტინ იოლი** თავკაცობდა.

"არსენალი"-"ტოტენჰემი" ჩრდილო-ლონდონური დერბია. დღეს ეს გუნდები პრემიერლიგაში 32-ედ, ინგლისის ლიგის ისტორიაში 142-ედ და ყველა ტურნირზე 157-ედ შეხვდებიან ერთმანეთს. პრემიერლიგაში ზუსტად მე-600 ტური იმართება. "მეთოფეებსა" და "მამლებს" ამ ტურნირის არცერთი სეზონი არ გამოუტოვებიათ. განვლილი 599 შეხვედრიდან "არსენალმა" 320 მოიგო და 1 121 ქულა დააგროვა. "ტოტენჰემის" შედეგი უფრო მოკრძალებულია - 216 მატჩში 806 ქულა.

"არსენალს" მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული - **თეო უოლკოტი**. მას მთელი კვირა არ უვარჯიშია. "ტოტენჰემს" ცენტრალური მცველი **დიდიე ზოკორა** ვერ დაეხმარება. ის "მანჩესტერ სიტისთან" ლიგის თასის მატჩში გააძევეს. **რიკარდო როჩასა** და **მაიკლ დოსონის** ასპარეზობა საეჭვოა.

"მანჩესტერ იუნაიტედი" "ევერტონს" შეხვდება. სექტემბერში "მენიუმ" მეტოქე მისსავე მოედანზე დაამარცხა (1:0). "იუნაიტედს" ზედიზედ სამი გამარჯვება აქვს, "ევერტონს" შვიდი მატჩია, არ წაუგია. მანჩესტერელებს პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე მეტი, 379 მატჩი აქვთ მოგებული, ლივერპულელების აქტივში ყველაზე მეტი დამარცხებაა - 236. "მენიუს" პრემიერლიგაში ყველაზე მეტჯერ "ევერტონი" ჰყავს დამარცხებული, შესაბამისად, "ევერტონსაც" ყველაზე მეტჯერ "მენიუსთან" წაუგია (24).

"უმმაკებს" **რიო ფერდინანდი, კარლოს ტევესი** და **ვესლი ბრაუნი** მწყობრში ჰყავთ. მათ უმნიშვნელო ტრავმები აწუხებდათ. დაშავებულია **ჟი სუნ პარკი**. მას ამ კვირაში სარეზერვო გუნდის შემადგენლობაშიც არ უთამაშია. "ევერტონის" განაცხადში იქნებიან **ტიმ ჰოვარდი, იაკუბუ, მიკელ არტეტა, ტიმ კაჰილი** და **ჯოზეფ იობო**. ამ ფეხბურთელებმა "ალკმაართან" უეფას თასის მატჩი გამოტოვეს. სტუმრები ტრავმების გამო **ლეონ ოსმანი, ალან სტაბსი** და **ლეიტონ ბაინესი** ვერ დაეხმარებიან.

ერთი კვირის წინ "ჩელსიმ" 16-მატჩიანი (ყველა ტურნირზე) წაუგებელი სერია "არსენალთან" შეწყვიტა (0:1). სამაგიეროდ, ოთხშაბათს ლიგის თასის მეოთხედფინალში "ლივერპული" დამაჯერებლად დაამარცხა. დღეს "არისტოკრატებს" შედარებით იოლი მეტოქე ჰყავთ: "ბლეკბერნი", რომელმაც ლიგასა და თასზე, ბოლო ხუთი თამაშიდან სამი წააგო.

"ჩელსის" საკადრო პრობლემები აქვს. ვერ ითამაშებენ **ჯონ ტერი** და **დიდიე დროგბა**. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, შეიძლება, ძირითადში ვიხილოთ **მიხაელ ბალაკი**. მან "ლივერპულთან" სათასო შეხვედრაში შეცვლაზე ითამაშა. ანდრეი შევჩენკოს მცირე ტრავმა აქვს. ლონდონელები მის გამოჯანმრთელებას ელოდებიან. შეჩვენკოს შეცვლა **კლაუდიო პისაროს** შეუძლია. პერუელი თავდამსხმელი გრიპისაგან განიკურნა.

"ბლეკბერნს" დაცვის ხაზში ისევ პრობლემები აქვს. ცენტრალური მცველი **კრის სამბა** ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის. მის ადგილს **ზურაბ ხიზანიშვილი** ან **აარონ მოკოენა** დაიკავებს. სასჯელი მოიხადა ნახევარდაცვის ერთ-ერთმა ლიდერმა **ბრეტ ემერტონმა**.

"ლივერპულმა" პრემიერლიგაში ზედიზედ ორი თამაში წააგო. შუა კვირაში ის ლიგის თასსაც გამოეთხოვა. თუ მერსისაიდელები ისევ დამარცხდებიან, ეს იქნება პირველი შემთხვევაში 2003 წლის ოქტომბრის შემდეგ, როცა გუნდი მიყოლებით სამ შეხვედრაში დამარცხდება. "ლივერპულის" მეტოქე ის "პორტსმუთია", რომელიც სტუმრად დიდებულად თამაშობს. ამ სეზონში **ჰარი რედნაპის** შეგირდებს მეტოქის მოედანზე საუცხოო შედეგი აქვთ - ზედიზედ ექვსი გამარჯვება. "პორტსმუთს" "ენფილდ როუდზე" შორეული 1951 წლის შემდეგ არ გაუმარჯვია.

"ლივერპულს" **ჩაბი ალონსო** უბრუნდება. მან ოთხშაბათს "ჩელსის" წინააღმდეგად ითამაშა. **პიტერ კრაუჩს** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. ლონდონელებთან მატჩში მან წითელი ბარათი დაიმსახურა. **სტივ ფინენის** თამაში საეჭვოა. დანიელ აგერი ჯერ კიდევ მკურნალობს. "პორტსმუთს" ძირითადის ორი ფეხბურთელი, **ნოე პამარო** და **შონ დევისი** აკლია.

აქვე გეტყვით, რომ პარასკევს "ფულჰემი" უმწვრთნელოდ დარჩა. **ლორი სანჩესს** კარისკენ მიუთითეს. მისმა გუნდმა სეზონი უსახურად დაიწყო. ლონდონელებმა 17 მატჩში მხოლოდ 13 ქულას მოუვარეს თავი და მე-18 ადგილზე იმყოფებიან. სანჩესის ადგილს დროებით მისი ასისტენტები დაიკავებენ. მომავალი დამრიგებლის ვინაობა უცნობია. "ფულჰემმა" ბოლო სამი თამაში წააგო და ერთი გოლიც კი ვერ გაიტანა. "ვიგანი" სტუმრად გამარჯვებას საერთოდ ვერ ახერხებს. მან მეტოქის მოედანზე ზედიზედ შვიდი თამაში წააგო.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. არსენალი	17	12	4	1	34-14	40
2. მანჩ. იუნ.	17	12	3	2	30-8	39
3. ჩელსი	17	10	4	3	24-10	34
4. მანჩ. სიტი	17	10	3	4	24-19	33
5. ლივერპული	16	8	6	2	27-10	30
6. ევერტონი	17	9	3	5	31-16	30
7. პორტსმუთი	17	8	6	3	28-15	30
8. ასტონ ვილა	17	8	4	5	28-20	28
9. ბლეკბერნი	17	7	5	5	23-24	26
10. ნიუკასლი	17	7	4	6	24-26	25
11. ვესტ ჰემი	16	6	4	6	20-14	22
12. ტოტენჰემი	17	4	6	7	29-29	18
13. რედინგი	17	5	3	9	22-34	18
14. მიდლსბრო	17	4	5	8	16-28	17
15. ბირმინგემი	17	4	3	10	18-27	15
16. ბოლტონი	17	3	5	9	18-27	14
17. სანდერლენდი	17	3	5	9	16-32	14
18. ფულჰემი	17	2	7	8	18-28	13
19. ვიგანი	17	3	3	11	17-33	12
20. დერბი	17	1	3	13	6-39	6

ფრანკ რაიკაარდი და რონალდინიო.
ამ ფოტოზე მათი გუშინდელი დაპირისპირებაა ასახული

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XVII ტურის წინ

რიიკაარდს რონალდინიო ყელში ამოუვიდა

ბარსელონის გუშინდელმა ვარჯიშმა სკანდალურად ჩაიარა

დღეს

სარაგოსა-ვალენსია
ალმერია-ხეგაუე
სევილია-რასინგი

ხვალ

ვალიადოლიდი-ბეგისი
ვილიარეალი-რეკრეატივო
აგლეტიკო-ესპანიოლი
ლევანტე-ლეგორნა
ოსასუნა-მალიორკა
ბარსელონა-რეალი
ბილბაო-მურსია

ხვალ სუპერკლასიკოა. დიდი და მონატრებული მატჩი. ამ შესანიშნავი მოვლენის შესახებ მთელი კვირის განმავლობაში ვსაუბრობდით. ამიტომ, განვლილ ფაქტებზე აღარ დავწვრილმანდებით და ცინცხალ ამბებს გაგაცნობთ. იცით, რომ ხუთშაბათს **ფრანკ რიიკაარდმა რონალდინიო** და **დეკუ** სათადარიგო შემადგენლობის ბიჭებთან ავარჯიშა. აი, პარასკევს კი "ბარსელონის" ბაზაზე ისეთი რამ მოხდა, ძნელი წარმოსადგენია, ამის შემდეგ გაუჩო "რეალთან" მატჩში პირველივე წუთიდან ვიხილოთ მოედანზე.

კატალონიური გრანდის ვარსკვლავები "მინი ესტადიზე" დათქმულ დროს მივიდნენ. ვარჯიშზე არავის დაუგვიანია, მათ შორის რონალდინიოსაც. რიიკაარდმა შეგირდები მოსათელად მინდორზე გაიყვანა. სიტუაცია სწორედ ამ წამიდან დაიძაბა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ბიჭებს სთხოვა, საქმეს მთელი სერიოზულობით მოკიდებოდნენ და მუშაობის გარდა, არაფრისთვის მიექციათ ყურადღება. მან ერთმანეთში გადალაპარაკებაც კი აკრძალა. დამრიგებელს ყველა უსიტყვოდ დაემორჩილა ერთი კაცის გარდა. ის რა თქმა უნდა, რონალდინიო გახლდათ. ვერ ვიტყვით, რომ ბრაზილიელი ბოროტად იქცეოდა, ან მიზნობრივად ურევდა სიტუაციას. უბრალოდ ის ხომ რონალდინიოა, კაცი რომელიც ხუმრობისა და იუმორის გარეშე ვერ ცხოვრობს. გაუჩოს სერიოზულობამ მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე წუთს გასტანა. ამის შემდეგ ის ჯერ ერთ თანაგუნდელს გაეხუმრა, შემდეგ მეორეს და როცა მესამეს მიადგა, რიიკაარდმა მოთმინება დაკარგა. "ბარსელონაში" მუშაობის განმავლობაში პირველად, ჰოლანდიელმა შეგირდს ძალიან ხმამაღლა დაუღრიალა - ან ახლავე გაჩუმდები, ან სასწრაფოდ დატოვებ ვარჯიშსო. უსიამოვნება ამითაც არ ამოწურულა. გაუჩომ ძალიან ცოტა ხანს გაძლო და ისევ დაიქოქა. მან პუიოლს ყურში რაღაც ჩაულაპარაკა და კაპიტანი ხმამაღლა ახარხარდა. რიიკაარდმა ვარჯიში შეწყვიტა და რონალდინიო გუნდს დააშორა. მას ფიზმომზადების სპეციალისტთან ერთად მუშაობა დაავალა. ნახევარი საათის შემდეგ სამხრეთამერიკელი თანაგუნდელებთან დაბრუნდა. მართალია, მას ხმა აღარ ამოუღია, მაგრამ მწვრთნელი მაინც ვერ შემოირიგა. პრინციპში, მას საამისო სურვილიც არ ჰქონდა. აშკარად გამოჩნდა, რომ ვარსკვლავი გაბრაზდა. ბატონი ფრანკი კი უკან დახევას არ აპირებდა. ახლა მას გაუჩის ვარჯიშის რიტმი არ მოეწონა და მეტი შემართებით მუშაობა მოსთხოვა. ძალიან გაგვიჭირდება იმის თქმა, რომ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. რონალდინიოს ფეხი წამითაც არ აუწევია. ამ ტანჯვა-წვალებაში სავარჯიშო დროც ამოიწურა და მთავარმა მწვრთნელმა შეგირდებს საშხაპეში გასვლის ნება დართო. ცხელი შხაპი რონალდინიომ ყველაზე გვიან გადაივლო, ის რიიკაარდმა მოედნის კიდეზე გაიხმო და დაახლოებით ხუთი წუთი განრისხებული გამომეტყველებით ესაუბრა. პარასკევის ისტორია გვაფიქრებინებს, რომ სუპერკლასიკო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მოთამაშის გარეშე ჩაივლის.

კატალონიელთა ბანაკში სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა. კლუბის პრესსამსახურმა საზოგადოებას აუწყა, რომ **ტიერი ანრიმ** ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა და ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ კვირას "რეალის" კარში გოლის გატანაზე იზრუნოს. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ძირითად შემადგენლობაში **სამუელ ეტოო** მოხვდება, ანრის კი მეორე ტაიმში შეცვლაზე მოუწევს შესვლა. რა თქმა უნდა, ესეც შეხვედრის მსვლელობაზე იქნება დამოკიდებული. გასაგები მიზეზების გამო "ბარსელონის" მწვრთნელებს სავარაუდო შემადგენლობა არ გამოუმზეურებიათ.

ბარსელონაში გამგზავრებამდე მცირე ხნით ადრე **ბერნდ შუსტერს** შეატყობინეს, რომ **ხოსე მარია გუტიერესის** მდგომარეობა მეტისმეტად შეშაფოთებელია. ძნელი სათქმელია ახლა როცა ამ სტატიას კითხულობთ გუტი როგორ გრძნობს თავს, მაგრამ გუშინ ის ვარჯიშზე მიღებული ტრავმით გამოწვეული ტკივილით იტანჯებოდა. სამეფო კლუბის ნახევარმცველმა აქილევსის მყესი იტკინა. როგორც ჩანს, ის თამაშს ვერ შეძლებს. კაცმა რომ თქვას, ეს ამბავი შუსტერს სასოწარკვეთილებაში არ ჩააგდებს. ბოლო ტურებში ის **ჟულიო ბაპტისტაზე** აკეთებდა არჩევანს და გუტის სათადარიგოთა სკამზე სვამდა... თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს. ცნობილია, რომ გუტი "ბარსელონის" წინააღმდეგ ყოველთვის არნახული შემართებით თამაშობს და უაღრესად პოზიტიურ როლს ასრულებს ხოლმე. ამის გათვალისწინებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ კაცის არყოფნა მადრიდული გიგანტისთვის სერიოზული პრობლემა იქნება. რიიკაარდის მსგავსად სავარაუდო შემადგენლობაზე შუსტერსაც სიტყვა არ დაუძრავს. ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ გერმანელი მწვრთნელი იმავე ბიჭებს დაეყრდნობა, რომლებმაც ერთი კვირის წინ "სანტიაგო ბერნაბეუზე" "ოსასუნას" 2:0 მოუგო.

დასასრულს, **პრედრაგ მიატოვიჩის** გუშინდელი პრესკონფერენციის ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: *"მთელი დღეებია იმის შესახებ საუბრობენ, რომ სუპერკლასიკოში რონალდინიო და დეკუ არ ითამაშებენ. თუ მოვლენები მართლაც ამგვარი სცენარით განვითარდება, ძალიან ბედნიერად ვიგრძნობ თავს. ისინი ხომ პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელები არიან... მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ კატალონიელები ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ. ეს ერთგვარი ფანდია, რომელიც ჩვენთვის თავ-გზის აბნევას ისახავს მიზნად. ვერ დავიჯერებ, რომ ისეთ გენიალურ მოთამაშეებზე, როგორებიც დეკუ და რონალდინიო არიან მთავარი მწვრთნელი საკუთარი ნებით იტყვის უარს. რომელიმე მათგანს თუნდაც მიკრო ტრავმა რომ აწუხებდეს, სხვა საქმე იქნებოდა. მოკლედ, მე მჯერა, რომ კატალონიელები მცდარ ინფორმაციას მიზანმინართულად ავრცელებენ."*

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	16	12	2	2	36-14	38
2. ბარსელონა	16	10	4	2	32-12	34
3. ატლეტიკო	16	9	4	3	30-17	31
4. ვილიარეალი	16	10	1	5	29-23	31
5. ესპანიოლი	16	8	6	2	24-18	30
6. რასინგი	16	7	5	4	16-15	26
7. ვალენსია	16	8	1	7	20-26	25
8. მალიორკა	16	5	6	5	25-24	21
9. სევილია	16	6	2	8	28-22	20
10. სარაგოსა	16	5	5	6	25-26	20
11. ალმერია	16	5	4	7	14-18	19
12. რეკრეატივო	16	5	4	7	12-19	19
13. ბილბაო	16	4	6	6	15-17	18
14. ხეტაფე	16	5	3	8	17-21	18
15. მურსია	16	4	6	6	13-19	18
16. ოსასუნა	16	4	5	7	17-20	17
17. ვალიადოლ.	16	4	5	7	21-27	17
18. ბეტისი	16	4	5	7	17-23	17
19. დეპორტივო	16	3	5	8	15-24	14
20. ლევანტე	16	2	1	13	11-32	7

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ჟულიო ბაპტიშტასთან

ეტოო ერთ მცველს არ უნდა შევაჭოვოთ

აფრიკელი ფორვარდის შეჩერება მხოლოდ გუნდური თამაშითაა შესაძლებელი. რეალმა დაზღვევის სისტემა უნდა აამოქმედოს...

ჟულიო ბაპტიშტა წარნერა: ჟულიო ბაპტიშტას ვეფხვებმა ბარსელონელი ვარსკვლავები გაახსენა

ერთი დღეც და დიდი მატჩით დავტკბებით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საფეხბურთო სამყაროს უდიდესი ნაწილი "ბარსელონისა" და "რეალის" დაპირისპირებას მოუთმენლად ელის. ყოველ წელს იმედი აქვთ, რომ ახალი სუპერკლასიკო კიდევ უფრო დაძაბული და საინტერესო იქნება. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, საკვირაო შეხვედრაც ისეთივე სცენარით წარიმართოს როგორითაც შარშანდელი სუპერკლასიკო. რა თქმა უნდა, გახსოვთ, რომ "კამპ ნოუზე" გამართული ის შეხვედრა უაღრესად დრამატული გამოდგა. სამეფო კლუბი გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ ლეო მესის ჰეთ ტრიკის გამო მხოლოდ ერთ ქულას დასჯერდა. ანალოგიურ თამაშს თუნდაც იმიტომ ვერ ვიხილავთ, რომ მესი ტრავმირებულია და მინდორზე ვერაფრით გავა. მიუხედავად ყველაფრისა, სუპერკლასიკო ნებისმიერ შემთხვევაში დიდი ზეიმია და ისღა დაგვრჩენია, ცოტაც მოვითმინოთ. და გრანდიოზული ფეხბურთით დავტკბეთ. მანამდე კი ჟულიო ბაპტიშტას ინტერვიუს გავეცნოთ. "რეალის" ბრაზილიელი ლეგიონერი დიდი თავგადასავლის წინ გუნდში არსებულ სიტუაციაზე საუბრობს. საინტერესოა, რომ "დიარიო ასის" ჟურნალისტმა ბაპტიშტა მადრიდის ცირკში წაიყვანა. ჩანაფიქრი კურიოზული და ოდნავ ბანალური გახლდათ. "ბარსელონასა" და "რეალის" დაპირისპირება ორი ვეფხვის ბრძოლად მოინათლა. ფოტოს შემხედვარე ადამიანი დასკვნებს იოლად გამოიტანს.

- სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი რა უფრო საშიშია, გალიაში ორ ვეფხვთან შესვლა, თუ "კამპ ნოუზე" გასვლა და ორი გიგანტის დაპირისპირებაში მონაწილეობა. სტადიონზე 100 ათასზე მეტი ადამიანი იქნება. კატალონიელები გაცოფებულები არიან. კიდევ რაღა უნდა იყოს...

- გულწრფელად რომ გითხრათ, პირადად მე ამ ვეფხვების გალიაში შესვლა უფრო შემეშინდება. ღმერთო ჩემო, ცოცხლად შემჭამენ. ამას მირჩევნია, "ბარსელონას" მარტო დავუპირისპირდე (იცინის). დიდი იმედი მაქვს, რომ საინტერესო შეხვედრას ჩავატარებთ და გავიმარჯვებთ. სუპერკლასიკო ყოველთვის დიდ ემოციებთანაა დაკავშირებული. ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

- აი, ვეფხვების წინაშე დგახართ. ცირკში მათი სიშმაგე ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. როგორ ფიქრობთ, ვინ არის "ბარსელონის" ვეფხვი? ყველაზე მეტად ვისი უნდა გეშინოდეთ?

- რა თქმა უნდა, სამუელ ეტოოსი. ის გენიალური ფორვარდია. ძალიან ტექნიკური და სწრაფია. ცხადია, დიდი სიფრთხილე გვმართებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემებს ვერ ავცდებით.

- ცირკში მოსვლაზე ძლივს დაგითანხმეთ. მეუბნებოდით, ვეფხვების დანახვისას მაკანკალებსო. საინტერესოა, "კამპ ნოუზე" გასვლისასაც ხომ არ აკანკალდებით?

- არა, მე პროფესიონალი ვარ და კანკალს პლანეტის ვერც ერთი გუნდი დამაწყებინებს. რა თქმა უნდა ვაცნობიერებ, რომ სუპერკლასიკო ორივე მხარისთვის ღირსების საქმეა, მაგრამ ამავდროულად ისიც ცხადია, რომ ამშეხვედრაში გამარჯვებასაც მხოლოდ და მხოლოდ 3 ქულა მოაქვს. ჩემპიონობის ბედი მასზე არ არის დამოკიდებული. თუ მოვიგებთ, სოლიდური სხვაობით გავიჭრებით წინ. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგი იქნება, მაგრამ უნდა შევთანხმდეთ, რომ საკვირაო შეხვედრაში აბსოლუტურად არაფერი გადაწყდება.

- რისი თქმა გსურთ, სუპერკლასიკოში მიღწეულ გამარჯვებას ისეთივე ფასი აქვს, როგორიც ვთქვათ, "ლევანტესთან" მოპოვებულ სამ ქულას?

- რა თქმა უნდა, არა. სუპერკლასიკო სამ ქულაზე მეტია, მაგრამ მე ვთქვი, რომ "კამპ ნოუზე" არაფერი გადაწყდება-მეთქი.

- ყველამ ვიცით, "კამპ ნოუზე" მოსაგებად მიდიხართ. ეს დიდი მიღწევა იქნება, მაგრამ თუ თამაში ფრედ დასრულდება კმაყოფილი იქნებით?

- რატომაც არა. ჩემი აზრით, "კამპ ნოუზე" ერთი ქულის მოპოვება არ არის ცუდი შედეგი. მით უმეტეს, "რეალი" "ბარსელონას" ოთხი ქულით უსწრებს. სტატუს კვოს შენარჩუნება ჩვენ უფრო გვაწყობს. მოკლედ, მთავარია, არ წავაგოთ.

- ზაფხულში ბევრს საუბრობდნენ თქვენი შესაძლო წასვლის შესახებ. მაგრამ თქვენ ყოველთვის ამბობდით, "რეალში" დარჩენა და მასთან ერთად წარმატებების მიღწევა მსურსო. მას შემდეგ ოთხი თვე გავიდა. სეზონი სათადარიგო ფეხბურთელის სტატუსით დაიწყეთ. შუსტერი არ გენდობოდათ, ახლა კი ძირითადი შემადგენლობის წევრი გახდით. შეიძლება ითქვას, რომ "რეალი" თქვენს გარეშე უკვე წარმოუდგენელია. მართლაც რამდენად ცვალებადია ცხოვრება...

- ასეთი დინამიკურია ფეხბურთი. ის სიზანტეს არასოდეს აღიარებს და ყოველთვის სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ. ამ მსვლელობაში ზოგს უმართლებს, ზოგს არა. თუმცა თუ დღეს გაგიმართლა სულაც არ ნიშნავს, რომ იღბალი ხვალაც გადმოგხედავს. ძალიან მნიშვნელოვანია, რთულ დროს მოთმინებამ არ გიმტყუნოს. რამდენადაც არ უნდა იტანჯებოდე, ბოლო მომენტამდე უნდა მოითმინო. მე ძალიან ცუდი ეტაპი მქონდა. დრო გადიოდა, მაგრამ თამაშის შესაძლებლობა არ მეძლეოდა. რომ არა უდიდესი მოთმინება, ძირითად შემადგენლობაში ვერასოდეს მოვხვდებოდი. ვიცოდი, რომ შუსტერი აუცილებლად გამიხსენებდა და შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს. ამ მომენტს მაქსიმალურად მომზადებული უნდა შევხვედროდი. წინააღმდეგ შემთხვევაში თავს დავილუპავდი. წარმოიდგინეთ, მწვრთნელი სისტემატურად სათადარიგოთა სკამზე გსვამს. ერთხელაც გეუბნება, ჩაიცვი დღეს თამაშობო. შენ კი მოედანზე მოუმზადებელი გადიხარ და მწვრთნელს თავს ვერაფრით აწონებ. რა თქმა უნდა, მეორე შანსს აღარ მოგცემენ. ეს ხომ მადრიდის "რეალია". გუნდი, რომლის ფეხბურთელებიც თავს იკლავენ იმისთვის, რომ თავიანთი უპირატესობა დაამტკიცონ. თუ სხვას არ აჯობებ, გადაგჯეგავენ. ეს რა თქმა უნდა, ჯანსაღი კონკურენციაა. ასეც უნდა იყოს, გუნდის ღირსებას მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო ფორმაში მყოფი ბიჭები უნდა იცავდნენ.

- თქვენი მენეჯერი ერმინიო მენენდეზი ამბობდა, ბაპიშტა გათვალული და დაწყვლილია, თორემ მისი დონის მოთამაშე სამეფო კლუბის ძირითადი შემადგენლობის განუყოფელი წევრი უნდა იყოსო.

- მე მშვიდი ხასიათის ადამიანი ვარ. თუ ვგრძნობ, რომ უსამართლოდ ვიჩაგრები, ვცდილობ, არ ავღელდე და ცივი გონებით ვიმოქმედო. ალბათ, დამეთანხმებით, რომ სკანდალურ ისტორიებში არასოდეს ვმონაწილეობ. არ მინდა გათვალულობასა და წყევლაზე ვილაპარაკო. ყველასთვის თვალხილულია რასაც წარმოვადგენ და რაც შემიძლია. მჯერა, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის შანსი მომავალშიც არაერთხელ მომეცემა. ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, რომ "რეალის" ძირითად შემადგენლობაში ვხვდები.

- კვირას ლეო მესი ვერ ითამაშებს. თქვენ ეს გახარებთ, თუ გერჩივნათ, "ბარსელონა" თქვენს წინააღმდეგ მთელი მისი ბრწყინვალებით წარმდგარიყო?

- მისი ტრავმის გამო მხოლოდ კატალონიელები უნდა წუხდნენ. მესი საოცარი ფეხბურთელია. ერთ ეპიზოდში შეუძლია ნებისმიერი მოწინააღმდეგე დაჩაგროს და გოლი გაიტანოს. "რეალისთვის" რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ ის მოედანზე არ იქნება. ჩემი აზრით, ლეოს სრულფასოვნად შეცვლა გამორიცხულია. ეს უბრალოდ შეუძლებელია.

- ამასწინათ, პრედრაგ მიატოვიჩმა განაცხადა, რონალდინიოს არაფრის გულისთვის შევიძენდიო. გენერალურმა დირექტორმა იქვე დასძინა, არ მსურს ჩვენს გუნდში ისეთივე არეულ-დარეული ატმოსფერო გამეფდეს, როგორიც "ბარსელონაშიაო". განცხადებას დეკუ გამოეხმაურა და თქვა, რომ სამეფო კლუბის გენერალური დირექტორი "ბარსას" დასცინის. ეთანხმებით?

- რა თქმა უნდა, არა. მიატოვიჩი "ბარსელონას" ნამდვილად არ დასცინის. მით უმეტეს, ნურავინ იფიქრებს, რომ სუპერკლასიკოს წინ კატალონიელთა ბანაკში დაძაბულობის გამძაფრება გადავწყვიტეთ. არა ბატონებო. "ბარსას" თავისი საქმეები აქვს, ჩვენ კი ჩვენი. მთავარია, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამომჟღავნება შევძლოთ. თუ ამას მოვახერხებთ, წინ ვერავინ დაგვიდგება. მიატოვიჩმა რაც ტქვა ჩემი საქმე არ არის. ჯობს, უშუალოდ მას ჰკითხოთ. ზოგადად კი მიმაჩნია, რომ მას "ბარსას" დაცინვა აზრადაც არ ჰქონდა გავლებული. სიმართლე გითხრათ, გარეშე საკითხებზე საერთოდ არ ვკარგავდით დროს. მტელი ყურადღება სუპერკლასიკოსადმი გვაქვს მიპყრობილი. მაქსიმალურად კონცენტრირებულები უნდა ვიყოთ.

- როგორ ფიქრობთ, "ბარსელონა"რონადლინიოს გარეშე უფრო ძლიერია?

- ჩემი აზრით, კატალონიელები უდიდეს შეცდომას უშვებენ. არ შეიძლება ამხელა ფეხბურთელს ასე მოეპყრო. ის პლანეტის საუკეთესო მოთამაშე იყო. განა ნათელი არ არის, რომ ეს ნიჭი არსად გამქრალა?

- თუმცა თქვენთვის ალბათ, უკეთესია, რომ მესის მსგავსად მანაც არ ითამაშოს...

- ცხადია. არცთუ დიდი ხნის წინ რონალდინიოს საუკეთესოობაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ახლა მას შედარებით რთული დღეები აქვს, მაგრამ გაუჩაო პლანეტის ერთ-ერთ უძლიერეს ფორვარდად რჩება. ამიტომ, "რეალისთვის" უკეთესი იქნება, თუ ის სათადარიგოთა სკამზე დარჩება. როგორც ჩანს, რაიკაარდი შესანიშნავ საჩუქარს გვიმზადებს.

- ხომ არ გეჩვენებათ, რომ სამეფო კლუბის მოთამაშეებს "კამპ ნოუზე" მეტისმეტად ველურად ეპყრობიან?

- ასეთი ყაიდის დაპირისპირებისთვის ეს არ არის გასაკვირი. კატალონელებს "რეალი" არ უყვართ, მადრიდელებს კი "ბარსელონა". რა გასაკვირია, რომ გულშემატკივრები მონინააღმდეგე ფეხბურთელებს გაშმაგებით უსტვენენ და აგინებენ. მაგალითად ბრაზილია-არგენტინა, ან სევილია-ბეტისი ავიღოთ. ზოგჯერ ადამიანებს ერთმანეთი ეზიზღებათ, მაგრამ სიტუაცია ადამიანურიბის ჩარჩოს არ ცდება. დასამალი არ არის, რომ "კამპ ნოუზე" სუპერკლასიკოს დაწყების წინ იქაური ინჩასები ჯოჯოხეთურ წნეხში გვაგდებენ. ადამიანი იფიქრებს, ნეტავ აქედან გამაქციაო. მაგრამ უმალ მშვიდდები და სულ სხვა ფიქრი გიჩნდება, მე ამას გავუძლებ!

- შუსტერი როგორ მოხიბლეთ?

- მას ვარჯიშებზე დავანახე, რომ იმ შანსის მოცემას ვიმსახურებდი, რომელსაც თვეების განმავლობაში უშედეგოდ ველოდი. მიხარია, რომ მწვრთნელი მენდო და ხელი შემინყო.

- სუპერკლასიკოს პროგნოზს არ შემოგვთავაზებთ?

- ჩვენ 2:0 მოვიგებთ (იცინის). ვფიქრობ, ეს გენიალური შედეგი იქნება. წინასწარ რაიმეს მტკიცება, ცხადია უაზრობაა, მაგრამ გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ თავს არ დავზოგავთ. კატალონიური ინჩადის ზეწოლას გავუძლებთ და საქმეს ცივი გონებით მოვეკიდებით. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქომაგები გავახაროთ.

- თუ წარმოგიდგენიათ, გოლის გატანის შემთხვევაში წარმატებას როგორ აღნიშნავთ?

- არ ვიცი, ვერაფერ გეტყვით. ღმერთმა ქნას, გოლის გატანა შევძლო. სიხარულს კი რაიმენაირად გამოვხატავ. ვფიქრობ, ეს არ არის მთავარი.

- კატალონიელთაგან როგორ თამაშს ელით?

- ისინი რა თქმა უნდა, შეეცდებიან შემოგვიტიონ და სწრაფი გოლი გაგვიტანონ. ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა ეს არ დავუშვათ. "რეალის" ბედი მხოლოდ და მხოლოდ "რეალზეა" დამოკიდებული. ლიდერები ვართ და მიმაჩნია, რომ წელს ჩვენ უკეთესი გუნდი გვყავს. ცხადია, ძალიან რთული დაპირისპირება გველის, მაგრამ ღრმად მწამს, რომ "კამპ ნოუზე" გამარჯვების უნარი შეგვნევს.

- ეტოო როგორ უნდა შეაჩეროთ?

- გუნდური თამაშით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამუელი რომელიმე ერთ მცველს არ შევატოვოთ. აუცილებელია ეგრეთ წოდებული დაზღვევის სისტემა ამუშავდეს. თუ სამუელი ერთ მცველს მოატყუებს, ის მეორემ უნდა შეაჩეროს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ კამერუნელი ფორვარდი ვეფხვივით საშიშია. მჯერა, ჩვენ მას მოვათვინიერებთ.

- სხვათა შორის, ეტოო კამერუნის ნაკრების ლიდერია, ანუ ერთ-ერთი მოუთვინიერებელი ლომი. მერწმუნეთ, მისი მოთვინიერება ურთულესი საქმე იქნება.

- გეთანხმებით. თუმცა ამავდროულად ვიტყვი, რომ ურთულესი, მაგრამ არა შეუძლებელი.

ილია ნიკოლაიშვილი

LOYALCAPITAL group

ᲥᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ QUARTZITE

BTA Silk Road Bank

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ

პირველი ეტაპი: სარაგბო აკადემიები თბილისსა და ქუთაისში

მომავალი სარაგბო სეზონი ქართული რაგბისთვის შესაძლოა გარდამტეხი აღმოჩნდეს. რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის წინაშე უამრავი პრობლემატური საკითხი დგას, რომლის გადაჭრაც არსებული ინტელექტუალური პოტენციალისა და შესაძლო ფინანსური ინექციის მაქსიმალურად მობილიზებას, რაციონალურად გამოყენებას საჭიროებს. ცხადია, უმთავრესი მიმართულება საქმიანობაში საქართველოში რაგბის შემდგომი განვითარებაა, რაც უშუალოდ ევალება რაგბის კავშირის ტექნიკურ დირექტორს გიორგი ჭუმბურიძეს. მასთან საუბარი თბილისსა და ქუთაისში სარაგბო აკადემიის გახსნის გეგმით დავიწყეთ.

რაგბის კავშირის ტექნიკური დირექტორი გია ჭუმბურიძე (მარჯვნივ) ნაკრების მომავალ მწვრთნელ ტიმ ლეინთან

თბილისში, შევარდენის სტადიონზე სარაგბო აკადემია ფუნქციონირებას უკვე იანვრიდან დაიწყებს, - გვიამბობს გიორგი ჭუმბურიძე. - პირველი სემინარები იქ მსაჯებს ჩაუტარდებათ. გვინდა ეს აკადემია ინტერნატის პრინციპით ავაშენოთ. მანამდე კი განზრახული გვაქვს, სხვადასხვა ასაკის მორაგბეებს იქ რამდენიმე ნაკადად მოვუყაროთ თავი.

- რა პრინციპით იქნებიან შერჩეული ის მორაგბეები, რომლებიც აკადემიაში შეიკრიბებიან?

- დავიწყებთ 15-16 წლის ასაკის მორაგბეებიდან. შერჩეულნი იქნებიან ისეთი მორაგბეები, რომლებიც ერთი წლის შემდეგ შესაბამისი ასაკის ნაკრებში იასპარეზებენ სხვადასხვა რანგის ტურნირებზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ნაკრებში მხოლოდ ისინი მოხვდებიან, ვისაც აკადემიაში ექნება წვრთნა გავლილი. ნაკრების კარი დახშული არავისთვის იქნება და თუ მწვრთნელი გადაწყვეტს, იქ ისეთმაც შეიძლება ითამაშოს, ვისაც აკადემიაში არ უვარჯიშია.

- სტრუქტურულად როგორ აეწყობა აკადემიის საქმიანობა, რა იქნება ამ დაწესებულების საბოლოო მიზანი?

- აკადემიაში მიწკეული მორაგბეები რეგულარულად, კვირაში მინიმუმ ოთხი დღე აქ ივარჯიშებენ. თამაშის წინა დღეს კლუბში გავუშვებთ, თამაშის მეორე დღეს კი სასურველია ისევ აკადემიაში დაბრუნდბეს და აღდგენითი პროცესები აკადემიის პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ გაიაროს.

ხაგზასმით უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიაში გუნდი არ იქნება. ანუ ერთ ნაკადში შესაძლოა მოხვდეს ათი ბურჯი, ან ყველა უკანახაზელი და ა.შ. ერთი სიტყვით, რა სათამაშო ამპლუისაც არ უნდა იყვნენ მოწვეული მორაგბეები, ჩვენ მათთან ვიმუშავებთ საბაზო ტექნიკის და ტაქტიკური აზროვნების დახვეწაზე. ნებისმიერმა მოთამაშემ, რომელიც მოედანზე გავა ნაკრების მაისურით, უნდა იცოდეს ბურთის სწორად ჭერა, შებოჭვა, უბურთოდ თამაში, როდის უნდა გაიშალოს, თავისი მოძრაობით როგორ უნდა აყვეს ბურთიან მოთამაშეს და ასე შემდეგ. ჩვენ ვეცდებით, რომ ამა თუ იმ ნაკრების მწვრთნელებს გადაეცეთ ყოველმხრივ მომზადებული მოთამაშეები. გვინდა დადგეს ის დრო, რომ ნაკრებში გამოძახებულ მოთამაშეს მწვრთნელი პასს და ფეხით დარტყმას არ ასწავლიდეს.

- საინტერესოა, ვინ იქნება იმ მწვრთნელთა კონტინგენტში, ვინც ამაზე იმუშავებს აკადემიაში?

- ვფიქრობთ, აკადემიაში ჩვენს ხელთ არსებული საუკეთესო კადრები უნდა იყვნენ. ძალიან დიდი სურვილი მაქვს აკადემიაში ეროვნული ნაკრების სამივე ყოფილმა მწვრთნელმა იმუშაოს. მათ უზომოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდათ, კარგად იციან, რა პრობლემები შეიძლება ჰქონდეს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის მოთამაშეებთან ურთიერთობაში. ძალიან კარგი იქნება თუ მათი ცოდნა არ განიავდება და სათანადო გამოყენებას პოვებს.

ამასთან ყველა პროცესს დაესწრებიან და უშუალოდაც მიიღებენ მონაწილეობას ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები. შეიქმნება მწვრთნელთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს და განახორციელებს სამომავლო გეგმას. ამასთან უშუალოდ იქნება ჩართული სამწვრთნელო პროცესში ეროვნული ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნეი ნიკოლა ფულკიე. ყოველივე ამას კი კორდინაციას ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გაუწევს.

მიზანი კი ისაა, რომ ყველა ასაკის ნაკრებმა ერთიანი პროგრამით იმუშაოს. თვრამეტწლამდელთა ნაკრებიდან მორაგბე ოცწლამდელთა გუნდში რომ გადავა, მისი ცალკე გადამზადება საჭირო აღარ უნდა იყოს. მერე, ის უნდა მომზადდეს ეროვნული ნაკრებისთვის.

- ეს ყველაფერი თბილისში მოხდება. რამდენადაა იგივე შესაძლებელი ქუთაისში და რა სახსრებით გაქვთ განზრახული ყოველივეს ხორცშესხმა?

- უახლოეს დღეებში რაგბის კავშირის ხელმძღვანელები დასავლეთ საქართველოში გავემგზავრებით. იქ რამდენიმე, სხვადასხვა შინაარსის საკითხი გვაქვს განსახილველი. ცხადია ქუთაისსაც ვეწვევით. გვინდა, უკვე არსებული 22-ე სკოლის ბაზაზე შევქმნათ სარაგბო აკადემია. ვფიქრობ, აქ უკვე შესაძლებელი იქნება ამ დაწესებულების ინტერნატის პრინციპით ამუშავება, რადგან, ეს აკადემია მთელ დასავლეთ საქართველოს მოემსახურება. ბათუმიდან, ფოთიდან და სხვა ქალაქებიდან თუ რაიონებიდან ჩამოყვანილ მორაგბეებს საცხოვრებელიც უნდა შევთავაზოთ. სხვა მხრივ, რამდენადაც ვიცი, სკოლას ყველანაირი პირობები გააჩნია ! მოედანი, გასახდელები, საშხაპეები, სათავსო ნაგებობები. ვფიქრობთ, აკადემიისთვის ზედ გამოჭრილია იქაურობა.

რაც შეეხება ფინანსებს. იმ გრანტში, რომელიც მომავალ წელს უნდა მივიღოთ IRB-დან, სარაგბო აკადემიების დაფუძნების და ამოქმედების ხარჯები გათვალისწინებულია. შესაძლოა ეს თანხა ყველა ხარჯის დაფარვას ვერ ეყოს. დანარჩენი რაგბის კავშირმა უნდა მოიძიოს.

- ქართულ რაგბში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა კვალიფიციური მსაჯების ნაკლებობაა. რას გეგმავს რაგბის კავშირი?

- ამ მიმართულებით ჩვენთან, რბილად რომ ვთქვათ, საგანგაშო მდგომარეობაა. ჩვენ გვაქვს დაგეგმილი მთელი კოპლექსი ღონისძიებებისა. პრობლემა მსაჯების მომზადება არაა, პრობლემა ხალხის მოზიდვაა. გვაქვს ორი პროექტი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

მოკლევადიანის პრინციპი ასეთია: კლუბებს დაევალებათ წარმოადგინონ მინიმუმ ორ-ორი კაცი. ამ ბიჭებს მთელი ზამთრის განმავლობაში მოვამზადებთ როგორც თეორიულად ისე ფიზიკურად. ეს უკანასკნელი ალბათ დამეთანხმებით საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამისთვის შევარდენის სარაგბო ბაზაზე ყველა პირობაა შექმნილი. მერე კი, გაზაფხულზე, როგორც კი სეზონი გაიხსნება, ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებაც მიეცემათ.

ამ გეგმაში მეორე რეზერვი სპორტის აკადემიაა. იქ დაახლოებით თვრამეტი სტუდენტი გვყავს. მათ პროგრამაში ისედაც აქვთ მსაჯობის თემა. ამათგან 3 მსაჯს თუ მაინც მივიღებთ, თუნდაც ასაკობრივ შეჯიბრებაში სამსაჯოდ, ძალიან კარგი იქნება.

გრძელვადიანი პროექტის მექანიზმი კი ასეთია. ის ითვალისწინებს 15-17 წლის ბიჭების მოზიდვას. ისინი ძირითადად ბავშვთა ფესტივალებს მოემსახურებიან. მომავალ წელს დაგეგმილი გვაქვს 60-მდე ასეთი ფესტივალი მოვაწყოთ. ყველა გუნდმა უნდა გამოყოს თითო ზემოთ ნახსენები ასაკის ბიჭი, რომელსაც ჩაუტარდებათ რამდენიმე სემინარი, ვინაიდან ბავშვებთან აუცილებელია გამარტივებული წესებით მსაჯობა. შეჯიბრის მიმდინარეობისას ეს მსაჯები იქნებიან გამოცდილი მსაჯის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც თამაშში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩაერევა. მას უფლება ექნება მიუთითოს, რჩევა მისცეს მსაჯს. მერე ამათგან მოხდება საუკეთესოების შერჩევა.

არაფერი არ გამოვა, თუ არ შეიცვლება ძირეული მიდგომა მსაჯის მიმართ მორაგბეებისა და მწვრთნელების მხრიდან. ის მდგომარეობა რაც დღესაა, დამლუპველია ქართული რაგბისთვის. არსად ასეთი რამ არ ხდება. ყველგან, განვითარებულ სარაგბო ქვეყნებში, მკაცრადაა განსაზღვრული სათამაშო არე, ტექნიკური პერსონალის არე, მაყურებელთა არე. განსაზღვრულია, რამდენ ადამიანს აქვს უფლება იყოს მოედნის კიდესთან, როდის და ვის შეუძლია შევიდეს მოედანზე. ყოველივე ეს არსებულ დებულებაში კი გვინერია, მაგრამ საჭიროა კიდევ რამდენიმე პუნქტის დამატება და დეტალურად განმარტება. ეს არ იქნება განსჯის საკითხი. ეს იქნება დირექტივა, რომელიც აუცილებლად შესასრულებული იქნება ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდისთვის. ამასთან უკიდურესად გამკაცრდება სანქციები.

ცხადია, ვეცდებით მსაჯები, დავაინტერესოთ მატერიალურად, საჭირო ეკიპირებითა და მეთოდიკით. მივავლენთ სტაჟირებაზეა უცხოეთში, რისთვისაც აუცილებელია ერთი უცხო ენის ცოდნა მაინც.

თუ ამ ყველაფრის, რაზედაც ვისაუბრეთ, განხორციელება შევძელით, გვაქვს იმედი, რომ მდგომარეობა უკეესეთობისკენ შემობრუნდება.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ



ელგუჯა ბერიშვილი

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ელგუჯა ბერიშვილი ახალი ვადით

გუშინ სასტუმრო „თორში“ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო სესია გაიმართა. 2007 წლის საქმიანობაზე ანგარიში ასოციაციის პრეზიდენტმა **ელგუჯა ბერიშვილმა** წარმოადგინა. შემდეგ, სესია გაეცნო გასული წლის ფინანსურ შეჯამებასაც. ვიდრე სესია პრეზიდენტსა და აღმასკომს აირჩევდა, ბატონმა ბერიშვილმა დამსწრეებს სთხოვა, გარკვეულ საკითხებზე თავიანთი მოსაზრებები გამოეთქვათ. **მამუკა კვარაცხელიამ** დასვა კითხვა, უნდა შეაფასოს თუ არა ასოციაციამ სპორტისა და მედიის სფეროში მიმდინარე მოვლენები. კვარაცხელიამ კონკრეტული მაგალითიც მოიყვანა ფეხბურთის ფედერაციის გახმაურებულ არჩევნებთან დაკავშირებით, ითქვა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და „ტელეიმედში“ მომხდარ ამბებზეც. საბოლოოდ, კამათმა აჩვენა, რომ აზრები გაიყო. შესაძლოა, მომავალში სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია დაუბრუნდეს ამ საკითხს და გარკვეული წესით, ამა თუ იმ საჭირბოროტო პრობლემაზე, ორგანიზაციამ საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს.

შემდეგ გაიმართა პრეზიდენტის არჩევნები. სესიამ ელგუჯა ბერიშვილს აბსოლუტური ნდობა გამოუცხადა. არჩეულმა პრეზიდენტმა სესიას შესთავაზა აღმასკომის ახალი შემადგენლობა, რომელიც რამდენადმე განსხვავებული პრინციპით შედგა. ბერიშვილის იდეით, უპრიანი იქნებოდა, თუკი აღმასკომში ერთგვარი პარიტეტით შევიდოდნენ ბეჭდვითი მედიის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები. დაისვა საკითხი, რომ აღმასკომში ერთი ადგილი ფოტოკორესპონდენტისთვისაც გამოეყოთ. **ზურაბ ფოცხვერიამ** აღმასკომში შესვლაზე უარი განაცხადა. მის ნაცვლად, სესიამ გამოთავისუფლებული ადგილი „სარბიელის“ ფოტოკორესპონდენტ **ბადრი კეთილაძეს** არგუნა.

ხელბურთი

ვაგებთ, ვემზადებით. პირობები იდეალურია

მზადებამ თბილისიდან თურქეთში გადაინაცვლა

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები აგრძელებენ თურქულ ტურნეს. გუშინ მათ მეორე საკონტროლო მატჩები ჩაატარეს მასპინძლებთან და ისევ დამარცხდნენ.

თუკი ჩვენმა ახალგაზრდებმა პირველი შეხვედრა 17-ბურთიანი სხვაობით წააგეს, გუშინ საგრძნობი პროგრესი ჰქონდათ და მხოლოდ 26:31 დამარცხდნენ. ოდნავი რეგრესი განიხადა ეროვნულმა ნაკრებმა, რომელმაც რვის ნაცვლად, ცხრაბურთიანი სხვაობით წააგო - 16:25 (პირველი შეხვედრა 20:28 დავთმეთ).

გუშინ, თურქეთში შეევხმიანეთ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ზურაბ კაკაბაძეს და იქაური ამბები გამოვკითხეთ.

- თურქები დიდი აუიოტაუით დაგვხვდნენ. ჩვენს მატჩებს აშუქებენ ადგილობრივი ტელეკომპანიები და დარბაზიც ივსება ხოლმე გულშემატკივრებით. თურქეთის ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრები ჩვენზე დიდი ხანი იმყოფებიან შეკრებაზე, სერიოზულად ემზადებიან, ჩვენზე გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ და წამყვანი ხელბურთელებიც არ აკლიათ.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს კი ერთბაშად ხუთი ლიდერი გამოაკლდა - სერგო დათუკაშვილი, ვლადიმერ რუსია, რეზო ჭანტურია, რატი მსხვილიძე და მეკარე შოთა თევზაძე. ასევე ვერ გვეხმარება ტრავმირებული ტიტე კალანდაძე, რომელიც ნაკრების ყველაზე გამოცდილი წევრია. დამეთანხმებით, ეს მოთამაშეები ნახევარ გუნდზე მეტს უდრის. ასეთ ვითარებაში, პირველ დღეს ნაჩვენები შედეგები სულაც არ იყო მოულოდნელობა. მითუმეტეს, რომ მგზავრობით დაღლილები ვიყავით და ხელბურთელებმა ენერგიის სრულიად აღდგენა ვერ მოასწრეს. მეორე დღეს, ორივე გუნდმა გაცილებით უკეთ ითამაშა. ეროვნული ნაკრები პირველი ტაიმის შემდეგ, მინიმალური სხვაობითაც კი იგებდა...

მთლიანობაში, ორივე გუნდის მწვრთნელი კმაყოფილია. იდეალურ პირობებში საწვრთნელი პროცესის ჩატარების გარდა, იმედო ფხაკაძესა და გარი თურქიას საშუალება აქვთ, რომ საკონტროლო მატჩებში ყველა ხელბურთელის შესაძლებლობა შეისწავლონ და სხვადასხვა ტაქტიკური სქემა დაამუშავონ.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის ახლა შედეგი ნაკლებად მნიშვნელოვანია. როგორც იცით, ეროვნულ ნაკრებს 20 იანვარს „ჩელენჯ ტროფის" ფინალი აქვს, ხოლო ახალგაზრდებს გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ელით. შესაბამისად, მწვრთნელთა მთავარი საზრუნავია, რომ აღნიშნული ტურნირებისთვის გუნდები მაქსიმალურად კარგად მოამზადონ და ხელბურთელები ერთმანეთთან შეათამაშონ. თუმცა, ბოლო მატჩებში შედეგების ჩვენებასაც შევეცდებით.

პარალელურად, საქმიან მოლაპარაკებებს ვანარმოებთ თურქეთის ხელბურთის ფედერაციასთან. ჩვენი და მასპინძლების სურვილია, რომ ჩვენი მეზობლები გაისად საქართველოში საპასუხო ვიზიტით გვეწვიონ. თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ თურქეთის ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლის ნინ, მარტში გვესტუმრება და რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გვეთამაშება. იგივეს გაკეთება გვინდა საშემოდგომოდ, ეროვნული ნაკრებების დონეზე, ანალოგიური საკვალიფიკაციო ციკლის დაწყებამდე.

კობა ხატისაშვილი



ოთარ გელაშვილი

„ლელოს" სახელოვანი ისტორიის კიდევ ერთმა ღვაწლმოსილმა შემოქმედმა გადაინაცვლა ამ ქვეყნიდან ცათა სასუფეველში. კიდევ ერთი ღირსეულად ვალმოხდილი პიროვნება გამოაკლდა ჩვენი გაზეთისა და საქართველოს ვეტერან სპორტულ ჟურნალისტთა რიგებს.

ვერც ქართული სპორტული ჟურნალისტიკა, ვერც ქართული სპორტის ოქროს ხანის - XX საუკუნის მეორე ნახევრის ვერც ერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს იმ დამსახურებას, რაც უფროსი თაობის ლელოელებმა და მათ შორის ოთარ გელაშვილმა მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავისი მოუღალავი კალმით შემოუნახა შთამომავლობას, საერთოდ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ისტორიას, როგორც ქართული სპორტის ერთერთმა მემატიანემ.

„ლელოს" რედაქციაში ო. გელაშვილმა მუშაობა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დაიწყო. შემოქმედებითი გზა განვლო კორესპონდენტობიდან რედაქციის პასუხისმგებელ მდივნობამდე. ერთხანს, საქტელერადიო კომიტეტში სპორტის მთავარი რედაქციის რედაქტორი იყო, ბოლოს კი, პენსიაზე გასვლამდე, კვლავ მშობლიურ „ლელოში" იღვაწა. რამდენიმე ათეული წელიწადი, როგორც რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, უძღვებოდა მასობრივ სპორტულ შეჯიბრებებს, სხვადასხვა დროს იყო მძღოლობის, რაგბის, სათხილამურო სპორტის ფედერაციების პრეზიდიუმის წევრი. 1978 წელს, როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის მიერ ჩატარებული სპორტულ ჟურნალისტთა კონკურსის გამარჯვებული, დაჯილდოვდა „დიდი ოქროს" მედლით, სხვა ჯილდოებზე არაფერს ვამბობთ. 1959 წლიდან იყო ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

ისევე როგორც უფროსი თაობის ყველა ლელოელი, თავის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდა დამწყებ ჟურნალისტთა მხარში დგომას, არაერთი შეგირდი გაიყვანა სპორტში დიდ საკალმო სარბიელზე. „ლელო" ყველაფერი იყო მისთვის, უყვარდა უსაზღვროდ და ამ სიყვარულს უნერგავდა სხვებსაც, მშობლიური გაზეთისა და მისი ტრადიციებისადმი ურყევი ერთგულების მაგალითს აძლევდა ყველას.

ხშირად გვაკითხავდა კოსტავაზე, რედაქციაში, წლევანდელ აგვისტომდე, ვიდრე იქ ლელო ეგულებოდა...

ლელოს რედაქცია,
საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

სროლა

ნინო და რუსლანი, სეზონი დასრულდა

ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში გუშინ დამთავრდა თბილისის ღია პირველობა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. როგორც გაცნობეთ, ბოლო დღე ვაუებს ეთმობოდათ და მოლოდინისამებრ, იგი ერთადერთი სტუმრის - აზერბაიჯანელი **რუსლან ლიუნიოვის** გამარჯვებით დასრულდა - 570 ქულა. მას გვარიანი სხვაობით ჩამორჩა ვერცხლის პრიზიორი **გია სვანიძე** - 555, მესამეზე კი **გივი ბურჭულაძე** გავიდა - 584.

შეგახსენებთ, რომ ტურნირში უცხოელთაგან მხოლოდ მხოლოდ აზერბაიჯანელები გამოდიოდნენ და ისინიც ორი სპორტსმენით. ლიუნიოვის გარდა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, სალუქვაძის ძველი მეგობარი **ირადა აშუმოვაც** გვესტუმრა, რომელმაც გუშინწინ ქალთა ტურნირში ვერცხლი დაისაკუთრა და ნინო სალუქვაძეს ჩამორჩა.

ამ ტურნირით ჩვენმა ტყვიის მსროლელებმა წლევანდელი სეზონი საბოლოოდ დაასრულეს, თუმცა საგაისო ბატალიებისთვის მზადებასაც აქედანვე შეუდგნენ. ცოტა უცნაურია, რომ სპორტის დეპარტამენტი ფედერაციების ბიუჯეტის დამტკიცებას ჯერ არ ჩქარობს. ყოველ შემთხვევაში, სროლის სახეობათა ფედერაციისთვის ჯერაც არ დაუმტკიცებიათ, თუმცა ვიმედოვნებთ, ყველაფერი დადებითად გადაწყდება და სპორტსმენებს ფინანსური პრობლემები არ შეექმნებათ.

ფედერაციის მიერ შემუშავებული კალენდარით, ნინო სალუქვაძემ და მისმა თანაგუნდელებმა 22 იანვარს პნევმატური იარაღით მიუნხენში, ტრადიციული დიდ საერთაშორისო ტურნირში უნდა ისროლონ. ეს მარტში გასამართი ევროპის პნევმატური პირველობისთვის მზადების პირველი ეტაპია და რაკი მეტად ხელსაყრელ დროს ტარდება, გერმანიაში მუდამ ძლიერი შემადგენლობა იკრიბება და უძლიერესი ტურნირი გამოდის ხოლმე. როცა ფინანსები ამის საშუალებას აძლევდათ, ჩვენები ტურნირამდე გერმანიაშივე, დორტმუნდთან ახლომდებარე ქალაქ ბასუმშიც მიდიოდნენ შეკრებაზე, თუმცა ამჯერად ეს თავად იუარეს - არჩიეს, ის მეტად ნაყოფიერი შეკრება ევროპის ჩემპიონატის ნინ გაიარონ. შეგახსენებთ, რომ წლევანდელ ევროპირველობებზე პეკინის ოლიმპიადის 5-5 საგზურიც გაიცემა, მსურველთა შორის კი ჩვენი ფედერაციაცაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ძლიერ ევროპელ მსროლელთა უმრავლესობამ უკვე გაინაღდა პეკინში გამოსვლა და სალიცენზიო რეიტინგში ისინი ხუთეულში აღარ შევლენ, გამორიცხული სულაც არაა, რომელიმე ჩვენებურმა მართლაც მოიპოვოს საგზური. შესაძლოა, საამისოდ არა ხუთეულში, არამედ სადღაც ოცეულში მოხვედრაც საკმარისი აღმოჩნდეს.

ნინო სალუქვაძე

ევროპის ჩემპიონატამდე ჩვენებს კიდევ ერთი ტურნირი ელოდებათ - საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც ევროპის ზემოაღნიშნული პირველობისთვის მზადების ეტაპია და ამიტომ ისიც მხოლოდ პნევმატურში გაიმართება, თუმცა არაა გამორიცხული, ვაუებში სპორტულშიც გაიმართოს. რაკიღა საჩუქრად მიღებული ტყვიები საზღვარზე გადმოატარეს და მიიღეს, ამის შესაძლებლობაც გაჩნდა. თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია.

ირაკლი თავაძე

ზურაბ აზმაიფარაშვილი

ჭადრაკი

აზმაიფარაშვილმა სინგაპური მოიგო

სინგაპურში უკანასკნელ, მეცხრე ტურში ქართველმა დიდოსტატმა **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** ყაიმით ითამაშა სინგაპურელ დიდოსტატ **ჭანკ ჭონკთან**, თუმცა რიგით მეოთხე მასტერსის გამარჯვებული მაინც ჩვენებური გახდა. აზმაიფარაშვილი თეთრი ფიგურებით თამაშობდა, ორივე დიდოსტატს 6,5-6,5 ქულა დაუგროვდა ცხრა შესაძლებელიდან. მესამე ადგილზე 6 ქულით ინდოელი დიდოსტატი **ჩანდა სანდიპანი** გავიდა, რომელმაც ვიეტნამელ **დაო ტიენ ჰაოსთან** ბოლო ტურში ყაიმი ითამაშა შავი ფიგურებით. უკეთესი კოეფიციენტის გამო სინგაპურის მასტერსის ტიტული აზმაიფარაშვილს დარჩა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს ჩემპიონატი. X ტური

ავიამშენის რეისით გამყრელიძე გაფრინდა

21 დეკემბერი. რუსთავი

ენერჯი-ავიამშენი 84:65

17:18, 23:19, 20:17, 24:11

ენერჯი: **გამყრელიძე (36ქ, 7პ), სტეფანოვი (12ქ, 8მ), ბაბიაშვილი (6ქ, 8მ), ბოისა (9ქ), დიდია, ლეჟავა (7ქ, 3პ), ცეკვავა, გოგობერიშვილი (2ქ), ჭოჭუა (4ქ), ტუჯანი (8ქ, 8მ)**

ავიამშენი: **მინაშვილი, შანიძე (9ქ), ხოშტარია (15ქ), ნიკოლაძე (17ქ, 4პ), კვიმსაძე (2ქ), ტულუში (5ქ, 6პ, 8მ), იმნაძე (6ქ, 10მ), ნინიაშვილი(7ქ), როდუმტა (4ქ)**

მსაჯები: **ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა**

ასეთ მატჩებს ხშირად ერთსა და იგივე სათაურს არქმევენ - ნერენ ჯერ წაგებული გუნდის სახელს, შემდეგ - შეხვედრის გმირის გვარს და ანგარიშს. აი, ასე: გამყრელიძე-"ავიამშენი" 84:65.

„ენერჯი" ბოლო ორ სეზონში გუნდურ თამაშს უჩვენებს და ერთ კაცზე არასოდეს ყოფილა დამოკიდებული, მაგრამ გუშინ მასპინძელთა შემადგენლობაში **ლაშა გამყრელიძეს** რომ არ ეთამაშა რუსთაველები უპირობოდ წააგებდნენ.

მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. „ენერჯის" კალათბურთელებმა მეოთხე პერიოდამდე ორჯერ მოახერხეს 10 და მეტი ქულით დაწინაურება, მაგრამ ასეთ დროს საქმეში „ავიატორთა" კაპიტანი **ირაკლი ხოშტარია** ერთვებოდა და სხვაობას მინიმუმამდე ამცირებდა. მსგავსი ეპიზოდი დაფიქსირდა მესამე მეოთხედის ბოლოს, როდესაც გამყრელიძის ორი ეფექტური პასისა და სამქულიანის შემდეგ „ენერჯი" 60:51 დაწინაურდა, მაგრამ „ავიამ" სწრაფ მეტოქეს ასევე სწრაფი თამაში დაუპირისპირა და ბოლო რაუნდის მეორე წუთზე გადაასწრო კიდეც - 61:60. თუმცა, ეს იყო და ეს - „ავიატორებს" თითქოს ჰარეში საწვავი გამოელიათ და ენერგიაგამოლეუები მინაზე დაეშვნენ. „ენერჯმ" და გამყრელიძემ ამით ისარგებლეს და 17:0 სპურტი მოაწყვეს. გაქცევა ლაშა გამყრელიძემ დაიწყო - სამქულიანებიც ჩაყარა და საჯარიმოიანი ორქულიანებიც. მართალია ლაშას სამიანებით **ანატოლი ბოისაც** ეხმარებოდა, მაგრამ რომ არა გამყრელიძის ინდივიდუალური ოსტატობა, ათამაშებულ „ავიას" ვერავინ შეაჩერებდა.

ჯერჯერობით ტურის საუკეთესო კალათბურთელობაზე თამამ პრეტენზიას „ენერჯის" მეოთხე ნომერი აცხადებს: 35 წუთში 36 ქულა (10-დან 7 სამიანი), 7 შედეგიანი გადაცემა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა.

36 ქულა ლაშასთვისაც კარიერის რეკორდია და მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო მაჩვენებელიც...

ვაჟა სიმონიშვილი

	თ	მ	ნ	ქ
1. ენერჯი	9	9	0	18
2. ვითა	8	4	4	12
3. თსუ	8	4	4	12
4. ავიამშენი	9	3	6	12
5. დინამო	8	3	5	11
6. მაკაბი	8	2	6	10

პრესკონფერენციაზე

ლაშა გამყრელიძე

წინასამატჩო პრესკონფერენცია

ტურის მეორე ცენტრალური

გუშინ კლუბ „12 მაგიდაში" მეათე ტურის ცენტრალური მატჩის წინასამატჩო პრესკონფერენცია გაიმართა. მართალია, მთავარი შეხვედრა რუსთავში უკვე გაიმართა, მაგრამ ვფიქრობთ, უინტერესოდ არც „დინამო"-"მაკაბის" თამაში ჩაივლის, რომელსაც საზოგადოებრივი არხი პირდაპირ ეთერში გადასცემს.

შეხვედრა „მაკაბის" მთავარმა მწვრთნელმა ჯამლეტ ხუხაშვილმა გახსნა.

- შემადგენლობაში დანაკლისი გვაქვს - საზარდული აწუხებს ირაკლი ბერიშვილს და იანვრამდე ვერ დაგვეხმარება. მისი ტყუპისცალი დათო ბერიშვილი ჯერ სათანადო ფორმაში არ არის. სამაგიეროდ დაგვიბრუნდა გივი ვაშაკიძე, რომელმაც წინა მატჩი გამოტოვა. ტურის ცენტრალურ მატჩად „დინამო"-"მაკაბის" დაპირისპირების არჩევა შეცდომაა, თუ კანონზომიერება? ვფიქრობ, ეს კანონზომიერებაა, რადგან „დინამომაც" არაერთი" ლიდერი დაამარცხა, ჩვენც და დავამტკიცეთ, რომ არავისზე ნაკლებები არა ვართ.

ხუხაშვილისგან ესტაფეტა „დინამოს" მწვრთნელმა ზაზა ცაგარეიშვილმა გადაიბარა:

- ჩვენს შემადგენლობაში ყველა ჯანმრთელადაა და „მაკაბისთან" თამაშისთვის გამალებით ვემზადებით. ეს გუნდი ფლეი ოფის გზაზე „დინამოს" მთავარი კონკურენტია და ურთიერთშეხვედრებს დიდ მნისვნელობას ვანიჭებთ. მართალია მაკაბელებს ჩვენზე უკეთესი შემადგენლობა ჰყავთ, მაგრამ მათი ძლევა წინა წრეშიც მოვახერხეთ და იგივეს გამეორებას კვირასაც ვაპირებთ.

„დინამოს" გამთამაშებელმა არჩილ ჟღენტმა ყურადღება ქომაგების ნაკლებობაზე გაამახვილა:

- მეათე ტურში ჩვენს წინააღმდეგ ის კალათბურთელი თამაშობს, რომელიც გაისად შეიძლება NBA-ში ვიხილოთ, ამიტომ გიორგი შერმადინის ხილვა საინტერესოა და ვიმედოვნებ ეს დამატებითი სტიმული იქნება გულშემატკივართათვის. მის წინააღმდეგ თამაში ჩვენთვისაც საინტერესოა.

ირაკლი გულისაბედაშვილს გავახსენეთ, რომ პირველ წრეში სნორედ მისი გადამწყვეტი ტყორცნით დაამარცხა „დინამომ" „მაკაბი".

- იმ შეხვედრაში თავიდან სოლიდური უპირატესობა მოვიპოვეთ, მაგრამ ბოლოს მოვეშვით და მეტოქემ ანგარიში გაგვითანაბრა. საბოლოოდ ძალების მოკრება მოვახერხეთ და ისე მოხდა, რომ ჩემი ჩაგდებული ტყორცნის შემდეგ მოვახერხეთ გამარჯვება, რამაც ძალიან გამახარა. ვეცდებით თავი არც კვირას შევირცხვინოთ.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ვამთავრებთ დასავლეთით

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ერთი საინტერესო გამოკითხვის პირველი ნაწილი შემოგთავაზეთ. შეგახსენებთ, რომ NBA-ის ყველა გუნდის წარმომადგენელს ხუთ იდენტურ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა. გუშინ აღმოსავლეთის წარმომადგენელთა პასუხები შემოგთავაზეთ, დღეს კი დასავლეთა ჯერია.

შეგახსენებთ კითხვებს:

1. ვინ არის რეგულარულის MVP?
2. ვინ არის საუკეთესო დამცველი?
3. ვინ არის სეზონის აღმოჩენა?
4. დაასახელეთ პირველი ხუთეული.
5. დაასახელეთ სუპერფინალის ორივე მონაწილე.

ფინიქსი: მაიკ დენტონი (მწვრთნელი)

1. მიჭირს ვინმეს გამოყოფა, რადგან სეზონის ნახევარიც კი არ არის გასული. თუ მაინცდამაინც უნდა დავასახელო, მაშინ სამეულში სტივ ნეშს, ლებრონ ჯეიმსსა და დუაიტ ჰოვარდს შევიყვანდი.
2. ტიმ დანკანი (სან Aანტონიო).
3. ასეთს ვერ ვხედავ, თუმცა თუ გუნდის მოხსენიებაც შეიძლება, "მეჯიქს" დავასახელებდი.
4. სტივ ნეში (ფინიქსი), ტონი პარკერი (სან ანტონიო), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), ტიმ დანკანი (სან Aანტონიო), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო).
5. ჯერ ადრეა ამაზე საუბარი.

სან ანტონიო: გრეგ პოპოვიჩი (მწვრთნელი)

1. სტივ ნეში, მანუ ჯინობილი, ლებრონი.
2. ბრიუს ბოუენი (სან ანტონიო) და მარკუს კემბი (დენვერი).
3. ელ ჰორფორდი (ატლანტა).
4. ნეში, ჯინობილი, ლებრონი, კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), დანკანი.
5. ჩვენ ნამდვილად ვერ გავალთ, რადგან წინა წელს ვიყავით გასულნი, სხვებზე კი ვერაფერს გეტყვით.

დენვერი: ჯორჯ კარლი (მწვრთნელი)

1. ნეში, ლებრონი, კობი ბრაიანტი. ხუთეულში ულაპარაკოდ უნდა იყვნენ ალენ აივერსონი და კარმელო ენტონიც.
2. ბოუენი.
3. ასეთს ვერ ვხედავ.
4. ნეში, ლებრონი, კობი, ენტონი, კრის კამანი (კლიპერსი).
5. "სელტიქსი" უნდა გავიდეს, დასავლეთიდან კი მიჭირს ფავორიტის დასახელება. შანსი 5-6 გუნდს, მათ შორის "დენვერსაც" აქვს.

დალასი: დირკ ნოვიცკი (მოთამაშე)

1. მე აღარ მომცემენ, ეს ნამდვილად ვიცი. მMინდა, რომ სტივ ნეშმა ან ჯოშ ჰოვარდმა მოიგონ. ჯინობილიც ძალიან კარგად თამაშობს.
2. უარი.
3. შაკილ ონილი. მის კარიერაში ეს ყველაზე სუსტი სეზონია.
4. ნეში, ჯინობილი, დუაიტ ჰოვარდი, ლებრონი, ტიმ დანკანი.
5. არა მგონია, ამ ეტაპზე ვინმეს გამორჩევა სწორი იყოს.

იუტა: ჯერი სლოუნი (მწვრთნელი)

1. არაჩვეულებრივი სეზონი აქვს დუაიტ ჰოვარდს, ძალიან კარგია სტივ ნეში და ვამაყობ, რომ ამ პრიზეს მოპოვების კანდიდატთა შორის არის კარლოს ბუზერიც.
2. მარკუს კემბი და ბრიუს ბოუენი.
3. კევინ დიურანი (სიეტლი).
4. ნეში, ტონი პარკერი, ლებრონი, გარნეტი, ბუზერი ან დუაიტ ჰოვარდი.
5. გამოხარდება, თუ ერთ-ერთი გუნდი "ჯაზი" იქნება.

ნ. ორლეანი: ტაისონ ჩენდლერი (მოთამაშე)

1. კრის პოლი საუკეთესოა.
2. კემბი, კირილენკო, ბოუენი.
3. დიურანი.
4. კრის პოლი (ნიუ ორლეანი), ტონი პარკერი, ლებრონ ჯეიმსი, კევინ გარნეტი, იაო მინი.
5. უარი

ჰიუსტონი: შეინ ბეტიე (მოთამაშე)

1. პირველ ხუთეულში ტრეისი მაკგრეიდისაც შევიყვანდი და იაოსაც, მათ გარდა კი ლებრონ ჯეიმსი და მანუ ჯინობილი.
2. უარი.
3. ელ ჰორფორდი.
4. ნეში, ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი), ლებრონი, კარლოს ბუზერი (იუტა), მარკუს კემბი (დენვერი).
5. ფსონი "როკეტსზე" დადეთ, აღმოსავლეთიდან კი ჯერჯერობით ყველაზ ე კარგ კალათბურთს "სელტიქსი" და "დეტროიტი" თამაშობენ.

მემფისი: დარკო მილიჩიჩი (მოთამაშე)

1. ჩემი გუნდიდან პაუ გასოლი და რუდი გეის გამოვარჩევდი, ისე კი სტივ ნეშია ფავორიტი.

ლებრონ ჯეიმსი

2. ბოუენი და კრის კამანი (კლიპერსი).
3. დიურანი.
4. ნეში, ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი), ბრაიანტი, გარნეტი, იაო მინი (ჰიუსტონი).
5. "ბოსტონი" და "სან ანტონიო", თუმცა შეიძლება ვცდები კიდეც.

მინესოტა: ელ ჯეფერსონი (მოთამაშე)

1. გარნეტი ან ლებრონი. შეიძლება, სტივ ნეშიც.
2. კემბი, გარნეტი, დანკანი, ბოუენი.
3. დიურანი და მარკო იარიჩი (მინესოტა). მარკომ უამრავი ტრავმის მერე ფორმა აღიდგინა და გუნდის ნამდვილი ლიდერია.
4. თავს შევიკავებდი.
5. უარი.

პორტლენდი: ლამარკუს ოლდრიჯი (მოთამაშე)

1. ბრენდონ როი, სტივ ნეში და ლებრონ ჯეიმსი.
2. კევინ გარნეტი (ბოსტონი) და ტაისონ ჩენდლერი (ნიუ ორლეანი).
3. დიურანი და "ორლანდო მეჯიქი".
4. ბრენდონ როი (პორტლენდი), ნეში, ლებრონი, დანკანი, მინი.
5. ჩემპიონი "ბლეიზერსი" გახდება.

სიეტლი: პი. ჯეი. კარლესიმო (მწვრთნელი)

1. ჯერ ადრეა, ფავორიტი,სადღაც, მარტისთვის გამოიკვეთება.
2. ბოუენი და დანკანი.
3. დიურანი და ჯეფ გრინი (სიეტლი). ვამაყობ, რომ ეს ორი ახალგაზრდა ჩემთან თამაშობს.
4. ნეში, კობი, ჯინობილი, ბუზერი, მინი.
5. "ბოსტონი" ძალიან სოლიდურად გამოიყურება, თუმცა ვერც ამ გუნდს და ვერც რომელიმე სხვას, ამ ეტაპზე ვერ გამოვარჩევდი.

გოლდენ სტეიტი: დონ ნელსონი (მწვრთნელი)

1. ნეში, ბაირონ დევისი და მაინც, ნოვიცკი. ცუდ ფორმაში მყოფი დირკი სხვა "ვარსკვლავებს" მაინც ბევრით სჯობნის.
2. ბოუენი და გარნეტი.
3. დიურანი და "მეჯიქი".
4. ნეში, დევისი, ლებრონ ჯეიმსი, გარნეტი, დანკანი.
5. ამ ეტაპზე სუპერფინალის ხუთ კანდიდატს ვხედავ - "სელტიქსი", "მეჯიქი", "მავერიქსი", "სპურსი" და ჩვენ.

ლეიკერსი: დერეკ ფიშერი (მოთამაშე)

1. კობი ბრაიანტი.მის გარეშე "ლეიკერსი" აუტსაიდერებში იქნებოდა. მერე კი ალბათ, ლებრონ ჯეიმსი და მანუ ჯინობილი.
2. გარნეტი და კირკ ჰაინრიხი (ჩიკაგო). ასევე ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) და ბოუენი.
3. უარი.
4. კობი, ჯინობილი, ლებრონი, ლამარ ოდომი (ლეიკერსი) და იაო მინი.
5. "სელტიქსი" ძალიან მომწონს, მაგრამ როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთსი ყველაფერი წინაა.

კლიპერსი: კორი მაგეტი (მოთამაშე)

1. ლებრონი, კობი, ნეში, დუაიტ ჰოვარდი და ჯინობილი.
2. ბრიუს ბოუენი და კევინ გარნეტი.
3. დიურანი და ჰორფორდი.
4. ნეში, კობი, ლებრონი, გარნეტი, ჰოვარდი.
5. ელტონ ბრენდი დროზე თუ დაგვიბრუნდა, მაშინ ფინალში გასვლის შანსი ჩვენც გვექნება.

საკრამენტო: ბენო უდრიხი (მოთამაშე)

1. ტონი პარკერი და სტივ ნეში.
2. ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) და ბოუენი.
3. დიურანი.
4. ნეში, ტონი პარკერი, ლებრონი, ბუზერი, მინი.
5. "სპურსი", აღმოსავლეთიდან კი მიჭირს ვინმეს გამორჩევა.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიამი-ნიუ ჯერსი 103:107 (ოვ)

21:21, 20:23, 26:25, 24:28, 9:13

მაიამი: უეიდი (41 ქ. 6 პ. 5 მ. 3 ჩ. 3 დ), ჰასლემი (18 ქ. 12 მ. 2 ჩ), დ. რაიტი (13 ქ. 7 მ. 3 დ), შ. ონილი (12 ქ. 7 მ. 2 ჩ).
ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (31 ქ. 8 პ. 6 მ), რ. ჯეფერსონი (29 ქ. 8 მ), მ. ალენი (18 ქ. 7 მ), ბუნი (11 ქ. 8 მ. 2 დ), კიდი (5 ქ. 11 მ. 10 პ).

კლივლენდი-ლეიკერსი 94:90

28:28, 23:25, 22:25, 21:12

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (33 ქ. 10 მ. 5 პ), გიბსონი (15 ქ), ილგაუსკასი (12 ქ. 5 მ), ვარეჟაო (11 ქ. 15 მ. 4 ჩ).
ლეიკერსი: ბრაიანტი (21 ქ. 6 ჩ. 5 პ), ოდომი (14 ქ. 11 მ. 2 ჩ), ფიშერი (18 ქ. 5 პ. 4 მ. 2 ჩ), ბინუმი (17 ქ. 11 მ. 2 დ).

დენვერი-პიუსტონი 112:111 (2 ოვ)

18:23, 26:19, 29:27, 21:25, 8:8, 10:9

დენვერი: ენტონი (37 ქ. 16 მ. 3 ჩ. 2 პ. 2 დ), აივერსონი (36 ქ. 9 პ. 5 მ. 2 ჩ), ეტკინსი (13 ქ), კენიონ მარტინი (8 ქ. 10 მ. 3 დ), კემბი (2 ქ. 18 მ. 6 დ).
ჰიუსტონი: მინი (26 ქ. 19 მ. 6 პ. 2 დ), ჰედი (22 ქ. 6 მ. 4 მ), ალსტონი (18 ქ. 10 პ. 7 მ. 3 ჩ), უელსი (17 ქ. 8 მ. 2 ჩ), ბეტიე (12 ქ. 7 მ. 3 ჩ. 2 პ. 2 დ).

ჯორდანის მასტერკლასი

ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანი** საკალათბურთო მოედანს დაუბრუნდა. ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელმა „შარლოტ ბობკეტსის" მოთამაშეებს მასტერ-კლასი ჩაუტარა. ძირითადად წაიმუშავეს მოძრაობაში ტყორცნებსა და წინააღმდეგობის დროს სროლებზე.

მეცადინეობის დასრულების შემდეგ, 44 წლის ჯორდანმა საჭიროდ ჩათვალა კიდევ ერთხელ შეეხსენებინა ჟურნალისტებისთვის, რომ არ აპირებს აქტიურ კალათბურთში დაბრუნებას: *„ყველაფრის ლაპარაკი შეიძლება, მაგრამ მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი - არ უნდა გქონდეთ ჩემი დაბრუნების იმედი".*

ორი რეკორდი

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში ორი საკლუბო რეკორდი დამყარდა. ერთ-ერთის ავტორი გახდა „ტორონტო რეპტორზის" ფორვარდი **კრის ბოში**. მან „ლოს ანჯელეს კლიპერსთან" მატჩში 9-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი და კარიერაში 2847 მოხსნა დაუგროვდა. ამ მხრივ „ტორონტოში" წინა რეკორდი **ანტონიო დევისს** ეკუთვნოდა (2839).

ერთი რეკორდი „ნიუ ჯერსი ნეტსშიც" დამყარდა. ის გუნდის ახალწვეულს **შონ უილიამსს** ეკუთვნის. „საკრამენტო კინგზთან" შეხვედრაში, 21 წლის მოთამაშემ 8 ბლოკ-შოტი შეასრულა.

ბრენდი მაღე დაბრუნდება

„ლოს ანჯელეს კლიპერსის" ლიდერმა **ელტონ ბრენდმა** მუხლზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ ვარჯიშები განაახლა. ფორვარდს ტრავმის სამკურნალოდ ქირურგიული ჩარევა სექტემბრის შუაში დასჭირდა, მუხლი კი, მან 3 აგვისტოს ერთ-ერთი ვარჯიშის დროს დაიზიანა.

„პირველი ვარჯიში უკვე ჩავატარე. რამდენიმე ტყორცნა შევასრულე, დაცვაში თამაში და სხვა ელემენტებიც დავამუშავე. სასიამოვნოა ამხელა პაუზის შემდეგ კვლავ მოედანზე გასვლა და ბურთის ხელში დაჭერა", - განაცხადა ბრენდმა.

შარშან, ბრენდი საშუალოდ მატჩში 20.3 ქულასა და 10.2 მოხსნას აგროვებდა.

ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. IX ტური

A ჯგუფი

მონტეპასკი-ცსკა 66:69

21:21, 22:12, 14:23, 9:13

მონტეპასკი: მაკინტაირი (13 ქ. 2 ჩ), ბ. ტორნტონი (9 ქ), კაუკენასი (9 ქ. 4 პ. 2 ჩ).
ცსკა: შიშკაუსკასი (18 ქ. 5 მ. 3 ჩ), დ. ანდერსენი (15 ქ. 8 მ. 3 ჩ), გორე (12 ქ. 9 მ), ჰოლდენი (9 ქ. 5 მ. 2 ჩ).

ოლიმპიაკოსი-ოლიმპია 113:90

28:17, 25:26, 25:18, 35:19

ოლიმპიაკოსი: პრინტეზისი (21 ქ. 6 მ), ვასილიადისი (21 ქ), მაციაუსკასი (18 ქ. 4 პ. 3 ჩ), მ. ჯეკსონი (12 ქ. 7 მ), ცაკალიდისი (10 ქ. 4 მ), ბლეკნი (9 ქ. 4 მ. 4 პ),
ოლიმპია: ბეილი (20 ქ. 3 ჩ), ჰუკიჩი (18 ქ. 7 მ. 4 პ), მილიჩი (17 ქ. 11 მ. 3 პ. 2 ჩ), დრაგიჩი (12 ქ).

პროკომი-ჟალგირისი 80:85

22:10, 18:25, 13:28, 27:22

პროკომი: სლანინა (19 ქ), გუროვიჩი (17 ქ. 5 მ), ვან დენ შპიგელი (15 ქ. 7 მ. 3 დ), დილევიჩი (12 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ).
ჟალგირისი: მ. პოპოვიჩი (21 ქ. 3 პ), მ. ბრაუნი (16 ქ), დ. კოლინზი (16 ქ. 5 მ. 4 პ), მაციულისი (12 ქ. 2 ჩ).

ვირტუსი-ტაუ 69:85

17:26, 17:17, 21:24, 14:18

ვირტუსი: მაკგრატი (18 ქ. 2 ჩ), ანდერსონი (14 ქ. 4 მ. 4 პ. 3 ჩ), კიაჩიგი (11 ქ. 3 მ), ჯოვანნიონი (10 ქ.6 მ).
ტაუ: სპლიტერი (25 ქ. 12 მ. 6 ჩ. 2 პ), პლანჩიჩი (18 ქ. 5 მ. 4 პ), ტელეტოვიჩი (18 ქ. 5 მ), მაკდონალდი (8 ქ. 4 მ).

	მ-ნ	სხვ
1. ცსკა	8-1	+108
2. ტაუ	6-3	+82
3. მონტეპასკი	6-3	+75
4. ოლიმპიაკოსი	5-4	+95
5. ჟალგირისი	5-4	+2
6. ოლიმპია	3-6	-80
7. ვირტუსი	2-7	-124
8. პროკომი	1-8	-158

B ჯგუფი

მილანი-ეფეს პილზენი 73:76

14:16, 20:20, 20:25, 19:15

მილანი: ვუკჩევიჩი (16 ქ. 5 პ. 2 ჩ), ტ. უოტსონი (13 ქ. 6 მ), კატელინასი (11 ქ. 2 ჩ), არადორი (10 ქ).
ეფეს პილზენი: გრეგორი (20 ქ. 6 მ), ჯ. პენი (15 ქ. 6 პ. 4 მ), ნიკოლასი (14 ქ), ჰატსონი (10 ქ. 9 მ).

მაკაბი-ლიეტუვოს რიტასი 82:87

25:2, 16:20, 23:19, 18:26

მაკაბი: ფაიზერი (15 ქ. 4 მ), ბლუტენტალი (14 ქ. 3 მ. 2 პ), ბატისტა (14 ქ. 5 მ. 4 ჩ), კამინგსი (10 ქ. 4 პ), ჰალპერინი (10 ქ. 9 პ. 4 მ), მორისი (9 ქ. 5 მ. 2 დ).
ლიეტუვოს რიტასი: ეიდსონი (28 ქ. 4 მ), პრაისი (19 ქ. 5 პ. 3 მ. 3 ჩ), ნილსენი (18 ქ. 7 მ. 2 პ), პეტრავიჩუსი (9 ქ).

არისი-ლე მანი 93:74

27:23, 27:12, 14:15, 25:24

არისი: რაიტი (27 ქ. 4 მ), ტერი (24 ქ. 11 მ. 2 ჩ. 2 დ), კეესტლი (16 ქ. 5 პ. 3 მ. 2 ჩ), ცალდარისი (7 ქ).
ლე მანი: კლენსი (18 ქ. 12 მ. 4 პ), რიჩი (14 ქ), ბოგდანოვიჩი (11 ქ. 3 პ), ლიმონადი (11 ქ. 4 პ).

ციბონა-უნიკახა 62:76

17:26, 15:6, 11:18, 19:26

ციბონა: უორენი (14 ქ. 4 პ. 2 ჩ), ჰოსკინი (14 ქ. 5 მ. 2 ჩ), აიუსო (13 ქ), კელი (8 ქ. 5 პ. 3 მ).
უნიკახა: ჰეისლიპი (15 ქ. 4 მ), ბ. როდრიგესი (15 ქ. 4 პ. 2 ჩ), ველში (15 ქ. 4 პ. 2 ჩ), კაბეზასი (11 ქ), ნდონგი (6 ქ. 11 მ. 5 დ).

	მ-ნ	სხვ
1. უნიკახა	7-2	+96
2. ლიეტუვოს რიტასი	7-2	+81
3. ეფეს პილზენი	6-3	+48
4. მაკაბი	6-3	-7
5. არისი	5-4	-17
6. ციბონა	3-6	-85
7. მილანი	2-7	-37
8. ლე მანი	0-9	-79

C ჯგუფი

ბამბერგი-პანათინაიკოსი 58:72

8:17, 20:23, 15:13, 15:19

ბამბერგი: გარეტი (17 ქ), ოკულაჯა (10 ქ. 7 მ), ფენი (8 ქ. 7 მ).
პანათინაიკოსი: იასიკიავიჩუსი (21 ქ. 5 პ. 3 მ), უინსტონი (8 ქ. 4 მ), სპანულისი (8 ქ. 4 მ), ბატისტე (7 ქ).

პარტიზანი-რუანი 82:76

14:30, 26:21, 20:13, 22:12

პარტიზანი: პეკოვიჩი (26 ქ. 16 მ. 4 დ), ტეპიჩი (18 ქ. 4 პ. 3 მ), ველიჩკოვიჩი (14 ქ. 7 მ. 4 პ. 4 ჩ), ვიტკოვაცი (8 ქ. 3 პ).
რუანი: ბ. რაში (15 ქ. 3 პ. 2 ჩ), ჰესი (14 ქ. 4 მ), სალიერსი (14 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ), ბადიანე (10 ქ), პელინი (7 ქ. 5 ჩ).

რომა-რეალი 69:64

19:19, 15:13, 15:21, 20:11

რომა: ე. ლორბეკი (17 ქ. 8 მ. 2 ჩ. 2 დ), გაბინი (17 ქ. 5 მ. 4 ჩ), რეი (8 ქ. 5 მ. 3 პ).
რეალი: ბალოკი (11 ქ. 2 ჩ), ჩ. სმიტი (10 ქ. 3 მ. 3 ჩ), ფ. რეიესი (10 ქ. 5 მ), მუმბრუ (10 ქ. 3 მ), თუნჩერი (10 ქ. 4 მ).

ფენერბახჩე-ბარსელონა 78:85

15:21, 26:22, 15:20, 22:22

ფენერბახჩე: თურქჯანი (18 ქ. 6 მ. 2 პ. 2 დ), ჯ. უაითი (17 ქ. 4 მ), ბაშაქი (9 ქ. 3 მ).
ბარსელონა: ლაკოვიჩი (22 ქ. 3 მ. 2 პ), გრიმაუ (13 ქ), კასუნი (12 ქ. 3 მ. 2 პ), აკერი (11 ქ. 4 მ), ილიასოვა (8 ქ. 5 მ).

	მ-ნ	სხვ
1. პანათინაიკოსი	8-1	+81
2. ბარსელონა	7-2	+83
3. რეალი	6-3	+53
4. ფენერბახჩე	4-5	-27
5. პარტიზანი	4-5	-46
6. რომა	3-6	-11
7. რუანი	3-6	-66
8. ბამბერგი	1-8	-67

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ-ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ 4:5 (ო)

0:3, 2:1, 2:0, 0:0

გოლები: 0:1 მალკინი-12 (კროსბი-29, კ. არმსტრონგი-7), 0:2 კროსბი-16 (კ. არმსტრონგი-8, გონჩარი-21), 0:3 მალკინი-13 (კროსბი-30), 0:4 ე. კრისტერსენი-4 (რაიან უიტნი-9, კ. არმსტრონგი-9), 1:4 შტურმი-11 (ფერენსი-6, მეტროპოლიტი-7), 2:4 აქსელსონი-5 (რეიჩი-1), 3:4 ნოკელაინენი-3 (ფერენსი-7, მეტროპოლიტი-8), 4:4 ვიდმანი-4 (შტურმი-12, სავარი-30).

ბულიტები გაიტანეს: კრისტერსენი (პიტსბურგი), ლეტანგი (პიტსბურგი).

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ-ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ 2:5

0:1, 1:2, 1:2

გოლები: 0:1 ლატენდრესი-8 (ს. კოივუ-19, ჰიგინსი-11), 0:2 პლეკანეცი-11 (კოვალიოვი-15, ა. კასტიცინი-9), 1:2 ბეეტსტრიომი-6 (ოვეჩკინი-16, მ. გრინი-7), 1:3 ლატენდრესი-9 (დანდენო-5, ლაპიერი-2), 1:4 ს. კასტიცინი-1 (კოვალიოვი-16, შტრაიტი-14), 2:4 სიომინი-4 (ბეეტსტრიომი-17), 2:5 შტრაიტი-5 (ჩიპჩურა-7, ბუიონი-2).

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲞᲘᲗᲡᲑᲣᲠᲒᲘ 3:2

0:1, 2:1, 1:0

გოლები: 0:1 სპეცა-11 (რ. რობიტაილი-6), 1:1 ბულტონი-3 (ტორნბურნი-3, სლეიტერი-5), 1:2 ალფრედსონი-20 (სპეცა-31, ჰიტლი-23), 2:2 კოვალჩუკი-28 (კლი-4, ჰოლიკი-9), 3:2 ტ. უაიტი-9 (ენსტრომი-16, რეკი-8).

ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ-ᲤᲝᲠᲘᲜᲢᲝ 2:1

0:0, 1:1, 1:0

გოლები: 0:1 სტაიანი-9 (ა. სტინი-11), 1:1 ჯ. უორდი-5 (ლეკავალიე-30, ლუნდინი-5), 2:1 ლეკავალიე-23 (სენტ ლუისი-28, ო'ბრაიენი-8).

ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ-ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ 5:4

1:3, 2:0, 2:1

გოლები: 1:0 დვორაკი-3 (ოლეში-6, კალიმორი-2), 1:1 ლედი-2 (ს. უოკერი-6, კულენი-27), 1:2 ე. კოული-8 (რეი უიტნი-17, საიდენბერგი-9), 1:3 სტილმანი-18 (ბრინდამორი-20, ვალინი-3), 2:3 ო. იოკინენი-18 (ოლეში-7, ვოკოუნი-1), 3:3 შტუმპელი-6 (ო. იოკინენი-18, სალეი-11), 4:3 ვეისი-7 (ჰორტონი-15, ბოუმისტერი-7), 4:4 რეი უიტნი-16 (ე. კოული-17, ე. სტაალი-14), 5:4 მაკლინი-3 (ზედნიკი-7).

ᲛᲘᲜᲘᲡᲝᲢᲐ-ᲠᲔᲜᲯᲘᲠᲡᲘ 6:3

1:1, 3:1, 2:1

გოლები: 0:1 როესივალი-8 (იაგრი-17, დუბინსკი-6), 1:1 გაბორიკი-14 (დემიტრა-11, ვოროსი-4), 2:1 გაბორიკი-15 (დემიტრა-12, პერიში-6), 3:1 გაბორიკი-16 (ბერნსი-11, ბუშარი-20), 3:2 სტრაკა-6 (იაგრი-18, გომესი-20), 4:2 ბუშარი-6 (გაბორიკი-15), 4:3 დეუვსი-5, 5:3 გაბორიკი-17 (ვოროსი-5, შულტეი-6), 6:3 გაბორიკი-18.

ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 3:2

1:0, 0:2, 2:0

გოლები: 1:0 ბოიესი-20 (ე. მაკდონალდი-14, კარიი-22), 1:1 ფილპულა-9 (დრეიკი-2, რაფალსკი-24), 1:2 სამუელსონი-4 (ლიდსტრომი-28, ზეტერბერგი-25), 2:2 ტკაჩუკი-7 (კარია-23, ე. მაკდონალდი-15), 3:2 სტემნიაკი-6 (ბრიუერი-7, ბეკსი-4).

ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 3:2

0:0, 1:0, 2:2

გოლები: 1:0 რეიმონდი-2 (ოლუნდი-6, ლუონგო-1), 2:0 დ. სედინი-13 (ნესლუნდი-17, ჰ. სედინი-28), 2:1 ი. იოკინენი-11 (ლ. ერიქსონი-5, ჰაგმანი-5), 3:1 დ. სედინი-14 (ოლუნდი-7, სალო-2), 3:2 მიეტინენი-6 (მოროუ-21, რიბეირო-18).

ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ-ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 2:3 (ბ)

0:0, 0:0, 2:2, 0:0

გოლები: 0:1 იორკი-5 (რაინპრეხტი-13, ჯოვანოვსკი-18), 1:1 ტ. მიტჩელი-6 (გრირი-4, რისმილერი-4), 2:1 რიონიკი-7 (ოზოლინში-5, ჯ. ტორნტონი-27), 2:2 დოუნი-9 (ჯოვანოვსკი-19).

ბულიტები გაიტანეს: პ. მიულერი (ფინიქსი).

ᲯᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ

გასული ტურის მთავარი მოვლენა „მინესოტა სტარზის“ სლოვაკი ფორვარდის, მარიან გაბორიკის გმირობა იყო.

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 11 სეზონია არავის გაეტანა ერთ მატჩში 5 გოლი და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ამის გაკეთება სწორედ გაბორიკმა შეძლო. მანამდე მსგავსი შედეგი ჰქონდა „დეტროიტ რედ უინგზის“ ფორვარდ **სერგეი ფიოდოროვს**, რომელმაც 1996 წლის 26 თებერვალს გაიტანა ხუთი შაიბა („ვაშინგტონთან“ თამაშში), თუმცა იმ მატჩში ოვერტაიმის ჩატარება გახდა საჭირო და რუსმა ერთი გოლი სწორედ დამატებით დროში შეაგდო. ძირითად დროში კი, ბოლოს ხუთი გოლი „პიტსბურგ პინგვინზის“ ლეგენდარულმა ფორვარდმა **მარიო ლემიემ** გაიტანა („სენტ ლუისის“ წინააღმდეგ). ეს მიღწევა 1996 წლის 26 მარტით თარიღდება.

გაბორიკის (სლოვაკი ზედიზედ ოთხი შეხვედრაა უგოლოდ არ ტოვებს მოედანს) ფენომენალური თამაშის წყალობით, „მინესოტამ“ ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო.



მარიან გაბორიკი

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲨᲘᲨᲙᲐᲣᲡᲙᲐᲡᲘ ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ

ᲚᲘᲢᲕᲐᲛ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები გამოავლინა. ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში ყველაზე მეტი - 10 289 ხმა მიიღო მოსკოვის ცსკა-სა და ლიტვის ნაკრების კალათბურთელმა **რამუნას შიშკაუსკასმა**. პრიზის სახით, გამარჯვებულმა ერთი კილოგრამი ოქრო მიიღო.

გამოკითხვაში მეორე ადგილი დაიკავა ბადროს ტყორცნაში ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა **ვირგილიუს ალეკნამ** (9675), მესამეზე გავიდა მოჭიდავე **მინდაუგას ეუერსკისი** 5669 ქულით.

ᲤᲘᲒᲐᲡ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ საერთაშორისო ფედერაციის ევროპულმა განყოფილებამ 2007 წლისთვის საუკეთესო კალათბურთელის ტიტულის მაძიებელ ნომინანტთა გვარები გამოაცხადა. გამარჯვებულები საყოველთაო გამოკითხვის შედეგებისა და ექსპერტთა აზრის მიხედვით შეირჩევიან.

მამაკაცი ნომინანტების სია ასე გამოიყურება: **რამუნას შიშკაუსკასი** (ლიტვა, ცსკა), **პაუ გასოლი** (ესპანეთი, „მემფისი“), **დირკ ნოვიცკი** (გერმანია, დალასი“), **ხოსე კალდერონი** (ესპანეთი, „ტორონტო“) და **ანდრეი კირილენკო** (რუსეთი, „იუტა“).

ქალები: **ამაია ვალდემორო** (ესპანეთი, ცსკა), **ანეტ ჯეკაბსონ-ზაგოტა** (ლატვია, „დინამო“), **ნატალია მარჩანკა** (ბელარუსი, „დინამო-ენერგია“), **აგნეშკა ბიბზრიჩკა** (პოლონეთი, „სპარტაკი“), **მარია სტეპანოვა** (რუსეთი, ცსკა).

რებრაჩამ წასვლა გადაწყვიტა

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ სერბმა კალათბურთელმა **ჟელკო რებრაჩამ** ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ასრულებს მოთამაშის კარიერას. ამ მომენტამდე რებრაჩა ვალენსიას „პამესას“ რიგებში ირიცხებოდა.

„გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა. მაისიდან მოყოლებული განსაკუთრებული მონდომებით ვემზადებოდი ახალი სეზონისთვის. „პამესამ“ იმის დამტკიცების შანსი მომცა, რომ ნაადრევად ჩამომწერეს, რისთვისაც კლუბის ხელმძღვანელებს დიდ მადლობას ვეუბნები. მაგრამ ტრავმებმა დამამარცხეს. მიეხვდი, რომ პარტნიორებს ველარაფრით დავეხმარებოდი და ეს მძიმე გადაწყვეტილებაც ამიტომ მივიღე“, - განაცხადა რებრაჩამ.

22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

HTB-ᲐᲚᲤᲐ (ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა.
15:05 საფეხბურთო კლუბი.
15:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
16:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-პორტსმუთი (LIVE).
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ვალენსია (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რასინგი (LIVE).

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

08:40 მინი-მოედანი.
09:05 ფეხბურთი. Barca TV.
09:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტურის მიმოხილვა.
09:45 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩინეთი. მიმოხილვა.
10:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
11:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ნასიონალი-პორტუ.
12:50 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
13:22 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტური. მონტეპასკი-ცსკა.
14:58 სპორტის სამყარო.
15:28 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:59 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
16:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-პორტსმუთი (LIVE).
21:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-რეინჯერსი.
22:48 ფეხბურთი. Barca TV.
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ვალენსია (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რასინგი (LIVE).
03:00 მინი-მოედანი.
03:26 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ნასიონალი-პორტუ.
05:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი (LIVE).
07:05 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
07:34 სპორტის სამყარო.

EUROSPORT

11:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
12:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
14:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები 2000-2006.
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია (LIVE).
16:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. დორტმუნდი-იუვენტუსი. 1996-97.
17:45 ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. ნაპოლი-ბაიერნი. 1988-89.
18:45 ცხენოსნობა. კონკურის შოუ. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
20:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია.
21:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. მანჩესტერ იუნაიტედი-ბაიერნი. 1998-99.
22:30 მულტისპორტი.
00:00 ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. ინგოლშტადტი. გერმანია.
01:00 ცხენოსნობა. კონკურის შოუ. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
02:15 მულტისპორტი.
03:15 ბრძოლა წესების გარეშე.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
12:30 ექსტრემალური სპორტი.
13:00 მულტისპორტი.
13:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. აბერდინი-კოპენჰაგენი.
14:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰამბურგი-ბაზელი.
15:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლარისა-ნიურნბერგი.
16:15 ახალი ამბები.
16:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
17:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ფრიდრიხშაფენი (გერმანია)-ყაზანი (რუსეთი).
18:15 მულტისპორტი.
18:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჟურნალი.
19:45 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. კამერუნი.
20:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. სოფია. ბულგარეთი (LIVE).
22:00 ტიმბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. ლაციო-ინტერი. 1997-98.
00:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. ტუნისი-2004.
01:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. ეგვიპტე-2006.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ჟურნალი.
03:15 ახალი ამბები.

23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲙᲕᲘᲠᲐ

I ᲐᲠᲮᲘ

15:05 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-მაკაბი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი (LIVE).

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

HTB-ᲐᲚᲤᲐ (ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ)

11:15 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რასინგი.
15:10 ტოქ-შოუ - 2:1.
15:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ევერტონი (LIVE).
17:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-ლიონი.
19:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:05 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ჩელსი (LIVE).
22:05 შოტლანდიის ჩემპიონატი. აბერდინი-რეინჯერსი.
23:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. სენტ ეტიენი-პსუ (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 პირდაპირი ხაზი.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

08:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ვალენსია.
10:19 მინი-მოედანი.
10:19 ფეხბურთი. Barca TV.
10:28 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია.
12:16 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ნატი. გიმარაეში-ბელენესეში.
14:02 ფეხბურთი. Barca TV.
14:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-სენტ ლუისი.
16:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ევერტონი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-მილანი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ესპანიოლი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონ-რეალი (LIVE).
00:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტურის მიმოხილვა.
00:32 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
01:24 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-კალიარი.
02:52 მინი-მოედანი.
03:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ვალენსია.
05:03 ფეხბურთი. Barca TV.
05:10 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
05:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია.
07:25 სპორტდოსიე. კალათბურთი.
07:47 სპორტული ისტორიები

EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია.
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
14:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია (LIVE).
15:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. ბაიერნი-ვალენსია. 2000-01.
16:45 ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. ნაპოლი-შტუტგარტი. 1988-89.
17:45 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
18:00 სნუკერი. დიდების დარბაზი.
19:00 მულტისპორტი.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია.
21:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. რეალი-ლევერკუზენი. 2001-02.
22:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ტოკიო. იაპონია.
00:00 პროფესიული კრივი. WBC. სუპერმჩატე წონა. ხ. მარკესი (მექსიკა)-რ. ხუარესი (აშშ).
02:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
03:00 ნარდი. მსოფლიო სერია.
03:30 მულტისპორტი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 მულტისპორტი.
14:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები 1994-2000.
15:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. სოფია. ბულგარეთი.
15:45 ახალი ამბები.
16:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
17:00 სუპერმოტო. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
18:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
19:00 კარტინგი. ბრაზილია.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჟურნალი.
21:00 მულტისპორტი.
22:00 ახალი ამბები.
22:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ალიკანტე. ესპანეთი.
23:30 რესტლინგი.
00:00 კიკბოქსინგი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 რესტლინგი.
03:15 ახალი ამბები.

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

I ᲚᲘᲒᲐ

ნორთჰემპტონი-ბორნმუთი	4:1
ბრაიტონი-ჯილინგემი	გადადო

II ᲚᲘᲒᲐ

მილტონი-ბრენტფორდი	1:1

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

აიაჩო-ნიორი	2:1
ანჟერსი-დიჟონი	0:0
ბულონი-ბრესტი	2:0
შატორუ-გრენობლი	1:0
მონაელიე-გენიონი	0:0
რეიმსი-ბასტია	გადადო
ამიენი-ლიზერნი	გადადო
სედანი-ტრუა	გადადო
აუერი-კლერმონი	გადადო

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ვილემი-ზლაუსლაი	1:2

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

აპელდორნი-ცვოლე	0:1
დენ ჰააგი-ბოა ოსი	5:1
ომმეგორლდი-დორდრეხტი	1:0
ფორტუნა-პაარლემი	1:0
იგლუზი-ქამბური	3:1
პელმონდი-ემენი	0:3
ბელსბარი-მაასტრიხტი	0:1 ჯეწყდა
დენ ბოში-ვოლენდამი	გადადო
ვენლამი-როსენდალი	გადადო

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ვესტერლო-ბრუგე	გადადო

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ

ნასიონალი-პორტუ	1:0

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

გალიზა-ბეშიქთაში	1:2

ᲞᲝᲚᲘᲔᲗᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲕᲔᲒᲐᲚᲢᲐᲠᲒᲘ (ნ)-ᲓᲘᲜᲐᲛᲝ	3:2
სიბირი-ᲕᲔᲓ	6:2
ᲑᲠᲐᲔᲒᲝᲠᲘ-ᲐᲙ ᲑᲐᲠᲡᲘ	2:4
ᲚᲐᲓᲐ-ᲮᲘᲛᲘᲙᲘ	3:1
ᲕᲘᲑᲘᲐᲜᲘ-ᲡᲐᲛᲐᲠᲙᲐᲚᲘ	5:1
ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲘ-ᲑᲝᲠᲝᲕᲔᲪᲘ	1:1 ᲠᲔᲖ.1:0
ს. ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ-ᲡᲙᲐ	2:2 ᲠᲔᲖ.1:0
ᲐᲛᲣᲠᲘ-ᲚᲘᲠᲘᲙᲝᲛᲑᲘᲜᲘ	3:3 ᲑᲣᲚ. 0:1
ᲕᲔᲒᲐᲚᲢᲐᲠᲒᲘ (Ვ)-ᲜᲔᲣᲒᲘᲜᲘᲜ.	1:1 ᲑᲣᲚ. 0:1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲞᲐᲜᲝᲕᲔᲠᲘ-ᲓᲣᲘᲡᲑᲣᲠᲒᲘ	4:2
ᲓᲘᲣᲡᲔᲚᲓᲝᲠᲤᲘ-ᲐᲘᲡᲑᲐᲠᲔᲜᲘ	2:6
ᲘᲜᲒᲝᲚᲡᲢᲐᲓᲢᲘ-ᲘᲜᲒᲝᲚᲨᲢᲐᲓᲢᲘ	7:3
ᲛᲐᲜᲐᲰᲘᲛ-ᲨᲢᲣᲒᲐᲠᲢᲘ	4:7
ᲐᲣᲒᲡᲑᲣᲠᲒᲘ-ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘ	1:1 ᲑᲣᲚ. 1:0
ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘ-ᲙᲘᲚᲜᲘ	3:3 ᲑᲣᲚ. 1:0

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ

ᲖᲕᲝᲚᲔᲜᲘ-ᲜᲘᲪᲠᲐ	5:0
ᲛᲐᲠᲑᲘᲜᲘ-ᲡᲐᲚᲔᲡᲘᲐ	2:0
ᲙᲝᲛᲘᲪᲝ-ᲫᲘᲚᲘᲜᲐ	3:1
ᲑᲠᲘᲜᲘᲜᲘ-ᲡᲚᲝᲕᲐᲜᲘ	0:1
ᲞᲝᲞᲐᲠᲓᲘ-ᲛᲘᲙᲣᲚᲐᲜᲘ	3:3 ᲠᲔᲖ. 1:0

ᲩᲔᲩᲜᲔᲗᲘ

ᲔᲡᲔᲒᲘ-ᲙᲐᲠᲐᲔᲕᲘ	3:3 ᲠᲔᲖ. 0:1

ᲩᲮᲔᲗᲘ

ᲕᲘᲑᲘᲙᲝᲕᲘᲪᲝ-ᲙᲚᲐᲓᲜᲝ	3:4
ᲫᲚᲘᲜᲘ-ᲚᲘᲑᲔᲠᲔᲪᲘ	3:1
ᲡᲚᲝᲕᲐᲜᲘ-ᲑᲣᲓᲔᲘᲝᲕᲘᲪᲝ	2:4
ᲞᲚᲖᲔᲜᲘ-ᲖᲜᲝᲛᲝ	5:5 ᲠᲔᲖ. 0:1
ᲡᲚᲐᲕᲘᲐ-ᲑᲠᲐᲕᲘᲜᲔᲪᲘ	1:1 ᲑᲣᲚ 0:1
ᲚᲘᲑᲔᲠᲔᲪᲘ-ᲙᲐᲠᲚᲝᲕᲘ ᲕᲐᲠᲘ	3:3 ᲑᲣᲚ. 0:1

ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐ

ᲑᲐᲠᲜᲘ-ᲚᲐᲜᲒᲜᲐᲣ	1:2
ᲪᲔᲜᲔᲕᲐ-ᲪᲣᲒᲘ	6:2
ᲙᲚᲝᲒᲔᲜᲘ-ᲪᲘᲣᲠᲘᲩᲘ	4:2

ინტერვიუ ნიკ ბოლეტიერისთან

ცოლზე მაღლა აგასი დავაყენე

ერთ დროს, ნიკ ბოლეტიერი სამხედრო მფრინავი და პარაშუტისტი იყო, ჩოგბურთს კი, კოლეჯის გუნდში თამაშობდა. ამჟამად, 74 წლის ასაკში მან შეინარჩუნა ენერგია და მუშაობის ჟინი: ყოველდღე, კვირის გარდა, დილის 5 საათზე დგება და კორტზე 10 საათი მუშაობს. თავის დროზე, ნიუ იორკში პირველი ერთსათიანი საჩოგბურთო გაკვეთილისთვის 3 დოლარი მიიღო, ახლა კი, იმავე ერთ საათში ის 800 დოლარს იღებს.

1978 წელს, ნიკმა მეგობრისგან მილიონი დოლარი ისესხა, ააშენა რამდენიმე კორტი, შეიძინა ძველი სასტუმრო და საკუთარი საჩოგბურთო სკოლა გახსნა, რომელმაც ბოლეტიერის ენერგიის წყალობით, სწრაფად მოიპოვა პოპულარობა ჩოგბურთის სამყაროში. ამჟამად, ნიკ ბოლეტიერის აკადემია 180 ათასი კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული.

ბოლეტიერის აკადემიაში ისეთი ვარსკვლავები სწავლობდნენ, როგორებიც იყვნენ ანდრე აგასი, ჯიმ კურიე, მონაკი სელეში, ბორის ბეკერი, შტეფი გრაფი, მარტინა ჰინგისი, მერი პირსი, ანა კურნიკოვა... დღევანდელი თაობიდან ამ სკოლაში აღიზარდნენ - დები უილიამსები, მარია შარაპოვა, ელენა იანკოვიჩი, დანიელა ჰანტუხოვა, ტატიანა გოლოვინი, ტომი ჰაასი, მარკ ფილიპუსისი, მაქს მირნი, ნიკოლ ვაიდიშოვა... მართლაც შთამბეჭდავი სიაა.

ჩვენ ვაპირებთ ნიკ ბოლეტიერის აკადემიას რამდენიმე სტატია მივუძღვნათ, მანამდე კი, გთავაზობთ ავსტრიულ ჟურნალ Happy Tennis-ში გამოქვეყნებულ ინტერვიუს, რომელიც ბოლეტიერის სამწვრთნელო მუშაობის 50 წლისთავს ეძღვნება.

- თქვენმა ერთ-ერთმა ყოფილმა ცოლმა ერთხელ არჩევანის წინაშე დაგაყენათ: „ნიკ აირჩიე - ან მე, ან აგასი!“ დიდხანს ფიქრობდით?

- არა, პრინციპში გადაწყვეტილება თავიდანვე მიღებული მქონდა, ის ჩემი შინაგანი წარმოდგენიდან მომდინარეობდა და მას დეტალური ფიქრი არ სჭირდებოდა. პასუხი ასეთი იყო: „ანდრე!“.

- რა დრო გჭირდებათ იმისთვის, რომ კონკრეტულ ჩოგბურთელში ჩემპიონი დაინახოთ?

- ნიჭის დანახვა ერთ წამში შემიძლია. მაგრამ იმის წინასწარმეტყველება, თუ რა დონეს მიაღწევს მოთამაშე, მხოლოდ ცოდნა და მისი ფიზიკური მონაცემების შეფასება საკმარისი არ იქნება. მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვა ფაქტორები: რა მიზნებს ისახავს სპორტსმენი და არის თუ არა ის მზად ამის მისაღწევად?

- თქვენი აკადემია ბოლო 25 წელია საჩოგბურთო ტალანტების საიმედო ფაბრიკად იქცა. რაში მდგომარეობს თქვენი საიდუმლო?

- ჩვენ შევქმენით სისტემა, რომელიც ყველაფრის საფუძველია, რასაც აკადემიაში ვაკეთებთ. ჩვენთან მწვრთნელები განსაკუთრებული ყურადღებით არიან შერჩეულნი და ისინი აქ დიდი ხანია მუშაობენ. ასე რომ, ჩვენი მოსწავლეებისთვის სავარჯიშოდ საუკეთესო პირობებს ვქმნით.

- ვინ იყო ყველაზე ნიჭიერი მოთამაშე იმათგან, ვისთანაც თქვენ ოდესმე გიმუშავიათ?

- მარსელო რიოსი. თუ მის პოტენციალზე ვისაუბრებთ, ის მართლაც ყველაზე ნიჭიერი იყო. რიოსი კორტზე დაფრინავდა, მას რბილი, დახვეწილი ტექნიკა ჰქონდა. მაგრამ პროფესიონალებში ძალიან ცოტას მიაღწია.

- რა იყო თქვენი, როგორც მწვრთნელის ყველაზე ამაღელვებელი მომენტი?

- როცა აგასიმ უიმბლდონი მოიგო და ტიტული მე მომიძღვნა. და კიდევ, როცა ჯიმ კურიე დიდების დარბაზში მიიღეს და მან განაცხადა - ნიკის დახმარებით ასეთი რამ შეუძლებელი იქნებოდაო.

- მოთამაშეები, რომლებიც თქვენთან მუშაობენ, ამბობენ, რომ ბოლეტიერის ყველაზე კარგად შუეძლია ადამიანის სულიერი მდგომარეობის ამოცნობა. როგორ პოულობდით საერთო ენას ისეთ განსხვავებულ პიროვნებებთან, როგორებიც არიან სელეში, რიოსი ან აგასი?

- ღმერთმა დამაჯილდოვა ნიჭით, კარგად დავინახო ადამიანები და აღმოვაჩინო მათი შინაგანი სამყარო.

- არსებობენ თუ არა დღეს ისეთი მებრძოლი ჩოგბურთელები, როგორიც თავის დროზე ტომას მუსტერი იყო?

- ტომას ძალიან კარგად ვიცნობ და ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი მისი შესაძლებლობებით. მან ყველაფერს თითოეული ბურთისთვის თავგანწირული ბრძოლით მიაღწია. მისთვის ყველა გათამაშება მატჩ-პოინტი იყო. ასეთი მებრძოლი მეორე არ შემხვედრია.

- ხედავთ თუ არა ისეთ მოთამაშეს, რომელიც როჯერ ფედერერისთვის კონკურენციის გაწევას შეძლებს?

- ყველას სურს მისი დუელში გამოწვევა, რადგან თითოეული მათგანის სურვილი დიდების მიღწევაა. ისე კი, დაუმარცხებლები არ არსებობენ და ფედერერიც არ არის მუდმივი. მისი მთავარი პრობლემა საკუთარ თავთან ბრძოლა გახდება, მას არ შეუძლია ერთი წამითაც დასვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, როჯერის სამეფო ტახტი შეირყევა.

- ყოველთვის ცდილობთ დროს გაუსწროთ. როგორი იქნება ჩოგბურთი 2020 წელს?

- რამდენიმე ახალი და სრულად უცნაური ცვლილება მოხდება, მათ შორის, შეიცვლება წესებიც.



ნიკ ბოლეტიერი



რაფაელ ნადალი

ახალი ამგები

ნადალის კალენდარი

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** მომავალი სეზონის პირველი ნაწილისთვის საკუთარი კალენდარი გააცნო ჟურნალისტებს. ტრადიციულად, ესპანელი ჩოგბურთელი ახალ სეზონს ჩენაის ტურნირით დაიწყებს, რომელიც 31 დეკემბერს აიღებს სტარტს.

შემდეგ ნადალი ერთი კვირა დაისვენებს და ამას მოჰყვება „დიდი სლემის“ სერიის პირველი ტურნირი - ავსტრალიის ღია პირველობა. თებერვალში რაფა მხოლოდ ერთ ტურნირში ითამაშებს - ფანებს მისი ხილვის საშუალება როტერდამში ექნებათ. მარტში კი, ინდიან-უელსისა და მაიამის აუცილებელი „სუპერმასტერსების“ გარდა, ნადალი დუბაიშიც ითამაშებს. აპრილში ესპანელს სურს თავის საყვარელ თიხნარზე ბარსელონაში და მონტე კარლოში (მასტერსი) გამოვიდეს.

მაისში კიდევ ორი სათიხნარო მასტერსი ტარდება (რომი, ჰამბურგი) და რაფა ორივეში მიიღებს მონაწილეობას, ეს თვე კი, რა თქმა უნდა, „როლან გაროსით“ დასრულდება, სადაც ნადალი სამი წელია არავის უთმობს პირველობას. ამის შემდეგ, მეორე ჩოგანი ლონდონში უიმბლდონის დასალაშქრად გაემგზავრება.

ჰოფმანიმ თასს სერენა და მირზა გახსნიან

შერეული წყვილების არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატის - ჰოფმანის თასის ორგანიზატორებმა კალენდარი გამოაქვეყნეს. ტურნირს, რომელიც ავსტრალიის ქალაქ პერტში 29 დეკემბერს დაიწყება, ოფიციალურად აშშ-სა და ინდოეთის ნაკრებთა მატჩი გახსნის. პირველები კორტზე **სერენა უილიამსი** და **სანია მირზა** გავლენ. შემდეგ ამ გუნდების მამაკაცი წევრები - **მარდი ფიში** და **როჰან ბოპანა** დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ბოლოს კი, შერეული წყვილების მატჩი გაიმართება.

საბოლოოდ, ტურნირის სრულმა შემადგენლობამ ასეთი სახე მიიღო: აშშ (სერენა უილიამსი, მარდი ფიში), სერბეთი (**ელენა იანკოვიჩი, ნოვაკ ჯოკოვიჩი**), ავსტრალია (**ალისია მოლიკი, პეტერ ლუჩაკი**), საფრანგეთი (**ტატიანა გოლოვინი, გაელ მონფილსი**), ჩეხეთი (**ლუსი საფაროვა, ტომაშ ბერდიხი**), ინდოეთი (სანია მირზა, როჰან ბოპანა), ტაივანი (**სე სუვეი, იენ-სუნ ლიუ**) და არგენტინა (**ხისელა დულკო, ხუან-იგნასიო ჩელა**).

როდიკის საჩოგბურთო ცენტრი

ამერიკელი ჩოგბურთელის **ენდი როდიკის** საქველმოქმედო ფონდი, აშშ-ში ახალგაზრდა ნიჭიერ ჩოგბურთელებზე ზრუნვას ინვებს და ამ მიზნით, ტექსასში ახალი საჩოგბურთო ცენტრის აშენებას გეგმავს. ამერიკის საჩოგბურთო ასოციაციის (USTA) ცნობით, კომპლექსის მშენებლობა დახლოებით 8 მილიონი დოლარი დაჯდება და ის ქალაქ კოტონვუდში იქნება განთავსებული.

მომავალ საჩოგბურთო სკოლას უკვე მოუძებნეს სახელწოდება - ენდი როდიკის ფონდის საერთაშორისო საჩოგბურთო ცენტრი. ახალგაზრდა ჩოგბურთელებს სპეციალური პროგრამით ივარჯიშებენ, რომელსაც როდიკის უშუალო მონაწილეობით შეადგენენ.

საჩოგბურთო სკოლა ტყის მასივში, ეკოლოგიურად სუფთა ადგილას განთავსდება.

გასკეგ ბრავმა მიიღო

ფრანგული ჩოგბურთის ლიდერმა **რიშარ გასკემ** მუხლის ტრავმა მიიღო. ამის გამო, მსოფლიო კლასიფიკაციის მერვე ნომერი 2008 წლის სეზონის სტარტს გამოტოვებს, კერძოდ, გასკე მონაწილეობას ვერ მიიღებს ადელაიდას ტურნირში, რომელიც ავსტრალის ღია პირველობისთვის მზადების ციკლის ერთ-ერთი ეტაპი გახლავთ.

გასკეს არყოფნის გამო, ადელაიდაში პირველ ნომრად ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი** იქნება განთესილი.

ავსტრალიის ღია ბიორკმანის გარეშე?

შვედმა ვეტერანმა ჩოგბურთელმა **იონას ბიორკმანმა** შესაძლოა, 2008 წლის სეზონის სტარტი გამოტოვოს. კერძოდ, 35 წლის ბიორკმანი ახალ ზელანდიაში Heineken Open-ს და ავსტრალიის ღია პირველობას დააკლდება. შვედ მოთამაშეს ამისთვის საპატიო მიზეზი აქვს - მისი მეუღლე **პეტრა** იანვრის შუა რიცხვებისთვის მეორე ბავშვის დაბადებას ელის.

„ამ მომენტისთვის, ჩემი ავსტრალიის ღიაზე თამაშის შანსები 50/50-ზეა. შესაძლოა ბავშვი ორი-სამი კვირით ადრე დაიბადოს და შესაბამისად, „დიდ სლემზე“ თამაშს შევძლებ. თუ არა, მაშინ იანვრის გამოტოვება მომიწევს“, - ამბობს ბიორკმანი, რომელიც წყვილთა თანრიგში თამაშის სპეციალისტია, ხოლო ერთეულთა რეიტინგში 59-ე ადგილს იკავებს.

ბოლო 14 წლის მანძილზე, ბიორკმანმა მხოლოდ ერთხელ გამოტოვა ავსტრალიის ღია პირველობა. 2003 წელსაც მიზეზი ანალოგიური იყო - იონასს ვაჟი შეეძინა, რომელსაც წყვილებში ბიორკმანის პარტნიორის, ბელარუსი **მაქს მირნის** საპატივცემულოდ მაქსი დაარქვეს.

დოკიჩს უაილდქარდის იმედი აქვს

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ცნობილმა ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა **ელენა დოკიჩმა** დიდ ჩოგბურთში დაბრუნება და ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაში გადაწყვიტა. „დიდი სლემის“ პირველი ჩემპიონატის საგზურის მისაღებად, მსოფლიოს ყოფილი მეოთხე ჩოგანი ამ კვირას ავსტრალიის ჩემპიონატში ჩაება და ორი მატჩის მოგებაც მოასწრო, მაგრამ მეოთხედფინალურ ეტაპზე ბარძაყის ტრავმის გამო მოიხსნა ტურნირიდან.

მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, დოკიჩი ოპტიმისტურად არის განწყობილი და იმედი აქვს, რომ ავსტრალიის ღიას ორგანიზატორები მას უაილ-ქარდს მიანიჭებენ.

„უაილდ-ქარდის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებას მოგვიანებით მივიღებთ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში ახალგაზრდა ჩოგბურთელების ინტერესები იქნება გათვალისწინებული“, - აცხადებს ამასთან დაკავშირებით ავსტრალიის ღია პირველობის დირექტორი **კრეიგ ტაილი**.

უიმბლდონის ყოფილმა ნახევარფინალისტმა, 24 წლის ელენა დოკიჩმა 2005 წელსაც უაილდ-ქარდით ითამაშა ავსტრალიის ღიაზე, მაგრამ პირველივე წრეში დამარცხდა ფრანგ **ვირჟინ რაზანოსთან**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრაქელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშიერიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონოსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა